

ლიტერატურული გაზეთი

№4 (284) 5 - 18 მარტი 2021

ბამოლის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი

პაატა ნაცვლიშვილი

პეფხვისტყაოსანი

ფრაგმენტი პირველი:
კენის კენწეროები



დასასრული
დასაწყისი N266, 271, 275, 280



ხოლო ელიზაბეთი 68 წელიწადზე მეტია, რაც მორჩმით მეფობს და ვერცხლის იუბილევ დიდის ზარ-ზეიმით გადაიხდა, ოქროსიც, ბრილიანტისაც და საფირონისაც, და თუმცა აგერ, უკვე 94 წლისა მოიყარა, კვლავაც ფორმაშია და ვინ იცის, დღევანდელს გამოშვებულ საფოსტო მარკებზე ის ისევ ახალგაზრდა ქალია, ისეთი, როგორც იყო მაშინ, როცა მე იგი პირველად ვნახე 1954 წლის 1 აპრილს გამოშვებულ კანადის სტანდარტული სერიის 5-ცენტის ცისფერ მონოქრომულ მარკაზე, ბრილიანტებიანი სამეფო გვირგვინით შემკული, და როცა ოდრი ჰეპბერნივით და იქნებ უფრო მეტადაც შემოიყვარდა, მაგრამ თურმე კიდევ უფრო მეტადაც უნდა შემოიყვარებოდა, როცა პირველად ვნახე მისი ფერადი პორტრეტი ჰონკონგის ორდოლარიან მარკაზე, სადაც ის უკვე უგვირგვინოდაა გამოსახული სამხედრო ფორმაში და მხარსა და გულისპირს თეთრი ბაფთები უმშვენებს, და ვინ იცის, მას მერე რამდენი ასეული მარკა მინახავს ელიზაბეთის გამოსახულებით და, საერთოდ, ელიზაბეთ II უპირობოდ და დიდი უპირატესობით ლიდერობს რაგინდარა ქვეყნის საფოსტო მარკებზე აღბეჭდილ რეალურ თუ გამოგონილ პიროვნებათა შორის და ამავე დროს მისი, როგორც სახელმწიფოს მეთაურის პორტრეტი ყველაზე მეტი ქვეყნის საფოსტო მარკაზეა დაბეჭდილი და დღეს იმ ქვეყანათა რიცხვი, რომელთაც სათავეში ინგლისის დედოფალი უდგას, საკუთრივ გაერთიანებულ სამეფოს თუ არ ჩავთვლით, თხუთმეტი და თითოეული მათგანი, — ავსტრალიაც, ანტიგუა-ბარბუდაც, ახალზელანდიც, ბარბადოსიც, ბაჰამებიც, ბელიზიც, გრენადაც, კანადაც, პაპუა-ახალგვინეაც, სენტვინსენტ-გრენადინებიც, სენტკიტს-ნევისიც, სენტლუსიაც, სოლომონებიც, ტუვალუც და ჯამაიკაც — ბევრს ალბათ გაუკვირდება, რასაც ახლა დავწერ, — მონარქიული სახელმწიფოა, ხოლო 1952 წელს მათი რიცხვი ორჯერ და ერთით მეტი გახლდათ და ქართულ ანბანზე განყოფილი ამ 15 ქვეყნის გარდა ელიზაბეთ მეორის გვირგვინის ქვეშ იყო კიდევ 16 სახელმწიფო — გაიანა, განა, გამბია, კენია, მალავი, მალტა, მორიშა, ნიგერია, პაკისტანი, სამხრეთაფრიკა, სიერა-ლეონე, ტანგანიკა, ტრინიდად-ტობაგო, უგანდა, ფიჯი და ცვილონი, რომლებიც დღეს კიდევ სხვა ორ ათეულ ქვეყანასთან ერთად ბრიტანული თანამეგობრობის წევრები არიან, რომელიც 52 ქვეყანას აერთიანებს, ეს კი მსოფლიოს მეოთხედია ორნახევარმილიარდიანი მოსახლეობით, ხოლო რაც შეეხება საკუთრივ გაერთიანებულ სამეფოს, აქ სულ 61 მილიონი მოქალაქე ცხოვრობს და ყველა მათგანის პასპორტი დედოფლის სახელზეა გაცემული და პირადად მას ეკუთვნის, თუმცა ელიზაბეთს თავად პასპორტი არა აქვს, რაკი არც არაფერში სჭირდება და სულ ტყუილად ამბობენ, რომ თითქოს ბრიტანეთის მონარქი მხოლოდ მეფობს და არ მართავს, რადგან სინამდვილეში დედოფალი მართავს კიდევ და ყველაზე ძალმოსილი ადამიანიც გახლავთ მსოფლიოში, ან როგორ შეიძლება ამ მხრივ ვინმე გაუტოლდეს მას, როცა ბრიტანეთის დედოფალს ნებისმიერ დროს შეუძლია დაითხოვოს ინგლისის პარლამენტი, ან ვეტო დაადოს მის ნებისმიერ გადაწყვეტილებას, თან ერთპიროვნულად ნიშნავს და ათავისუფლებს გუბერნატორებს, მინისტრებსა თუ პრემიერ-მინისტრებს და მისი მეფობის მანძილზე მის ხელში უკვე 14-მა პრემიერ-მინისტრმა გაიარა იმ სტალინისდროინდელი უინსტონ ჩერჩილიდან ვიდრე დღევანდელ ბორის ჯონსონამდე, და გარდა ამისა, დედოფალი ხელმძღვანელობს გაერთიანებული სამეფოს სასამართლო ხელისუფლებას, ბრძანდება ანგლიკანური ეკლესიის მეთაური და გახლავთ ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდალი, ვის მორჩილებს ჯარი სპათა, და ვისაც ამხე-

დრებული დედოფალი სამეფო გვარდის ფორმაში გამოწყობილი არ უნახავს, ძალიან ბევრი დაუკარგავს, მე კი მისი ნამდვილი სიყვარული სწორედ მაშინ შემეყარა, როცა ახალსკოლადამთავრებულს ჯიმშერ იამვილმა, ჩემმა დეიდაშვილმა, ფერადი ღია ბარათი მაჩუქა, სადაც დედოფალი ბარმესზე, კანადელთა მიერ ნაჩუქარ მის საყვარელ შავ ფაშატზე ამხედრებული და წითელ სამხედრო სამოსში გამოწყობილი, სამეფო გვარდის საზეიმო აღლუმს იბარებს მონარქის ოფიციალურ დაბადების დღეზე, რომელიც ყოველწლიურად აღინიშნება ლონდონში ივნისის მეორე შაბათს და სწორედ ბარმესზე იჯდა დედოფალი 1981 წლის 13 ივნისს გამართულ აღლუმზეც, როცა 17 წლის მარკუს სარჯენტმა მას ექვსი ფუჭი ტყვია ესროლა და ბარმესი დაფრთხა, მაგრამ დედოფალმა მალევე შეძლო მისი დაოკება და მშვიდად გააგრძელა ჩამწკრივებული გვარდიელების ჩამოვლა, ვითომც არაფერი იყო და ეს ცხენი ელიზაბეთს 1989 წლამდე ემსახურებოდა და მერე პენსიაზე გაუშვეს, ხოლო უფრო მერე ბრინჯაოს ძეგლადაც დადგეს კანადის ქალაქ რეჯინაში და ეს ძეგლიც მაქვს ღია ბარათზე დაბეჭდილი, თუმცა საფოსტო მარკებისა და ღია ბარათების გარდა, იყო კიდევ იშვიათი და ძნელად საშოვნელი უცხოური ყურნალები, რომლებსაც დღემდე სათუთად ვინახავ მათში დაბეჭდილი დედოფლის სურათების გამო და ყველაზე საოცარი მისადმი ჩემს დამოკიდებულებაში ის არის, რომ მე ელიზაბეთი უკანა რიცხვით შემოიყვარდა და უკანა რიცხვით მიყვარს, ანუ მე მიყვარს პრინცესა ელიზაბეთი, რომელსაც რეალურად არ მოვსწრებოვარ, რაკი ის ჩემს დაბადებამდე რამდენიმე თვით ადრე გადაედოფლდა, ხოლო დედოფალ ელისაბედს დღემდე დიდ პატივს ვცემ და მონივნებით ვეთაყვანები და ამ მხრივ მე არასოდეს გავჯიბრებოვარ დედოფლის ყველაზე ცნობილ ქართველ ფანს გია ჭანტურას, ჯერ ერთი იმიტომ, რომ მე სწორედაც პრინცესა მიყვარდა და მიყვარს და თანაც ჩემი სიყვარული სულ ბოლო დრომდე, ფაქტობრივად აი, ამ ტექსტამდე, გიას სიყვარულისგან განსხვავებით, ფარული გახლდათ, სიყვარულსა-მალვა-უნდას პრინციპით, ხოლო რაც შეეხება დედოფალს, ვიმეორებ, მეც ვარ მისი აღფრთოვანებული თაყვანისმცემელი, ან როგორ შეიძლება არ აღფრთოვანდე მისი პიროვნებით, იმით, თუ როგორ უძლებს იგი ამდენი წლის განმავლობაში ამხელა ტვირთს, მით უმეტეს, როცა ხედავ, სამეფო გვირგვინით დამძიმებულები როგორ გადადგნენ ერთმანეთის მიყოლებით ნიდერლანდის, ბელგიის, ესპანეთისა თუ ლექსემბურგის მონარქები და რომის პაპი, ან როგორ შეიძლება არ მოიხიბლო თუნდაც იმ ამბით, რომ ომის დროს, ჩემს დაბადებამდე შვიდი თუ რვა წლით ადრე იგი, მაშინ მემკვიდრე უფლისწული, სანიტარული ავტომანქანის მძღოლი-მექანიკოსი ყოფილა, ან როგორ არ უნდა მოიხიბლო მისი სიმამაცით, რასაც ასე თვალსაჩინოდ აღწერს თავის მოგონებებში კორბეტი, ან კიდევ იმით, რომ მთელი ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში თავისი ქუდებით თუ მათ გარეშე, ის მოდის ერთგვარი კანონმდებელია, რომელმაც ჯერ თანამედროვე ქალიშვილის იდეალური იმიჯი შექმნა, მერე ახალგაზრდა ლედისა, უფრო მერე ბალზაკის ასაკის ქალისა, კიდევ მერე — ხანდაზმული ბანოვანისა და ახლა მსოფლიოს ყველაზე სიმპათიური დედაბერია, რომელსაც ასაკის მიუხედავად უარი არ უთქვამს არც თავის მოდურ ქუდებზე და არც ცხენოსნობით ბავშვობისდროინდელ გატაცებაზე და უკვე ოთხი შვილის დედა ისევ ცხენზე ამხედრებული იბარებდა აღლუმს, ის კი არაა, მხოლოდ ერთხელ გამოუტოვებია როიალ ასკოტის ცნობილი დოლი, რომელშიც 70 წლის მანძილზე მონაწილეობდა და მონაწილეობს, ჯერ როგორც მხედარი და მერე როგორც საპატიო სტუმარი და ერთხელ, მრავალი წლის წინათ, მეექვსე

დასაწყისი პირველ გვერდზე

ადგილიც კი დაუკავებია დოღში, თუმცა ეს, რა თქმა უნდა, ვერ შეედრება ცხენოსნურ წარმატებებს მისი ქალიშვილის, პრინცესა ანასი, რომელიც ვეროპის ჩემპიონიც იყო და ოლიმპიურ თამაშებშიც მიუღია მონაწილეობა, და მით უმეტეს, ვერ შეედრება სპორტულ შედეგებს მისი შვილიშვილის, პრინცესა ანას ქალიშვილის, ზარა ფილიპს-ტინდალისას, ვინც გენდერულად და თაობებრივად დაზუსტებული ილუსტრაციაა ძველი გამოთქმისა, რომელიც ამ შემთხვევაში უღერს როგორც „ის-ურ-ჩვენია-მამულსა-რომ-შვილი-სჯობდეს-დედასა-და-ბებიასა“, და ეს შვილიშვილი ვეროპის სამგზის ჩემპიონიცაა, მსოფლიო ჩემპიონატების ოქრო-ვერცხლის მფლობელიც და ლონდონის ოლიმპიადის ვერცხლის მედალიც მოიპოვა, რომელიც მას დედამისმა, ინგლისის ფლოტის ადმირალმა, სამეფო პრინცესა ანამ გადასცა ლონდონში, სადაც ამ ორთაგან ერთად მე პირველად და ჯერჯერობით ერთადერთხელ მომეცა შესაძლებლობა შედარებით ახლოდან მენახა ჩემი ოდინდელი სიყვარულის და მრავალწლიანი თაყვანისცემის ობიექტი, როცა ოლიმპიადის გახსნის დღეს, ვიდრე დედოფალი თავისი დუბლიორის მემკვიდრეობით ჯეიმს ბონდთან ანუ დენიელ ქრეიგთან ერთად იმ თავის სალაპარაკოდ ქცეულ ნახტომს შეასრულებდა პარაშუტით, ოლიმპიურ სტადიონზე პრესის ტრიბუნის ქებნაში ჯერ იყო და, საქვეყნოდ ცნობილ მეცნიერს სტივენ ჰოკინგს შევეჩქებე მთავარ შესასვლელში და მერე რაღაც მანქანებით სწორედ სამეფო ლოჟის მისადგომებთან აღმოვჩნდი, სადაც არამც და არამც არ მეკუთვნოდა ყოფნა და დედოფლის მცველმა ის იყო ჩემი იქიდან გაქვევება მოინდომა, რომ დედოფალიც გამოჩნდა თავის ამალასთან ერთად და იმ მცველმა სიჩქარეში ისლა გააკეთა, რომ წინ ამეფარა მთელი სხეულით, მაგრამ მე როგორღაც მოვახერხე და დაახლოებით იმავე მანძილიდან შევავლე თვალი ელიზაბეთს, რა მანძილიდანაც კორბეტმა შეათვალი მას თვალი, ზუსტად 60 წლის წინათ, როცა სადილის შემდეგ პრინცესა ტრიტოპის ვერანდაზე გავიდა, კორბეტმა კი თავისი ქურთუკი მოისხა და თოფით ხელში სწორედ იმ კიბეზე მოკალათდა, რომლის უშუალო მემკვიდრეზე ახლა მე ვზივარ და თან პრინცესის ძილს ვიცავ და თან იმაზე ვფიქრობ, რომ რამხელა ბედნიერებაა, ვიჯდე აქ, თოფით ხელში და, კორბეტისაგან განსხვავებით, ვიცოდე, რომ დილით პრინცესა უკვე დედოფლად ჩამოვივლის ამ ჯადოსნურ კიბეს, ხოლო 67 წლის შემდეგ მე აქ ჩამოვალ ერთი დღით, ანუ ზუსტად იმავე დროს, რა დროითაც პრინცესამ იწინა აქ გაჩერება და ამ ღამის უმეტეს ნაწილს ძილ-ღვიძილში გავატარებ სასტუმროს 29-ე ოთახში და ამ კიბეზე, რომლის წინამორბედზე 67 წლის წინათ კორბეტი იჯდა და ისიც ალბათ ჩემსავე თავის სიყვარულზე ფიქრობდა, რომლებიც, ჩემგან განსხვავებით, კინოვარსკვლავებთან ნაკლებად იქნებოდა დაკავშირებული, და ჩემდაუნებურად დავინწყე ფიქრი იმაზე, თუ რაზე შეიძლებოდა ეფიქრა იმ კუნაპეტ ღამეში ჩემსავით ამ კიბეზე მჯდარ მსოფლიოს ყველა დროის ყველაზე სახელგანთქკ მონადირეს, როცა მისი იქ ყოფნით დაიმედებულ პრინცესას მშვიდად ეძინა ფიკუსის 300-წლოვან ხეზე და უცებ მივხვდი, რომ თუმცა მისი ცხოვრება საკმაოდ კარგად მიქონდა შესწავლილი, ბევრი არაფერი ვიცოდი მის სიყვარულზე, მის პირობა, ინტიმურ ცხოვრებაზე, რომელიც საიდუმლოებით არის მოცული და რომელსაც იგი არასოდეს ეხება თავის წიგნებში, ხოლო მისი ბიოგრაფები დანამდვილებით არაფერს წერენ იმის გარდა, რომ მას ცოლი არასოდეს ჰყოლია და ყველაფერი დანარჩენი, რისი ამოკითხვაც ამ წიგნებში შეიძლება და რაც კორბეტს უდის ლიდერმა და კორბეტის ერთ-ერთმა მთავარმა ფანმა, თავადაც ვეფხვისტყაოსანმა ჯოზეფ ჯორდანიამ მიაშპო, უმეტეს შემთხვევაში ჭორებს თითქმის არ სცილდება, როგორც, ვთქვათ, ის ამბავი, რომ თითქოს კორბეტს თავის დროზე უნდოდა ცოლის მოყვანა, საცოლედ შეურჩევია, მაგრამ დედამისი წასულა ამის წინააღმდეგ, რადგან ჯიმი ოჯახში ფულის მთავარი შემომტანი იყო და მისი დაცოლშვილება ცუდად აირეკლებოდა ჯიმის დები-სა და მათი დედის ფინანსურ თუ მატერია-



პაატა ნაცვლიშვილი

ვეფხვისტყაოსანი


ფრაგმენტი პირველი:

კენის კენეროები

ალურ მდგომარეობაზე, ან რომ თითქოს იმ თავის ნაინტივალში კორბეტს რომანი ჰქონია ერთ გათხოვილ ქალთან და რომ თითქოს ბიჭიც შესძენია, რომელიც მას ძალიან ჰგვანებია და ინდუსების ფონზე ამკარად გამორჩეულიც ყოფილა იმ თავისი ცისფერი თვალებითა და ვეროპული გარეგნობით და მისი სახელი ცნობილია კორბეტის ფანებისათვის, თუმცა გახმაურებას, არ ვიცი რატომ, ყველა ერიდება, იმაზე კი თითქმის დაუფარავად ლაპარაკობენ, და ეს ამბავი ჭორის ფარგლებსაც გასცდა, რომ თითქოს კორბეტს რომანი ჰქონდა ჯეიმს იბოტსონთან, თავისი უერთგულესი და საუკეთესო მეგობრის უილიამ იბოტსონის ცოლთან, რასაც დაბეჯითებით და დეტალების აღწერით, თუმცა წყაროთა დამონების გარეშე ამტკიცებს მისი ერთ-ერთი ბიოგრაფი მარტინ ბუთი 1986 წელს გამოცემულ თავის წიგნში და რაც გაკვირვებულად რაპარაიავის ლეოპარდზე ბიბისის მიერ გადაღებულ ფილმშიც აისახა, თუმცა კორბეტის ფანები თვლიან, რომ კორბეტი, მათი იდეალი, ამას „არ იკადრებდა“ და „არ აკადრებდა“ თავის ყველაზე სანდო მეგობარს, რომელიც ერთადერთი იყო, ვისთან ერთად იგი კაცობრივად ვეფხვებზე სანადიროდ ყოფილა და ვინც, სხვათა შორის, იმდენად განუყრელი იყო, რომ მის მეზობლად დასახლდა აქაც, კენიაში, მაგრამ ზოგიერთი ფანთაგანი ამბობს, რომ თუ ეს მართალია, მაშინ არაფერი იბოტსონის ზურგსუკან არ ხდებოდა, და რომ შესაძლოა, უილიამ იბოტსონი მამაკაცთა იმ კატეგორიას განეკუთვნებოდა, რომლებიც არც ცოლს და არც საკუთარ თავს არ უკრძალავენ გარე-გარე ურთიერთობას და არც დიდ ცოდვად მიაჩნდათ ეს ყველაფერი, ის კი არა, ზოგიერთი დიდ ცოდვად არც იმდენს მიიჩნევს, როცა ჭორი კორბეტის უფროს დას, ულამაზეს მეგის ეხ-

ნი გაუგზავნოს მას, რათა კორბეტმა ისინი თავისი ავტოგრაფებით დააშვეროს და გადაამისამართოს ლონდონში, სადაც ეს ავტოგრაფიანი რარიტეტული წიგნები დღემდე უნდა ინახებოდეს დედოფლისა და უელსის პრინცის პირად ბიბლიოთეკებში, თუმცა სამეფო ბიბლიოთეკებსა თუ ოქსფორდის გამომცემლობაში დაცულ კორბეტულ სიძველეს, ისევე როგორც კორბეტის წიგნებს, კიდევ არაერთხელ მივუბრუნდები ჩემს ვეფხვისტყაოსანში, ხოლო აქ, ტრიტოპსში უკვე ის დროა, როცა მდინარეებიც კი იძინებენ ხოლმე და მე კი არ მძინავს და ვზივარ კორბეტივით ან კორბეტი ზის ჩემსავით, ან ორივენი ერთად ვსხედვართ და ორივენი ერთად ვდარაჯობთ პრინცესის ძილს და 67-წლიანი შუალედით ორივენი ვფიქრობთ ელიზაბეთზე, რომელიც ტრიტოპსში ჩვენი ფიქრების გადაკვეთამდე ბევრი წლის წინათ ათიოდე წლისა ბაბუამისთან ერთად უნახავს კორბეტს ინდოეთში და რომელსაც უფრო ბევრი წლის შემდეგ მეც ვნახავ ლონდონში 86 წლისას, როცა ის ოლიმპიური სტადიონის სამეფო ლოჟის წინკარში შემობრძანდება, ხოლო მისი ორეული პარაშუტით გადმოხტება ოლიმპიადის გახსნის გრანდიოზული საზეიმო ცერემონიაზე შეკრებილი პუბლიკის სასიეროდ, თავად ის კი, რეალური, ოღონდ 60 წლის წინანდელი, აქ არის, ჩვენს შორიახლოს, ტრიტოპსის სასტუმროს მთავარ საძინებელში და ჩვენ, მისი ძილის მოდარაჯეებს, გვგონია, რომ სძინავს კიდევ, თუმცა მას თურმე არ ეთმობა ეს უიშვიათესი სანახაობა და, როგორც მეორე დილით გავიგებ(თ), იმ საღამოს, როცა კორბეტმა თავისი სათავსო მასპინძლებს დაუთმო, რადგან ტრიტოპსში მხოლოდ სამი საძინებელი იყო, პრინცესა გვიანობამდე მდგარა თავისი საძინებლის ფანჯარასთან და კარგა ხანს უდევნებია თვალი ნადირთა ღამეული ცხოვრებისათვის, სწორედ ამ დროს კი აქედან 6000 მილის დაშორებით მამამისი, ჯორჯ მეექვსე მშვიდად შესულა თავის საძინებელში მას შემდეგ, რაც ნადირობიდან დაბრუნებულა, სადაც ის თავისი მეგობართან, ლორდ ფერმოსთან ერთად იყო ნასული და მშვენიერ გუნებაზე მყოფს იმავე საღამოს სანდრიგამის სამეფო რეზიდენციაში ერთხანს შვილიშვილებთან, პრინც ჩარლზთან და პრინცესა ანასთან უთამაშია, მერე თავის უმცროს ქალიშვილთან, პრინცესა მარგარეტთან ერთად უვანხვია, ხოლო მისი დასაძინებლად წასვლის შემდეგ მარგარეტს რატომღაც შორეული წარსული გაახსენდა, როცა 1937-ში მან და მისმა დამ ბიძამათის გადადგომის ამბავი გაიგეს და როცა ელიზაბეთმა უთხრა, ეს იმას ნიშნავს, რომ მამა მეფე გახდება, ხოლო მარგარეტმა იქვე ჰკითხა, და მამასადამე მერე შენ დედოფალი უნდა გახდე, და როცა იმან თავი დაუქნია, ვაი, მე სანყალოო, გულწრფელად მიუგო და ახლა ეს სანყალო აქ არის, ტრიტოპსში, სულ რამდენიმე მეტრში ჩემგან და კორბეტისგან და მე იმაზე ვფიქრობ, თუ როგორ მოულოდნელად მოუხდება მას ხვალ დილით გამეფება, დაახლოებით ისე, როგორც მამამისს მოუწია, თუმცა აქ მაინც არის განსხვავება, რადგან მამამისი, რომელიც უმცროსი მემკვიდრე იყო, სულაც არ ემზადებოდა მეფობისთვის, ელიზაბეთს კი ბავშვობიდანვე ამზადებენ ამ როლისათვის, უბრალოდ ჯერ არავინ იცის, რომ ამ როლის შესრულება მას ხვალდნავე მოუწევს, ხოლო მე, ტრიტოპსის კიბეზე მჯდარი, ელიზაბეთის გარდა თავად კორბეტზე ვფიქრობ, კაცობრივად ვეფხვებზე მონადირე თეთრკანიან ინდოელზე, რეალური ვეფხვების რეალური ტყავების რეალურ მფლობელზე, ანუ რეალურ ვეფხვისტყაოსანზე, რომლისთვისაც რუსთაველის ვეფხვისტყაოსანი და რუსთველური რაინდული სიყვარული დასტურ უცნობი იყო, რაკი მას იმ თავის ნაინტივალში არ უწერია დისერტაციისათაურაინი სასკოლო თემები ვეფხვისტყაოსანზე, როგორც არის, ვთქვათ, „ქალთა სახეები ვეფხვისტყაოსანში“, „მიჯნურობა ვეფხვისტყაოსანში“, „მეგობრობა ვეფხვისტყაოსანში“ ან სხვა ასეთები და, მით უმეტეს, არ ნაუკითხავს ვიქტორ ნოზაძის კაპიტალური ნაშრომი „ვეფხვისტყაოსნის მიჯნურთმეტყველება“, პირველად და უკანასკნელად გამოცემული პარიზში 1975 წელს, რომელშიც ავტორი როცა სხვადასხვა ხალხთა და სხვადასხვა დროის სიყვარულის ფილოსოფიებს მიმოიხილავს,

ძველებრძულ თუ არაბულ სწავლანზე უნინ სწორედ ინდურ, სანსკრიტულ სწავლას განიხილავს თავისი კამასუტრით და საგანგებოდ ჩამოთვლის კამასუტრისეული სიყვარულის ოთხ სხვადასხვა გვარს, რომელთაგან მეორე — წარმოსახვითი სიყვარული ანუ ოცნებით გამოწვეული სიყვარული, თითქმის მთლიანად განმარტავს იმ ჩემს ვირტუალურ სიყვარულებს კინოვარსკვლავებიანად და პრინციესებიანად, დიას, სწორედაც კინოვარსკვლავებიანად და პრინციესებიანად, რადგან თუ ოცნება და წარმოსახვა, ოცნება და წარმოსახვა უნდა იყოს, თორემ თანაკლასელების ან მეზობლის გოგოს სიყვარულზე, რაგინდ ამალღებულები და ფარულიც არ უნდა იყოს იგი, ოცნება არ უნდა მოაცდინო კაცმა და ამ ყველაფერს რომ ვფიქრობდი ტრიტოპსის კიბზე მჯდარი, კორბეტს მიფურუნდი და ყურნალისტური პირდაპირობით ვკითხე, ნუთუ პრინციესა იმ ერთი ლამით მაინც არ შეგიყვარდა-მეთქი და იმან ჯერ ხმა არ ამოიღო, თუმცა რაღა „ჯერ“, ხმა საერთოდაც არ ამოუღია, ისევე როგორც არასოდეს არსად არაფერი უთქვამს თავის ბავშვობისდროინდელ, თუნდაც წარმოსახვითი სიყვარულზე, რასაც ნოზაძის წიგნში, როგორც საკმაოდ გავრცელებულ მოვლენას, ცალკე თავი ეძღვნება და რომელშიც ტრუბადურებისა და მინეზინგერების წარმოსახვითი სიყვარულის მიმოხილვის შემდეგ ავტორი წერს, რომ — არამცთუ მარტო მერლოლიში, არამედ ცხოვრებაშიც ცნობილი არის სურათის მიხედვით გაცნობა, მოწონება და დაქორწინებაც კი და ეს ჩვეულება ყოფილა მეხუთმეტე საუკუნემდეც, როცა ფილიპ ლებონ-მა 1428 წელს მოისურვა პორტუგალიის პრინსესა შეერთო, თავის საელჩოს გააყოლა მხატვარი იოჰანეს ვან ეიკი, რომელსაც დაავალბული ჰქონდა მისი სურათი დაეხატა — და შემდეგ ნოზაძე წერს, რომ — მეხუთმეტე საუკუნეში ხშირია თხრობა, რომ სამეფო სასიძის შეუყვარდებოდა უცნობი პრინსესა ამისი ნახატის ნახვის შემდეგ, როგორც ამბობს პოლლანდიელი მკვლევარი როკონიგო და ასე შეუყვარდა, მაგალითად, ინგლისის მეფეს რიჩარდ მეორეს ფრანგი პრინსესა, ექვსი წლის იზაბელა, და გარდა ამისა, ხდებოდა აგრეთვე საცოლეს არჩევა სურათთა შედარების ნიადაგზე, და როდესაც სურდათ საცოლე მოეყვანათ ახალგაზრდა ფრანგ მეფე შარლ მეექვსესათვის (1366—1422), ყოყმანობდნენ თუ რომელი ასული მოეყვანათ — ბავარიელი, ავსტრიელი თუ ლორენელი — და მაშინ გაგზავნეს ეს მხატვარი, და მეფეს ეს სურათები წარუდგინეს და აირჩია იგი, რომელიც მას მოეწონათ და ამის შემდეგ ნოზაძეს კიდევ მრავალი მსგავსი მაგალითი მოჰყავს და საერთოდაც, მისი რუსთველოლოგიური გამოკვლევები ძალიან საინტერესო საკითხავია, არა მარტო სპეციალისტთათვის, და ყველა ვურჩევ, თუ სადმე ამ იშვიათი წიგნებს გადაანგებობთ, ნაუკითხავი არ გაუშვავთ და, რა თქმა უნდა, ვურჩევ მისი ნაკითხვა კორბეტსაც, როცა ჩვენ ტრიტოპსის კიბის ზედა საფეხურზე ვისხედით და დიდი ბრიტანეთის პრინციესის ძილს ვდარაჯობდით და ჩვენს ძველ წარმოსახვით თუ რეალურ სიყვარულებს ვისხედობით, უფრო სწორად მე ვიხსენებდი, ის კი, კორბეტს, ჩემად იჯდა, ხმას არ იღებდა და იმ ლამის ამბებს მხოლოდ სამი წლის შემდეგ გაიხსენებს თავის ბროშურაში „ტრიტოპსი“, თუმცა, სამწუხაროდ, იმ წიგნში ჩემი ხსენებაც არ არის, რადგან, როგორც ჩანს, კორბეტმა ჩათვალა, რომ ჩემი იქ ყოფნა და ჩემი ლაპარაკი წარმოსახვითი სიყვარულზე უფრო ნამდვილი წარმოსახვა იყო, თუმცა განა არ შეიძლება, რომ წიგნში წარმოსახვითი ამბებიც აღწერო, მაგრამ საქმე ის არის, რომ იმ ლამის კიბზე ჩემი და კორბეტის ერთად ჯდომის პრინციესის ძილის სადარაჯოდ უნინ ჩემი წარმოსახვა იყო, ვიდრე მისი, ხოლო სხვისი წარმოსახვა როგორ უნდა აღწერო შენს წიგნში, წარმოდგენა არა მაქვს და ამიტომ იყო, რომ თუმცა ვიცოდი, იმ ლამის ამბები კორბეტის წიგნში ვეროვან ასახავს ვერ პოვებდა, მაინც ისეთი ხალისით ვუყვებოდი წარმოსახვითი სიყვარულზე, რუსთაველის ვეფხისტყაოსანსა თუ ნოზაძის „მიჯნურთმეტყველებაზე“, თითქოს კენიაში სწორედ ამისათვის ვიყავი ჩასული და რატომღაც მეგონა და ახლაც მგონია, რომ მას ეს ყველაფერი ძალიანაც აინტერესებდა, რომ როგ-



ორც ინდოეთში დაბადებული და გაზრდილი ადამიანისთვის, მისთვის მეტად თუ ნაკლებად ახლობელი უნდა ყოფილიყო სიყვარულის სანსკრიტული მოძღვრება, ერთი მხრივ, და ვეფხვის შეყვარებულად წარმოსახვის რუსთველური მეტაფორა, მეორე მხრივ, და, მართლაც, უნდა გენახათ, რა ინტერესით მისმენდა, როცა ვეფხისტყაოსნის იმ ცნობილ და მისთვის მანამდე უცნობ სტროფს ვუკითხავდი, რომელშიც სიყვარულით აღვზნებულ ტარიელს ვეფხის კოცნა მოუწია ნესტან-დარეჯანის ემხით და მერე, რაკი ინგლისური თარგმანი თან არ მქონდა, ჩემი სიტყვებით მივუთარგმნე, როგორც შემეძლო და თან ამ სტროფის ვიკტორ ნოზაძისეული ანალიზიც გავაცანი მარტივი ენით და ისიც მოვუყევი, მერვე თუ მეცხრე კლასში როგორ ნელ-ნელა გარეაღმარდნენ ჩემი წარმოსახვითი სიყვარულები, როგორ ჩამოვიდნენ „გაზაფხულის“ თუ თბილისის სხვა კინოთეატრების ეკრანებიდან, როგორ ამოყრიაშულდნენ გადასასვლელ ხიდთან ნაყიდი ფოტოებიდან თუ გაჭირვებით ნაშოვი უცხოური ყურნალებიდან, როგორ მომისხდნენ გვერდით საკლასო მერხზე ან როგორ დადიოდნენ ჩემთან ერთად პიონერთა სასახლეში თუ მოზარდ მაყურებელთა თეატრში, როგორ დაინყეს ჩემთან დაჭერობა-დამალოზნას ნაცვლად სახლობა-სიყვარულობას თამაში უბანში, სკოლასა თუ კინოდარბაზებში და როგორ დაუკავშირდა ეს ტრანსფორმაცია ვეფხისტყაოსანს, რომელსაც სწორედ მაშინ გავდიოდით სკოლაში და როგორ შემეყვარდა ამის გამო ჯერ ნესტან-დარეჯან-თინათინ-ასმათები და მერე ვეფხი და უფრო მერე ვეფხის ხათრით ვეფხეები და სხვა ცხოველებიც და როგორ დავინყევი ელიზაბეთიან მარკეტთან ერთად ცხოველებიან მარკეტის შეგროვება, რომელთაგან საუკეთესობად დღემდე პორტუგალიის კოლონიების, ჩრდილოეთ ბორნეოსა თუ კენია-უნგანდა-ტანგანიკის ძველი მარკები მიმაჩნდა, ჩემიპიონები კი მაინც ბურუნდისა და ზოგიერთი სხვა აფრიკული ქვეყნის ახალი მარკები იყვნენ, თუმცა რაღა ახალი, მას შემდეგ ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა, რასაც ჩემი სიყვარული იმ მარკებისადმი სულაც არ გაუხუნებია და რაკი ჩემი ყვებით კორბეტის დანიტერესება დავინახე, თითქმის მთელი ის თავი მოვუყევი ნოზაძის წიგნიდან, ვეფხვს რომ ეძღვნება, მაგრამ ყველაზე მეტად კორბეტი თბილისთან მოკლული ვეფხვის და აგერ რამდენიმე წლის წინათ თბილისის ზოოპარკიდან გაქცეული თუ დაკარგული ვეფხვის ამბებზე და ანაინტერესა, თუმცა ისიც მკითხა, ინგლისურად თუ არის ნათარგმნი ეგ შენი ნოზაძეო და არა მეთქი-რომ ვუთხარი, როგორც კი ითარგმნება, გამაგებინეო, მითხრა, ხოლო ვეფხისტყაოსნის ყველა ინგლისური თარგმანის ამბავი მანამდე გამოვიკითხა და, როგორც მასსოვს, ჩაინიშნა კიდევ, და რადგან წიგნებზე ჩამოვარდა სიტყვა, ბარემ ისიც ვუთხარი, რომ ორი წლის წინათ თბილისში დაიბეჭდა ჯიმ კორბეტის საერთაშორისო კვლევითი ჯგუფის კოლექტიური ნაშრომი „ჯიმ კორბეტის ნაამბობს მიღმა“ ინგლისურ ენაზე, რომლის ავტორები არიან დღეს უკვე ჩემი

მეგობრები ინდოელი პრივრატ გადვი, მორიქელი პრიტუმი ლირაგო, იგივე კოტეჩა კრისტოფი, გერმანელი მანფრედ ვალტლი, ბრაზილიელი ფერნანდო კევედო დე ოლივეირა და ჩემი ძველისძველი მეგობარი, ავსტრალიელი ჯოზეფ ჯორდანი, და ისიც ვუთხარი, რომ ამ უკანასკნელმა წიგნის ერთი ეგზემპლარი ინგლისის დედოფალს გაუგზავნა, კორბეტსუდის ამბებიც გააცნო მოკლედ, კენიაში ჩვენ მოგზაურობაზეც ჩაუგდო სიტყვა და მალე ბუკინგემის სასახლიდან მადლობის წერილიც მიიღო, რომელშიც დედოფალი სოსოს მათი ნაშრომის მეორე ტომის გაგზავნასაც სთხოვს, თუმცა მეორე ტომი კი არა, კორბეტს მგონი პირველი ტომიც არ გადაუთვალა ვეფხისტყაოსანზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, რადგან, ჯერ ერთი, რაგინდ უკვე თადარიგში გადამდგარ კოლონელს და სერიოზულ აქტივობას ჩამოშორებულ მონადირეს, საქმე მაინც ბლომად ჰქონდა, რაკი, ჯერ ერთი, პირველი კენიური ტურისტული კომპანიის „საფარილენდის“ დირექტორი იყო და შეძლებულ ევროპელებს კენიის სანახებში დაატარებდა და მეორეც, იმ დღიდან ბევრი აღარ უცოცხლია, სამი წლისა და ორი თვის შემდეგ გარდაიცვალა, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ბევრი რამ, რაზეც ჩვენ იმ ღამეს ვისაუბრეთ, ზოგადი გამოცდილებისა თუ განწყობილების სახით მისთვისაც ნაცნობი და ახლობელი უნდა ყოფილიყო, აღწერა ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა ძალიან ახალგაზრდა იყო და არა კაცობაშია, არამედ ჩვეულებრივ ვეფხვებზე სპორტული ინტერესის გამო ნადირობდა ჰიმალაის კალთებზე, სადღაც ინდოეთისა და ნეპალის საზღვართან, სადაც მერე თოვლის კაცის კვალსაც აღმოაჩინენ, რომლებიც, ვინ იცის, რუსთველისეული ქაჯების პროტოტიპებიც არიან და რომლებზეც, გაოცებულნი და, ცოტა არ იყოს, დაბნეული წერდა მსოფლიოს პრესა სწორედ იმ დროს, როცა პრინციესა ელიზაბეთ უინძორი და პრინცი ფილიპ მაუნტბატენი კენიისკენ ამგზავრდნენ ლონდონიდან და არც ის იყო შემთხვევითი, რომ როცა ტრიტოპსის ვერანდის შორეულ კუთხეში პაპიროსის მოსაწევად განმარტოებულ კორბეტს ჰერცოგიც შეუერთდა, თუმცა თავად მწვეელი არ იყო, მასთან სასაუბრო თემად სწორედ ნეპალი და თოვლის კაცი აირჩია და დანერვილებით გამოჰკითხა ნეპალის ამბები, რაკი გაიგო, რომ კორბეტი პირადად იცნობდა ინგლისელ მოგზაურსა და მთამსვლელს ერიკ შიპტონს, ვინც ხელმძღვანელობდა წინა წელს ევერესტზე მოწყობილ ბრიტანელთა ექსპედიციას და ვინც მოახერხა იმ სამხინელი თოვლის კაცის ნაკვალევის ფოტოგრაფირება და სტატიებიც გამოაქვეყნა „ტაიმსში“ და კორბეტის პასუხმა, რომ მას არ სჯეროდა ამ ამბისა, მაგრამ არც შიპტონს ადანაშაულებდა და ფიქრობდა, რომ ის ვილაცამ გაათამაშა, ჰერცოგი ისე ხმაძალდა გააცინა, რომ პრინციესამ ცოტა ხნით სინეკამერა ჩამოუშვა და მათკენ მოიხედა, მაგრამ ისინი მალევე დასერიოზულდნენ მას შემდეგ, რაც კორბეტმა, გამოცდილმა მონადირემ, ჰერცოგს უთხრა, რომ მისთვის ძნელი ასახსნელი იყო, რატომ არ გაჰყვა შიპტონი ნაკვალევს ბოლომდე, რაზეც ჰერცოგმა უპასუხა, რომ მასაც გაუჩნდა ეს კითხვა და როცა ამის შესახებ თავად შიპტონისთვის უკითხავს, მას ეს იმით აუხსნია, რომ კვამელიც იწვებოდა, საიდანაც ქარს მთლიანად გადაეყარა თოვლი, და ასეთივე კლდეც წყდებოდა მცირე მანძილის შემდეგ, ხოლო იმ პატარა მონაკვეთზე, რომელიც თოვლით იყო დაფარული, მხოლოდ რამდენიმე ნაფეხური აღბეჭდილიყო და თუმცა შიპტონს, მისი თქმით, უცდია კვალის გაგრძელების პოვნა, ეს ვედარ მოუხერხებია, მაგრამ რაც მოახერხა და გადაიღო, მაინც იმდენად სენსაციური აღმოჩნდა, რომ აგერ, კენიაში, ტრიტოპსის ვერანდაზე დიდი ბრიტანეთის სამეფო უფლისწულის მეუღლე, ედინბურგის ჰერცოგი და მსოფლიოს უპირველესი მონადირე, პოპულარული წიგნების ავტორი ჯიმ კორბეტი დგანან და სწორედ შიპტონის ამ ფოტოებზე ლაპარაკობენ და ჰერცოგი, რომელიც ნეპალში, მგონი, დღემდე არ არის ნამყოფი, ინტერესით ისმენს კორბეტის მონათხრობს ნეპალზე, რომელიც ამ ქვეყნის იდუმალებას, უელსის პრინციის ალბერტ-ედუარდის, შემდგომში ედუარდ მეშვიდის 1876 წლის ნეპალურ ნადირობას და

იქაურ კაცობაშია ვეფხვს არ სცილდება, გარნა ეს საუბარი ერთი წლის შემდეგ რომ შემდგარიყო, მაშინ, იცოცხლე, სალაპარაკო თემა გაცილებით ფართო იქნებოდა და აუცილებლად გადასწავებოდა ევერესტზე პირველ ასვლას და ჯონ ჰანტის ცნობილ ექსპედიციას, თავისი ედმუნდ ჰილარითა და თენსინგ ნორგეით, რომლებსაც ედინბურგის ჰერცოგი ლონდონში შეხვდება ევერესტის დაპყრობის შემდეგ, როცა ელიზაბეთი, უკვე დედოფალი ელიზაბეთ მეორე, მათ დაჯილდოებას იწვევს, ხოლო ჯონ ჰანტსა და ედმუნდ ჰილარის სერის ტიტულაციას უბოძებს, მაგრამ იმისათვის, რომ ელიზაბეთი გადედოფლებას, რადგან სამწუხაროდ არ უნდა იყოს ეს მისთვის, როგორც მშობლების მოყვარული ახალგაზრდა ქალისთვის, მამამისის სიკვდილია საჭირო, რის მერეც, რაკი „სხვა-ქ-არ-ესვა-მეფესა“, სწორედ ის, მეფის უფროსი ქალიშვილი გამეფდება, ზუსტად ისე, როგორც ეს ვეფხისტყაოსანში ხდება, რომლის ერთი ყველაზე ფრთიანი აფორიზმი „ლეკვი-ლომისა-სწორია-ძუ-იყოს-თუნდა-ხვადია“ ისე აიტაცეს გენდრული თანასწორობისთვის მებრძოლმა ჯერსუფრაჟიტებმა და ახლა ფემინისტებმა და საზოგადოებრივ სხვადასხვა ჯურის ლიბერალებმა, თითქოს აქ მარტო გენდრზე იყოს ლაპარაკი და თითქოს რუსთაველის „ლეკვი ლომისა“ თავისთავად გულისხმობდეს კატის კნუტსაც, სპილოს ბალიყსაც, ფირფის ყრიფსაც, ყვავის ბახალასაც, ინდაურის ჭუქსაც და იხვის ჭუჭყლებზე და თითქოს რუსთაველისთვის ლომი სულაც არ ყოფილა ცხოველთა სამყაროს მეფე და თითქოს მისი ძუ-თუ-ხვადი ლეკვების სისწორე და ტოლობა პრინციესებსა და პრინციებს არ გულისხმობდეს, მაგრამ ჩვენ ხომ ყველაფრის საკუთარ სურვილებზე თუ მიზნებზე მორგების საოცარი ნიჭი გვაქვს და უმეტეს შემთხვევაში მცდარ სანყის დებულებაზე ისეთ თეორიებსა და დასკვნებს დავაშენებთ ხოლმე, რომ ის სანყის დებულება პირდალბული რჩება, ეს რა მაგარი რამე ყოფილვარო, და ახლა აღარ მახსოვს, ვუთხარი თუ არა ეს ყველაფერი კორბეტს იმ ჯადოსნურ ღამეს, რადგან დილისკენ, როცა მდინარეები ცოტა ხნით მართლა იძინებენ, მგონი, მეც ძილმა წამილო და თანაც აფრიკისთვისაც კი ისე სწრაფად და ისე შეუმჩნელებად გათენდა, რომ ვერც გავიგე, როგორ ჩავიდა კორბეტი წყალზე, როგორ გაიპარსა და ახალგაღვიძებულმა ისღა მოვახერხე, მზერით ამეცილებინა იგი აივნისაკენ, სადაც საუზმის მოლოდინში პრინციესა ისევე ვერანდაზე გასულიყო, ხელში ექსპონირებული ეჭირა და კოლონელ პარკერთან ერთად წყალსატევის თავზე ნებისად მოლოდინი არწინებს უყურებდა და თან, როგორც ჩანს, ბებერი მარტორქის გადასაღებად ემზადებოდა, რომელიც მალე თავის ძველ მეტოქესთან ან ახალ რაყიფთან რქაჩართულ ჩხუბში უნდა გადაშვეულიყო, და სანამ პრინციესა ამ თვალსაყვირო სპექტაკლზე იღებდა, კორბეტი მონუსხული მისჩერებოდა მას და თითქოს ჩემი ნუხანდელი ლაპარაკის გავლენაო, ვგონებ, პირველად მაშინ დაინახა ელიზაბეთის მშვენიერება, და მე ძალიან გამიხარდა, რომ იმ დღილით კორბეტი ჩემი გავლენით მოხიბლული ყმანეილივით ამჩნევს მის სილამაზეს, მის თვალებს, რომლებიც, იმის მიუხედავად, რომ პრინციესას სულ რამდენიმე საათი ეძინა, მხიარულად ციმციმებდნენ, და მისი სახეს, ყვავილის გამაღილ კოკორს რომ ჰგავდა, და მის ლოყებს, რომლებიც ვარდისფრად შეუფერვლოდა და თანაც ყოველგვარი ხელთახლო საშუალების გარეშე, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენია კორბეტს და საგანგებოდაც აღნიშნავს თავის წიგნში და იქვე დასძენს, რომ სახის ეს ბუნებრივი ფერი მან ბაბუამისისგან მიიღო მემკვიდრეობით და კორბეტი იხსენებს, როგორ ნახა ბაბუა-შვილიშვილი მრავალი წლის წინათ ზამთრის ერთ მშვენიერ დღეს განგის ნაპირებზე, მე კი პრინციესის კორბეტისეულმა აღწერამ ელიზაბეთის მეორე ვერბალური პორტრეტი გამახსენა, რომელიც კორბეტის წიგნამდე წავიკითხე ჟურნალ „ლაიფ“ის ზემოთ უკვე ნახსენებ მომენტში, სადაც, ყურნალის გარეკანზე დაბეჭდილი შავ-თეთრი ფოტოს ანოტაციაში, თუ არ ვცდები, პირველად არის აღწერილი დედოფლის პირისახე ისეთი სიტყვებით, თითქოს საქმე მართლა



ნათია გიორგაძე

 მე ვიხრები შენკენ,
 ბევრად იოლია განზე დგომა,
 მაგრამ არ გამომდის განზე დგომა,
 ხედავ? რა ძნელია, ზმნის პირივით
 ერთგული იყო,
 როცა მიმიბა მან მე მას ის,
 ანუ ცხოვრებამ დაოთხილი
 კი არ მატარა,
 არამედ დამსვა ხელისგულზე
 და ცხრაკლიტულში.
 ხედავ ამ სტრიქონებს?
 — დახოცილ მტრედებს...
 ასე ვისწავლე დარდის ჩაკვლა,
 ზღვის ვარსკვლავივით რომ მიგდია
 გულისჯიბებში, ასე ვისწავლე
 სიყვარულზე გადაბიჯება,
 როცა კარია დასაკეტი და არ კეტავენ.
 ხედავ? ერთდღიან სამუშაოზე
 წასული მუშა შინ არ ბრუნდება,
 არავინ რჩება მოტირალი,
 არავინ რჩება ვალდებული,
 იზრუნოს მასზე.
 ხედავ? რა ძნელია,
 მკვდარს ძუძუ ანოვო
 და სამარეში ჩაკრა, დატოვო,
 როცა მას აღარც ეძინება და აღარც შია.
 მე შენ გადიდებ, დალოცვილო,
 შენს მეტი ვინ მყავს?
 კედელზე სურათს ჩამოკვიდებ,
 სურათზე არ ჩანს არაფერი!

 ცხრა იენისის მერე
 ახალი ლექსების სეზონია,
 ცხოვრება არ მიდის,
 საზომი არ ზომავს სიდიდეს,
 სიტყვები გამხდარა საძებარი,
 აღარ მინდა, აღარ მინდა შენთან.
 კატამ გაზნიქა წელი, კნუტები
 მუცელში დათვალა, ბრჭყალები
 იატაკს მოუსვა, კინალამ გავკატდი,
 კინალამ გავხდი მყუდრო, შინაური,
 ბრჭყვილა,
 როგორც გისოსებს მიღმა ქალს,
 მზეს გაუფლიმე, შოთა ჩანტლაძის
 მეგობარი ზურა კიკნაძე გამახსენდა,
 პირველად რომ ვნახე ქუთაისში,
 მას ჩემი პირველი წიგნიც კი ენახა
 და მითხრა სიტყვები, რომელსაც
 ვინახავ დღემდე, რომელსაც ვენდობი
 დღემდე, რომელსაც ვატარებ დღემდე
 გულით. ვახსენე ღმერთი და გამოვხატე
 სიყვარული მისდამი, ასე დამთავრდა

ეს ამბავი, აგრილდა კიდეც. საღამო ხანს
 თვალდახუჭულმა გამოვიღვიძე.
 აღარ ისმის, წლებია,
 შენი ხმა და ძახილი.

 დაგინახე
 მაშინ, როცა შენ მხედველობიდან გამოგრჩი,
 მაშინ, როცა არ იყო ექო, მაშინ, როცა არ იყო ექიმი,
 დაგინახე, ისე გეშინოდა, გავიტრუნე,
 ისე მიყვარდი, ვერ გითხარი, არ მინდოდა
 შენი ტანჯვის მიზეზად ყოფნა,
 რადგან მამაშენი,
 მერე დედაშენი, მერე ძმები...
 და მთელი ქვეყანა თმით გითრევედა,
 შენს თმაში გაშლილი გაზაფხული,
 ან თოვლზე პეპლები და სიტყვები
 დაიხოცებოდნენ.
 დაგინახე:
 როგორ ამარიდე თვალი,
 როგორ არ დამიმახსოვრე,
 როგორ არ გინდოდა, რომ გული გტკენოდა.

ეს ამბავი არც მე მითქვამს,
 იმ სახლში, სადაც ღმერთი მომცეს,
 დედა მეცხრე ცაზე გასულიყო,
 მამას მზე რომ ციდან ჩამოჰქონდა,
 ჩემდა გასაკვირად, მიყვარდა ორივე.

შენ, ისე მეცოდები, რაც დრო გადის,
 შენ, ისე უცხოვდები, რაც დრო გადის,
 შენ, ისე შავინწყდები, რაც დრო გადის,
 რომ ვშიშობ, ვაითუ, ცრემლი არ მომწყდეს,
 ვაითუ, გულზე დაგაკლდეს წვეთი,
 მომაკვდავს ვერ გითხრა, ხმით
 როგორ გეძებდი?!
 ვეფხვი არ გამოსცემს იმ ხმას,
 უფრო უმწეო და ვინმე განწირული.
 მწყინს, წყდება ეს ამბავი აქ!
 ვისაც გინახავთ დედაჩემი
 1973 წლის 31 იანვრის შემდეგ,
 მითხარით, როგორია დედაჩემი?

 ვინც ახლა მისმენთ, ყველას, უკლებლივ
 გაქვთ შანსი, იქცეთ შემრაცხველებად,
 რადგან ადამ.ჯი შეენირა
 ჩემს დაუდევარ, ვინო ხასიათს
 და მისმა გულმა შეინოვა სისხლი ბოლომდე,
 რომ არასოდეს მისაყვედუროს.
 მე, გაფანტული მილიონ ხმაში,
 თვალს მხოლოდ მწვანე მინდორს ვადევნებ,

მხოლოდ სხვებს ვხედავ
 ამ მინდორში შეფარებულებს.
 ჩვენ ჯავრი არ გვაქვს...
 მან ამოჭამა რკინაც და ძვალაც
 და ერთმანეთის დაკარგვის შიშზე
 გამობმულ ძაღლებს, გარეთ წაწაღის
 მიუხედავად, მაინც სახლში მოგვიხარია
 და მაინც ვწვებით კარის ზღურბლთან,
 რომ მას, ერთადერთ იმედს, ეძინოს
 მშვიდი ძილით და უმტკივნეულოდ
 და როცა დილით გაიღვიძებს,
 და როცა დილით გაგვიღვიძებს,
 ღმერთო, რა ბედნიერებაა,
 მისი ამქვეყნად მოვლინება,
 მისი ყურება, სხვა ყველაფერი
 უმოქმედო, უსაგნო და უინტერესო
 უნდა იყოს,
 ღმერთო, რად არ არის ის, რაც
 უნდა იყოს?!

 რისი გულისთვის მაქვს ნეტავ
 გული? იქ, ისევ ცივა,
 ისევ დღეებს ავიწროებენ,
 იქნებ ნემსის ყუნწში
 გაატარონ.
 ჩემი ბავშვობის მეგობარი,
 რომელსაც ვერ ვცნობ,
 გუშინ დაკრძალეს.
 ცოცხალი დარჩა მისი ძალღი
 შავი, ღრუბელივით გაბერილი.
 დილით, ცეცხლისთვის, უცხო მოდის,
 შენ უღებ კარს და თვალებს ხუჭავ,
 რას დაინახავს დახუჭულ თვალებში?
 ის კი ხმას არ მცემს, არ ვუნდივარ,
 არაფერში ვეპიტნავები,
 მე ილღიებში ყვავილებს ვმალავ,
 ჩაის ვუმზადებ და ვარდისფერ
 ლოყებს ვარიდებ,
 მხოლოდ სიტყვები,
 როგორც ლოცვა სალიტანიო,
 ამომდის პირიდან, სული
 უსიამო, სახლში უსიერი
 სულ სხვა ლაპარაკი
 იყო. წამოვედი.
 ჩემი საკუთარი ამბით
 დავინწყებდი,
 მაგრამ ადამიანს:
 გარს ვუარე, ქვა მეგონა,
 არ მოვეშვი,
 ღვთისნიერი გამოდგა.

 ქარმა წაიღო ქალაქის ყვავილები,
 ნითელი, მარადმწვანე ბუშტები
 და ცისკენ მავალი ქორი,
 ბრჭყალებით მიკრული
 საქანაო კიბეზე,
 ის, რაც ერთბაშად გიტაცებდა,
 ის, რაც გითრევედა,
 ჩამოქცეული ჯოჯოხეთამდე.
 სულ არ ვაპირებ ამ სიტყვები
 გულის გადაშლას,
 ვინც მიცხალა
 საავადმყოფოებს,
 ვინ განიკურნა?
 ვინ გადარჩა?
 ვინ ამჯობინა
 თავი თვითმკვლელებს?!
 როგორ არ მინდოდა,
 მესწავლებინა შენთვის
 ის, რაც სიავით მავსებდა...
 რისხვა...
 ქვეყანაზე ღმერთია,
 შენი, შორეული ნათესავი.

 დაჯექი, შენი შიში მოყევი,
 ჯვალის დაგაფარებ თავზე
 ოლარევით,
 მღვდელს ვერ შეედრება დიაკონი,
 ამქვეყნად ბუკოვსკი ერთია!
 მანქანებს მიათრევენ მანქანებით,
 ვარსკვლავებს — საჰაერო ბურთის ბერვით,
 მკვდრებმა შეისწავლეს უფლის გზა და
 სიტყვის ამოტანა ზედაპირზე.
 იმ ქალს, ვაშლით სავსე
 კალათა რომ მიაქვს,
 კაბიდან გველები უცვივია,
 თვალელები ნაცარი აყარეს,
 ატარეს ლექსიდან
 ლექსებში.
 ყვიროდა, მიშველეთ-ო.
 დაყრუვდა
 და უფრო აყვირდა!

ჩვენი ეზოს ჩიტები...
 შენ ბალახს მოკრეფ, მე — ყვავილებს,
 რამდენ მზედ გეყოფა ეგ საბანი?
 რამდენ იავ-ნანად მოლაღურის
 არც თუ ისე ტკბილი მოძახილი?
 იმ ქალს გადაყვი, მისმა ძებნამ
 გაცვითა შენი სისხლძარღვები.
 ბულბულს ინატრებ სამოთხეში
 და ამერიკელ პოეტებს — თავიქვეშ,
 უი, უი-ო, ბუ რომ იტყვის და დიდრონ თვალებს
 გადაიტანს უკან, ღამეში შევიკეტებით.
 ყველა შეყვარებულს თავისი ყვავი ჰყავს.
 აქ დავასახლოთ ჩვენი შვილები,
 შენ ბალახს მოკრეფ, მე ყვავილებს,
 როგორც სულის ახსნა,
 საცვლების გარეშე სიარული,
 დრო გავა, პირველდაქვრივებულს
 სიტყვა მიეცემა და ამ ფრინველებში
 გამოჩნდება ის, ვინც უშველის
 სიმწრის დროს მართო დარჩენილ
 შაოსანს...
 შენი ან ჩემი თავგანწირვა,
 რასაკვირველია, ტოტემია,
 სადმე ტოტებიან მდინარეში
 ხეს ჩავდგამ სახლივით
 და ყველას გავაცოცხლებ!

ალექსანდრი

ტბა რომ მქონოდა,
 და მქონოდა სოკოს კარავი,
 ძალამოკრეფილ ავადმყოფზე
 მეტი იმედით, სულს ავივსებდი
 ღია ცის ქვეშ...
 და ვიქნებოდი სულუკვდავი,
 სულკმაყოფილი.
 მიდი ახლა და იოცნებე,
 თავი ახალე ცის ვარსკვლავებს
 სიყვარულისთვის,
 ქიმებს შეახმე განყვეტილი
 შუბლის ძარღვიდან
 გამოყოფილი ჟუჟუნა წვიმა,
 სადაც ის ჩავა, ნეტავ, იმ ორმოს,
 იქ მწოლიარეს!
 შევხედოთ ერთად მოხუც მამას
 ნეტარსახსენებელს,
 შევხედოთ სხვის მამებსაც,
 მილიარდობით ჩამქრალი
 თვალი უყურებს კოვიდს.
 უნდა მოვიდე შენთან ახლოს,
 ძალიან ახლოს.
 გადი-გამოდის აივანზე
 დილის მზის სხივი,
 მხოლოდ ის ახსოვს,
 რომ...
 დაიბადა.

 ის, ვინც გახარბებს საკუთარი ყანის
 სიმწიფეს, ვისაც აღუვსებლად ეგულები,
 თითქოს შორიდან მოსულიყო,
 თითქოს პურს ითხოვდეს ან სიმღერას.
 ვისაც საბერო და სამღერეთი
 ტანზე ჩამოგშლია ქვა-ლორღივით
 და არ დაგცემია შიშის ზარი,
 ხშირად წამოგცდება სისულელე,
 თითქოს ყველაფერი გიხარია,
 აი, გათენდა და გიხარია!
 თვალი დახუჭე და გიხარია!
 სიტყვამ გაგიჭრა და გიხარია!
 ლუდი დალიე და გიხარია!
 ჭიას ახარებ და გიხარია!
 ვაი, იმ ჭიაზე უმცირესო,
 შენმა ხერხემალმა ჭიათვალის
 ველარ ჩახრახნა და ჩაიძალა,
 შენი ტანსაცმელი თავთავების —
 ყველამ თავ-თავისად დაირიგა,
 განქარდა მტვერიც ოქროსფერი
 აღმოსავლეთიდან დასავლეთით.

 მიეცით პრემია
 ყველას, ვინც მზად არის
 მის მისაღებად.
 ყველას, ვინც იღვანა,
 ვინც გული დაავსო
 მზის ჩაქრობით,
 ვინც სათქმელს მიაგნო,
 ვინც ჩემთან ახლოსაა:
 ჩემს ბიძაშვილებს,
 დეიდაშვილ-მამიდაშვილებს,
 იმათ მონაგარს, და-ძმას,
 სადაც რომ იქნებიან,
 გაუნანოთ სიხარული,
 ამ ქალს კი, გზააბნეულს,

მიეცით იმედი,
 რომ დაბრუნდება დედამისთან,
 როცა იქნება,
 როგორც მე
 ჩემი მასწავლებლის
 საფლავის ქვაზე
 მიმაქვს სიტყვები,
 დაბადების დღის მისალოცი!
 მიეცით პრემია ყველას,
 ვისაც ეპრიანება
 მისი ბრჭყვიალა ზედაპირი.
 აქ — მისამღერიც:
 ბუხრის თავზე ჭრახვი მიდგას,
 ღამის მოსვლა მიხარია!

 მპარავები მომრავლდნენ,
 ვინ რა იპოვა? ვინ რა დაკარგა?
 ვინ დარჩა კმაყოფილი?
 ეს ლექსი მრავლდება
 ჭაობიან ადგილებში,
 და ჩემი ფილტვის კარზეც.

ნაღებულია ყველაფერი,
 რაც შეიძლება არ გაგეცა
 ჩვეულებრივად,
 რაც შეიძლება ძვირფასი ყოფილიყო,
 ნაღებულია დედის სურათი,
 რადგან ვერ მოასწრეს ამოღება
 ოქროს ლარტყებისგან.


თითქოს დაკარგა ბელურამ ბარტყი
 და ცივ ღამეში ტირის
 უფრო ჩემს გასაგონად.
 მე ვინარჩუნებ დისტანციას,
 როგორც ერთადერთ საშეს
 სიცოცხლეში.

რადგან იმ სახლში, სადაც ბუდე მკვდარ
 ჩიტებს იხმობს,
 როგორც ციხეში, აღვიძებენ
 სიკვდილმისჯილებს,
 ეს ლექსი გამხელს,
 და გიყვარებს,
 მოდი, ჩამოჯექ, ჩემთან ახლოს,
 შეგეერგოს, რაზეც თვალი დაგჩა,
 რაც ნავილია...

 რომ არა ჩემი პატარა შვილი,
 დავისვენებდი,
 რომ არა ჩემი დიდი ქმარი,
 წამოგყვებოდი,
 შენი სიმშვიდე, თითქოს თოვლში
 დროგამოშვებით იკარგებოდე
 ძაღლების ყეფა,
 თავს რომ იქებენ
 ღობის იქეთ დარჩენილები.
 რა დაღვეს ამ წყალს დაგუბებულს?
 ამ სარწვევლად ხიდს რა გაივლის?
 სიმალის შიში იქეთ იყოს, სიზარმაცემაც ამიტანა.
 ერთი კი არა, ორი ფეხი მიდგას საფლავში.
 ორაკულს ვკითხოთ, რა მოგველის?-ო,
 ისე ვიცინე, ტირილი წამსკდა...
 ჯერ ჩემმა შვილმა და ჩემმა ქმარმა
 ის არ იციან,
 როგორ უნდა მორთონ ნაძვის ხე?
 არ წამიყვანო, გთხოვ, გადადე,
 მცირე ხნით მაინც ეს საიდუმლო,
 კრინტსაც არ დაგძრავ არავისთან,
 რომ გადამაგდე.

 ღამდება, ისე გიყურებ,
 რომ ვერასოდეს დამემსგავსო,
 გიყურებ, არაფერს ვაშავებ.
 ნაძვის ტოტები მეჭონე ქარივით
 დამძახიან,
 ცის ნაჭერს ვავსებ შამაიებით,
 იცეკვონ, როგორც წლების წინ
 გუბეში.
 მე წამოვედი დიდ ქალაქში,
 ყრუ სოფლის ტალახს გამოვცილდი,
 მივყიდე სული (თურმე) ეშმაკს
 და სახლი უცხოს, მეგონა, ავშენდი.
 ბედს ვეწიე, წინ გავიხედე.
 იქცა ეზო-კარი საბალახოდ,
 იქცა ტაბასტად და ტყვიამფრქვევად
 დრო, ისე ტკბილი და ისე ლალი,
 როგორც შესანიერი,
 ბოლო დროის...
 ფოტოებზე,
 სულ მართო ხარ, დედაჩემო,
 მამაჩემი არსად არის,
 არც სკვინჩა და გულწინათეა.

მაია წიქარიშვილი



 ჩემი სამშობლო
 კაკლის ხეა,
 ვინ არ ესერის ქვას?

 ჭაში იჯექი,
 ჩემი ხმა შენამდე
 მოაღწევდა თუ არა,
 ჭა მიბრუნებდა პასუხს.

 ბავშვობაში გაშეშობანას
 თამაში გვიყვარდა,
 ახლა არ გვიყვარს,
 მაგრამ მაინც გვეთამაშებიან.

 მე ვუყურებდი
 ბერიკაცს და ნაძვს,
 რომელმაც თავისი სიმწვანე
 ვერ დაიჯერა.

 ის ძველმოდური რადიო,
 რომელსაც კედელზე დავცინე გუშინ,
 ჩვენ შორის ჩამდგარ სიჩუმეს აფრთხოვს.

 ბინდის ფრინველო,
 გათენების ნუ გეშინია...
 ამ სოფელში ყველგან ბინდია,
 ეს სოფელი ბინდისფერია...

 მამლის ყვირილმა შემახსენა
 კიდეც ერთი დღის გათენება
 კიდეც ერთი ბნელი ღამისთვის.

 როცა ხეებიც დამთავრდნენ,
 ტყეში კი შემოდგომა მოკვდა,
 შენზე ფიქრებმა გამაჩუმეს.

სიყვარული

აყვავებული ტყემლის ჩრდილი
 გამხმარ ხეს ათბობს.
 სიყვარული ჩრდილს ამოეფარა...

 გაეწუმდებოდი, მაგრამ
 ღამის ზომიერების სწავლაში
 სიყვარულის გამეორება დამავინწყდა...

 უბრალოდ თქვი სალამი...
 და ისე მძიმედ ჩაიარე,
 მაინც ველარ დაგენოდი...

ოკლოპა

გციოდა. მინდოდა, გამეთბე.
 შენს სანოლთან ჩავიმუხლებ,
 საბანი კბილებით გეჭირა...

 მინდა, მოგიყვე...
 ყოფნის შემდეგ არყოფნა
 შეიძლება, უფრო მეტად გეტკინოს.
 როცა იხსენებ ადამიანს,
 რომელიც იყო და გტკიოდა,
 აღარაა და მაინც გტკივა...

 არაფერი უნდა მეთქვა,
 პირველი თოვლივით გაპარვა,
 შეიძლება, უფრო შესამჩნევი ყოფილიყო...

შეშას ვაგროვებთ სახლთან შორიან-ლო ტყეში. მე და გიო — უფრო გირჩს, ფიჩხს და წინვებს; მამა ლლავებივით მოზრდილ ხის ნაჭრებს ეზიდება, პატარა ცუ-ლით იქვე აპობს და ტომარაში ტვირთავს.

ქვემოთ ნაცრისფერი და უსიცოცხლო ზღვაა, თბილისის ზღვას რომ ეძახიან, და მე კი სულ მგონია, ტყუილს რომ მოკლე ფეხები კი არაა, ფორმა ჰქონდეს, სწორედ თბილისის ზღვა იქნებოდა, იმიტომ, რომ ამ ზღვაში არც ნიჟარებია, არც თო-ლიები ჩააფრინდებიან ხოლმე ტალღების ქორჩებს, არც აფრებდაბერილი ხომალ-დები დაცურავენ და, რაც მთავარია, ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირის ბოლოც ისე ახ-ლოს ჩანს, ისე ახლოს, გეგონება, ვილაცამ ჰორიზონტს შარვალი შემოაჭრა და უშნო კოჭები გამოუჩინა.

მე კიდევ მიყვარს, ზღვის ნაპირზე რომ ზიხარ და უსასრულო ჰორიზონტს გასცქე-რი.


მიყვარს, მიყვარდა.

გიო ჰორიზონტის აზრზეც არაა, მით უფრო ხომალდების და მარგალიტებიანი ნიჟარების. იმიტომ, გიოს ეს ზღვაც მაგრ-ად მოსწონს და როცა დაინახავს, ხელის-გულს ერთმანეთს შეატყუებებს ხოლმე და ამოიძახებს: „ამდენ წყალს ლა დაღეე-ვეს!“

ეს ტყეც არაა ბოლომდე ტყე. ისეთი, როგორც მინახავს. ტყე ის იყო, სოკოზე რომ დადვიდოდა ან მაყვლის საკრეფად. ის ტყეც ზღვას ვაგდა რაღაცით — რაც უფრო ღრმად შედიოდი, მით უფრო გე-ბერებოდა ფილტვები, თავბრუც გესხმო-და, ხის ტოტებს ტალღებივით მივკვალავ-დით ხოლმე და უცებ თუ ამ ხშირ და დაბუ-რულ ტყეში სადმე მინდვრის პატარა კუნ-ძულს გადავანყებოდი!..

აი, იქ იწყებოდა დიდი მზიარულება — დედას გამოტანებული ბუტერბროდების და ღვეზელების, ტარხუნის და მსხლის ლი-მონათების, თხილის და კანფეტების დაგე-მოვნება, შუშხუნი და კნატაკნუტი. მერე იქვე ცივი და ორთქლიანი წყაროს წყალი, ბურთებივით დაბერილი მაყვალი და ნაწვი-მარზე ამოსული ფერად-ფერადი სოკოები — ტყე ის იყო. ნამდვილი და ჯადოსნური. მაგრამ გიოს ეს ტყეც მოსწონს, იმიტ-ომ, რომ სულ ცოტათი უფრო უკეთესია, ვიდრე ჩვენი გაქუცული ეზო, სიცვიით ას-რუტუნებული ქოხი და ერთი წელშიმო-ხრილი ნაძვი ლობის გადაღმა. ამიტომაც, ისე დააბიჯებს ამ ტყეში, გეგონება, სასახ-ლიდან სუფთა ჰაერზე გამოსული უფ-ლისწული იყოს. გირჩიც ბლომად მოაგრო-ვა, ვატყობ, დღეს საღამოს შოკოლადსაც დაიმსახურებს.

— ფეჩი არ ვთქვამ, ხო? ლუმელი! — დო-ინჯი შემოირტყა გიომ და თავისი ქართუ-ლი მამასთან მერამდენედ გადაამონმა.



ნინო სადღობელაშვილი თოვლი თოლიასათვის

— ლუმელი, ლუმელი. ჯერ მარტო რო-გორი სიტყვაა: ამბობ და თბები, — ეცინე-ბა მამას.

მეც თავჩარგული ვარ საქმეში. როცა ამ ტყეში შეშის შესაგროვებლად გამოვდი-ვართ, მამა გრძნობს რაღაცას და არასდ-როს გამომელაპარაკება, არც თვალბეჭ-ტით შემომხედავს. მეც უხმოდ ვყრი ჩემს მონა-პოვარს ტომარაში. მერე რომ ნამოვიკი-დო და მოვერიო, იმდენს. ყოველ კვირას უფრო და უფრო მძიმდება ჩემი ტომარა — ვიზრდები, მეტი შემიძლია.

შორს, ზღვის გადაღმა, კორპუსების თავები მოჩანს ეკლებივით ამოზრდილი ანტენებით. მეჩვენება, რომ ეს კორპუსე-ბიც ხრჩოლავენ, როგორც ჩვენი ქოხი. ან იქნებ ზამთრის ჰაერმა იცის ასე სიცვიო-სგან ალაპლაპება? ალბათ იმ კორპუსეშიც ცხოვრობენ ჩემი და გიოს ტოლი ბავშვე-ბი, ისინიც ყოველდღე უყურებენ ზღვას და ნეტა ჩემსავით თუ ფიქრობენ, რომ ეს ის ნამდვილი ზღვა არ უნდა იყოს, ტყუილს კიდევ მოკლე ფეხები აქვს?

ეჰ, ბავშვებო, ბავშვებო, აბა, თქვენ რომ

ჩემს ქალაქში ჩაგვავთ ვინმემ, თუნდაც სულ ცოტა ხნით!.. ჩემს შრიალა და შუშხუ-ნა ქალაქში, სადაც თოვლიც კი თბილია, დედას გეფიცებით!

მე რომ თქვენ ადგილას ვიყო, ძალიან მოვინდომებდი ამას, უფრო სწორად, ჩემ-აირ ბავშვებს დავეხმარებოდი სურვილში, თავის ქალაქში დაბრუნების სურვილში. აი, გულის ენერგიას რომ ეძახიან, ეგ ამბავია, გულის ენერგია სჭირდება თურმე ასეთ სურვილებში დახმარებას.

ეს ერთი ადამიანისგან ვიცი, ისიც ჩემს ქალაქში ცხოვრობდა და სულ ასეთ რამე-ბზე ლაპარაკობდა. დედა მეგობრობდა მა-სთან, ალუბლის კექსზე და ყავაზე გადმო-დიოდა ხოლმე, ქაშმირის შარფს მხრები-დან მუხლზე ჩამოიცურებდა და ისე დაი-ფენდა, რომ ნამცხვრის ნამცეცები შიგ ჩა-ეპნია, მერე ამ ნამცეცებით ბელურებს უმა-სპინძლდებოდა გზადაგზა... ჰოდა, ყავას რომ სვამდა ნება-ნება და თვალბეჭინაბუ-ლი უეცრად დედასკენ გაიშვერდა ხოლმე ხელს, თითქოს ამ წამს გაახსენდა რაღაც და რომ არ დაავინყდეს, დედასთან იმახს-

ოვრებსო და, ეტყოდა, მაგალითად, ასეთ რამეს:

— სურვილებს რომ ანარეკლი აქვს, იც-ოდი? აბა! აი, ხომ გგონია, მარტო შენ გინ-და რაღაც, შენთვის, გულით, არა ბატონო, ეს შენი სურვილი მეც მირეკლავს, გადალ-მა სტადიონის დირექტორსაც და, საერ-თოდ, სხვა კონტინენტზე რომ ბავშვი და-ტანტალებს, იმასაც სწვდება თურმე!.. ამ-იტომ, სურვილებთან ფრთხილად და ჭკ-ვიანურად უნდა მოვიქცეთ და, რაც მთა-ვარია, ერთმანეთის სურვილების ანარეკ-ლები გულზე მივიტოვოთ!..

დედა სულ იცინოდა ასეთ ლაპარაკზე. თავს გადასწვდა ხოლმე და ხითხითებდა, რანაირი სინოპტიკოსი შენ ხარ, პოეტი უნ-და იყო, მაგრამ გულის სიღრმეში, მგო-ნი, სჯეროდა კიდევ მისი. ერთხელ თვალი მოვკარი, ფანჯარასთან იდგა დედა, უხვ-ად დაორთქლავდა — დაწერდა რაღაცას, მერე გულზე მიიკრავდა ხელს, თითქოს რამე ჩაიფიქრაო, დახუჭავდა თვალებს, გაახელდა და იმ ნაწერს ნაშლიდა, მერე ის-ევ დაორთქლავდა და დაწერდა და ასე... არ ვიცი, რას წერდა, ეგ არ დამინახავს.

გიოს ყვირილი გვესმის. მამა დაფეთე-ბული მირბის, მეც წამში გიოსთან ვწნდე-ბი. დგას გაფითრებული და მინაზე რაღა-ცას დასცქერის. მკვდარი ჩიტი გდია მი-ნაზე, რაც ყველაზე უცნაურია — არც ბე-ლურა და არც მტრედი, არც შაშვი და არც კოდალა, არამედ — თოლია, დიდი, ფრთე-ბამხმარი თოლია გდია გაყინულ მინაზე, გიო კი დედამინისხელა თვალბეჭით დასც-ქერის და მამასგან აშკარად რაღაც პასუხს ითხოვს.

პასუხებს კითხვებზე — აქ რა უნდოდა თოლიას? რამ მოკლა თოლია?

მამაც უკვე განვრთნილია უპასუხო კი-თხვების მოგერიებაში. რაც ამ ქალაქში, ამ წყალწყალა ზღვის პირას, ამ გაქუცულ ქო-ხში გადმოვედით, იმის მერე ისე ოსტატ-ურად უქნევს უხილავ ჩოგანს ჩვენ შეკითხ-ვებს, როგორც მსოფლიო ჩემპიონი. ხან სა-ით გადაისვრის, ხან საით. ჯერჯერობით სულ გვიგებს.

მაგრამ გიო, როგორც ვატყობ, დანებე-ბას არ აპირებს და პატარა, ძირგამოხეულ ბოტას ჩაქუჩივით ურტყამს მინას, ყინვით დამზრალი მინა სუსტად ცახცახებს და თოლიას სხეულიც შეუმჩნევლად ირხევა.

— ალბათ... — ქუდქვეშ შუბლს იფხაჭ-ნის მამა, — ალბათ ფრენისგან დაიღალა.

— დანარჩენები სად არიან? — მეც ვერთვები.

— დანარჩენები უკვე შორს იქნებიან.

— და ეს რატომ დაიღალა? — აძაგძა-გებულ ნიკაპს ქურთუკის საყელით მალა-ვს გიო.

— ალბათ დილით მადლობის თქმა დაა-ვინყდა!.. — გვპასუხობს მამა. ხან ერთს შე-მოგვხედავს, ხან მეორეს. ისეთი ნაპერწკ-ლები სცვივა თვალებიდან, იფიქრებ, ერთ-იც რომ თოლიას დაეცეს, გააცოცხლებსო.

— მადლობის? — გრძლად და ხმამალ-ლა იმეორებს გიო.

— მადლობის, — პასუხობს მამა და თო-ლიასთვის საფლავის თხრას იწყებს.

— მამა, მამიკო, როცა არც შენს ზღვა-ზე ხარ, არც შენს ნამდვილ სახლში, არც შენიანებს შეუძლიათ შენი გადარჩენა, რო-ცა იმსიგრძე გზა გაქვს გასავლელი და თან გშია და თან გცივა, რისი მადლობელია უნდა იყო? — ამას მე ვამბობ, თან ჩემივე მოგროვებული ფიჩხისგან პატარა კუბოს ვკრავ ჩვენი თოლიასთვის. მერე ზღვის გა-დაღმა კორპუსების თავებს გავცქერი, ან-ტენების დათვლას ვინყებ, ვიდრე მამა მი-პასუხებდეს.

ამ თვლაში ვხედავ — მოდის ციდან ფე-რფლივით თოვლი, ეფინება მთელ არე-მარეს, ზღვის ზედაპირს და ჩვენს მეჩხერ ტყეს, გვეფერფლება ხელებზე და თოლიას საფლავეზე, როგორც კექსზე — შაქრის პუდრა, მართლაც ნამცხვრის ნაჭერს ემსგა-ვსება ეს პატარა საფლავი, გიო ზედ წინვ-ებს არჭობს — ვითომ სანთლებია, ვითომ სიკვდილის კი არა, დაბადების დღე აქვს თოლიას!

ამასობაში ისიც მავინყდება, მამას რაც ვკითხე. უფრო სწორად, პასუხის მოლოდ-ინი აღარ მაქვს, რადგან მე ის ხმამალა არც მიკითხავს. არც მამას გაუგია.

გულში ვიკითხე. ვიცი, რომ გულშივე უნდა იყოს პასუხი. ამისთვის ბევრი გზა, ბევრი ზღვა და ქალაქი უნდა გავიარო. გუ-ლის ბევრი ენერგია უნდა დავხარჯო. ვიცი და, რაღაც ძალიან, ძალიან მზიარია...



მას შემდეგ, რაც ჩემი ფეისბუქის „ფრენდისტი“ ერთმანეთის მანყვერების, მაგინებლების და „შავ კუბოში“ ჩამდებებისგან მეტნაკლებად გავწმინდე, კედელზე სულ ტამ-ფანდურმა, ძმობამ, ერთობამ და სიატკბილობამ დაისადგურა. აი, ამ ნუთასაც ვგუფი „გამაოგნებელი შესრულებები“ აზიარებს ვიდეოკლიპს, რომელშიც ცნობილი იტალიელი ტენორი და თერთმეტი წლის ოქროსკულუა ანგელოზი ნეაპოლიტანურ „ო, სოლე მისო“ მღერიან. მართლაც „გამაოგნებელი შესრულება“ — თან წამილო — გაჩირაღდებული დერეფნებით მატარა, მატარა და სამოციანი წლების თბილისის საოცრებათა სამყაროში ჩამსვა...

62-ე სკოლის სააქტო დარბაზი სკოლის მოსწავლეებით, მასწავლებლებით და მშობლებითაა გაჭედილი. წინა რიგში, საპატიო ადგილებზე, „რონოდან“ და „ტონოდან“ (რუსული აბრევიატურაა და, მგონი, რაიონულ საგანმანათლებლო კომისიას ნიშნავს) მონვეული სტუმრები სხედან. სცენაზე მეხუთეკლასელი მე და მერაბ ჭოხონელიძე „სანტა ლუჩია“ ვმღერით ქართულ-რუსულ-იტალიურად.

მუსიკის გაკვეთილი ბოლო იყო და კვირაში ერთხელ გვიტარებდნენ. ამ გაკვეთილზე ნახევარ კლასს ეძინა ხოლმე, მეორე ნახევარი კი ქალაქის თვითმფრინავებს ესროდა ერთმანეთს. მგონი, მე ვიყავი ერთადერთი, ვინც მუსიკის მასწავლებლის, ასმათ მასნის, კლასში შემოსვლას დილიდან მოუთმენლად ელოდა. ვმღეროდი ყველაფერს, რასაც გვასწავლიდა: ინტერნაციონალს, საბჭოთა კავშირის ჰიმნს, სიმღერებს ლენინზე, კომკავშირზე, უღრუბლო ბავშვობაზე, პიონერებზე, სანყალ კურდღელზე, „კრიჭი-რიჭი“ დალაქზე და, თქვენ წარმოიდგინეთ, შიგადაშიგ იტალიურ და ფრანგულ კლასიკასაც გამოვკრავდით ხოლმე ხელს.

ყველაზე კარგად მერაბ ჭოხონელიძე მღეროდა. ის სასკოლო გუნდის სოლისტი იყო — ლამაზი, ტანადი, კაკლის მურაბასავით შავი თვალებით, საგულდაგულოდ გაკრეჭილი „იოიუიკით“, მუდამ ქათქათა თეთრი პერანგითა და გატკიცინებული ალისფერი ყელსახვევით. კეთილი, გულუბრყვილო და მუდამ მხიარული მერაბი კლასში გოგოებს და ბიჭებს ერთნაირად გვიყვარდა. ცოტა ალბათ გეშურდა კიდევ მისი, რადგან, ყველაფერ სიკეთესთან ერთად, ფეხბურთსაც კარგად თამაშობდა, ლექსებსაც ომახიანად კითხულობდა და სკოლის დირექცია, პედსაბჭოსთან ერთად, ამ ბიჭისადმი აღფრთოვანებას ვერ მალავდა. თავად მერაბს დედამისის ზურგზე არავინ ისე არ უყვარდა, როგორც გამზრდელი ბებია — „ბებიანემის ძვლები დავტკვირე, მართალს თუ არ ვამბობდეთ“ რომ იტყოდა, იმ ნათქვამს წყალი არ გაუვიდოდა. სიცილით ვკვდებოდით ხოლმე ამ დაფიცებაზე, იმას კი სწყინდა — ეგონა, არ ვუჯერებდით. მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, მერაბი იყო 62-ე სკოლის ვარსკვლავი და მერაბზე მის გვერდით ჯდომა დიდი პატივი გახლდათ.

სკოლის საიუბილეო კონცერტი ახლოვდებოდა. ასმათ მასწავლებლისა და მისი სამღერლად ნეაპოლიტანური „სანტა ლუჩია“, შემსრულებლებად კი მე და მერაბ ჭოხონელიძე შეგვარჩია. დადგა ჩემი ზეობის წამიც. რეპეტიციები, გაკვეთილების შემდეგ, თითქმის ყოველდღე გვიტარებდნენ. ეკ, სად იყო მაშინ ინტერნეტი და მისთანები, თორემ „გამაოგნებელი შესრულებების“ გვერდზე იმ იტალიელი დუეტის ნაცვლად მე და მერაბს გამოგვაჭყენებდნენ, დავაგროვებდით „მილიონ-ტრის-ტა ლაიქს“ და პრიზიორთა შორის თუ არა, მსოფლიო საუკეთესო ათეულში მაინც ხომ გამოვიჭიმებოდით?!

როგორ ვემზადებოდი... მეც და დედაჩემიც. დედაც ტაფტის თეთრი ბაფთა და მიუთოვა და თავზე უშველებელი პეპელასავით დამსვა. პიონერული ფორმის ლურჯი ქვედაბოლო, ასმათ მასნის რჩევით, ოთხი სანტიმეტრით დამიგრძელა, სულ ახალი ყელსახვევი მიყიდა (ძველს კიდევები ქონდა მოკვნილები) და ხუჭუჭი „ჩოლკა“ ბრილიანთი გადამიგლისა. მოკლედ, გოგო ვიყავი, ავ თვალს არ ვენახებოდი და, მიუხედავად ამისა, იდეალურად მაინც ვერ ქაჩავდა ჩემი სასცენო დებიუტის იმიჯი, აშკარად რალაც მთავარი მაკლდა.

მოსვენება დაეკარგე, ფიქრისგან თავი მისკდებოდა. გავიხსენე მეგობრებთან ერთ-

თად დადგმული ყველა სპექტაკლი და ამ სპექტაკლებისთვის დედაჩემის და ბებიაჩემის გარდერობიდან მიტაცებული ყველა აქსესუარი: შლაპები, შარფები, გრძელი მარგალიტის მძივები. შესაფერისი ვერაფერი გამახსენდა. მერე წარმოვიდგინე ოპერის ცნობილი მომღერლები: რა ეცვათ, რა ეხურათ... ელენა ობრაზცოვა თავისი უღამაზესი გამჭვირვალე შარფებით, ტიულის მაქმანიანი მოსახვევებით და დეკორაციებით...

შარფი, სიფრიფანა, გამჭვირვალე შარფი — აი, რა მჭირდება, მეტი არაფერი! — გამინათდა გონება.

დედაჩემს ასეთები არ ქონდა. მაგრამ ბებიანემს, რომელმაც ახალგაზრდობაში სოხუმის თეატრში დეზემონას როლი ითამაშა, ამის მაგვარი რამე აუცილებლად უნდა შემორჩენოდა. შევიპარე მის საძინე-



ბელში და ძველ სკივრში თავით გადავეშვი. რაც მინდოდა, ის სკივრის ფსკერზე იდო და ჩემსავით თავის ზეობის წამს ელოდა — კვასკვასა ლიმონისფერი, გამჭვირვალე, ფართე, გაზის შარფი. ისეთი ძველი იყო, ხელში მადნებოდა. შარფი სკივრიდან სათუთად ამოვასრიალე, კეხის ქვეშ დავმალე და სააბაზანოში შევიტანე. სარკის წინ მხრებზე მოვიგდე, მხრები მივატრიალ-მოვატრიალე, რამდენიმე სასურველი პოზა დავიჭირე, დავრწმუნდი, რომ საბოლოო ვარიანტს მივაგენი და სააბაზანო კონსპირაციულად დავტოვე. მერე შარფი სკოლის ჩანთაში დავმალე, ისე, რომ არავინ თვას არაფერი მითქვამს, არ მიჩვენებია — არც სახლში და არც სკოლაში, რაც, ალბათ, დიდი სისულელე იყო — ახალგაზრდობაში ჩადენილ „შესანიშნავ სისულელეთაგან“ ის ერთ-ერთი, რომელსაც იმ დროს დარდი და იმედგაცრუება, ხოლო წლების მერე — გულბანი სიცილი და ტკბილი მოგონების საამო ცრემლი მოაქვს.

კონსპირაციამ გაჭრა. ჩემი გეგმის შესახებ ვერავინ ვერაფერი შეიტყო. კული-სებში ვიდექი და ჩემი ზეობის მომენტს ველოდი. საზოგადოებას გაუგონარ სიურპრიზს ვუმზადებდი — ფურორი — აი, რა იყო ჩემი მიზანი!

62-ე საშუალო სკოლის საკონცერტო კულისებში წინასაპრემიერო მუხტი ტრიალებდა. ნერვიულობდა ყველა: სცენარისტი, დამდგმელი რეჟისორი, კონფერანსიე. მერაბ ჭოხონელიძემ რამდენჯერმე ამხედ-დამხედა, ჩემს უშველებელ ბავთას ნაუნკიპურტა, ცერა თთვის ანევიტ გამამხენევა, კარგი ხარო და ვითარცა ნახატიდან გადმოსული მუხტაბუკი ჯერ კიდევ ფარდაჩამოშვებულ სცენაზე ორიგინალ ჩამნკრივებულ მოსწავლეთა გუნდის ცენტრში ჩადგა.

ფარდა გაიხსნა. გუნდმა პიონერული

შიმი „დაპკარი დაფაფებს“ დასცხო. დამსწრე საზოგადოებას საზეიმო სიტყვით სკოლის დირექტორმა მიმართა. ჩემდა გასაკვირად, ერთხელაც არ გამოუყენებია თავისი საყვარელი ფრთიანი ფრაზა „არ გათეთრდების ყორანი, რაც უნდა ხეხო ქეიშითა“ და ბაგეთაგან სულ თავლი და შაქარი აფრქვია. ყოველივე ამას ზედ ნექტარი და ბადაგი აპკურა ისტორიის მასწავლებელმა, მშობელთა საბჭოს თავმჯდომარემ, პიონერ-ხელმძღვანელმა, და ბოლოს, უღამაზესმა უფროსკლასელმა, ნელამდე ოქროსწანა ვიანამა გოგონამ კონცერტი გახსნილად გამოაცხადა.

მე ვიდექი კულისებში და ჩემ ჯერს ველოდი, ლიმონისფერი შარფი ჩანთაში მეგულეობდა. ჩანთას ხელს არ ვუშვებდი. სცენიდან ისმოდა ლექსები, სიმღერები, საცეკვაო მუსიკა, დარბაზიდან — ტაში და

ლუჩია“. აღვზნებული აუდიტორია „ბრა-ვო ზიკინაო“ ყვიროდა ჩემი მისამართით და დუეტს ბისზეც გვიხმობდა, მაგრამ მერაბმა ეგრევე კულისებში მოკურცხლა და იქიდან განმგმირავი მზერა მსტყორცნა, რაც ნიშნავდა — არც იოცნებო! კულისებში დედა დამხვდა. კმაყოფილება და სიამაყე ვერ შევნიშნე, მაგრამ არც გამკვირვებია, რადგან ჩემი დედა ასეთია — შვილის ქება და ნახალისება არ სჩვევია. — მოდი, მოდი... მარია კალას... ბარემ ქიმიის მასწავლებელიც ვნახოთ, რატომ არ გიძახებს, ნიშანი რატომ არა გაქვს, — მოულოდნელად და ერთობ უდროოდ გამოიციხა და დედაჩემმა. ერთი კი გამაჟრჟოლა, მაგრამ ვიდრე მეორეჯერ გამაჟრჟოლებდა, დედაჩემს ქიმიის მასწავლებელი უკვე კედელთან ჰყავდა მიმწყვდეული: — ბატონო კონსტანტინე... ქიმიის მასწავლებელს ბავშვები კონიას ვეძახდით, თორემ ისე ვალერიანი ერქვა. დედაჩემს კი კონია მისი ნამდვილი სახელი ეგონა და „ბატონო კონიას“ ხომ არ აკადრებდა? ამიტომ „კონსტანტინეთი“ მიმართა. — ვალერიანი, — შეუსწორა კონია მასწავლელს. — უი, ბოდიში, ბატონო ვალერიან, როგორ შემეშალა, ბოდიშს გიხდით... მაგრამ ახლა მანანას ნიშანი მაინტერესებს ქიმიას. რატომ არ აქვს ნიშანი? თუ აქვს და მე არ ვიცი? — კითხვა დასვა დედაჩემმა. — მანანას? ახლავე ვნახავ, — თქვა კონია მასწავლელს და თავის ისტორიული ნითელი ბლოკნოტი გადაშალა, — ახლავე მოგახსენებთ. როგორ არა, აქვს, რამდენიც გინდათ, — დასძინა ქიმიის მასწავლებელმა და გაბუშტულ ცხვირზე წამოცმული სათვალისგან დედაჩემს ამოხედა. — ბატონო? — დიახ. აი, იხილეთ, ბატონო — 2222, — მანავლებელმა ნითელი ბლოკნოტი დედაჩემს გაუწოდა და ყველა ორიანი მარცვალ-მარცვალ წამოუთვალა: ორი ათას ორას ოცდაორი. — როგორ? — ქიმიის მასწავლებელმა მხრები აიჩჩა და მის გასაგონად უფრო გარკვევით გაიმეორა: ორი ათას ორას ოცდაორი. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ მის მიერ იტალიური კლასიკური მუსიკის ბრწყინვალე ცოდნას და შესრულებას, ყველა ამ ორიანს თითო ნიშნით ავწევ და საერთო ჯამში ერთი ბარაქიანი სამიანი გამოგვივა. სიმწრის სიცილი რომ არ წამსკდომოდა, კონია მასწავლელს ამოვეფარე. ძალიან საყვარელი იყო ჩვენი ქიმიის მასწავლებელი, კარლოსს გავა და კრიტიკულ მომენტში ყოველთვის მისი სხარტი გონებისა და ძალიან ორიგინალური იუმორის იმედი მქონდა. ახლაც დედაჩემის გაუთვალისწინებელი რისხვისგან მისი ფართო ზურგი მიცავდა.

და რა უნდა ექნა ამ დროს შვილის „ტრიუმფის“ მონქე და ამის შემდეგ ასეთი კრახით იმედგაცრუებულ ამაყ ქართველ დედას, რომელსაც პატივცემული „კონსტანტინეს“ ზურგი მოქმედების ასპარეზს უზღუდავდა?.. ბუნებრივია, ვერაფერს იზამდა და დედა დანებდა, კიდევ ერთხელ მოიხადა ბოდიში და „მოზრძანდებით სახლში, ქალბატონო“ — დამაიმედა. სკოლის ჭიშკარს რომ გავცდით, დედაჩემმა მოიხედ-მოიხედა და თვალის დახამამამბაში, დილას რომ თავისი ხელით საგულდაგულოდ შესკვნა, ის უშველებელი თეთრი ტაფტის ბაფთა თავიდან წამაძრო. იმ წამდროს სიწმარე და თმის ძირების წვა, მოხუცი კაცის რეკმატიზმივით, ახლაც თავს მასწავლებს ხოლმე.

ნეტა თუ ახსოვს ეს ამბავი დედაჩემს? უნდა ვკითხო. ჩემს ამხანაგებს ახსოვთ „ოპერაცია 2222“, მაგრამ კონცერტი — არა მგონია. არც სკოლის ისტორიაში ჩანერილა ოქროს ასოებით ეს „უკვდავი“ შოუ. მერაბს და მუსიკის მასწავლებელს ახსოვდათ და ბევრი გვიცინია კიდევ ამაზე. მეც თითქმის მიმავიწყდა...

კომპიუტერის ეკრანს მივჩერებოდი. იქ ცნობილი იტალიელი ტენორი და თერთმეტი წლის ოქროს კულულებიანი ფრენკინი „ო, სოლე მისო“ მღერიან. იმ გოგოს თეთრი ფუშფუშა, ჰაეროვანი, მაქმანებით და ბაფთებით მორთული კაბა აცვია, ოქროსფერ გრძელ წანავეებში ათასი ფერადი ლენტის აქვს ჩანწული, თეთრი ნინდები და „ბროლის ქოშები“ აცვია... ამათ კი ჩემი ლიმონისფერი გაზის შარფი გაუკვირდათ.

მას არ ერქვა გურამი, სინამდვილეში ის იყო ი. მ-შვილი, მაგრამ ქალაქში დიდი თუ პატარა გურამი გურამიჩს ეძახდა.

ძალიან დამინტერესა, რატომ დაანათლეს არამარტო ეს სახელი, არამედ ასეთივე მამის სახელიც?

დიდი ხნის ძიების, კვლევის, გამოკითხვის და ფიქრის შემდეგ მხოლოდ ერთი მოკლე პასუხით დადგინდა ამ ფსევდონიმის წარმოქმნის საფუძველი — იმიტომ.

შეიძლება ვინმე ამ მოკლე ფრაზამ არ დააკმაყოფილოს, მაგრამ თუკი რამდენჯერმე ანუ დაახლოებით ასი ათასჯერ მაინც გაიმეორებთ „იმიტომ“-ს, ის ძალაუნებურად ჩაიბეჭდება გონებაში, შეერევა სხეულში არსებულ ცხოვრებისეულ, ნერვიულ, ემოციურ, ასოციაციურ, ეთერულ, მატერი-ალურ და ქიმიურ სითხეებს, თავად გარდაიქმნებით ჯადოსნურ სიტყვად, უეცრად გაიხსნება კოსმიური სიბრძნის კარი და გამოჩნდება სამყაროსული სიბრძნის ბიბლიოთეკა, სადაც ამყავდ შეაბიჯებს „იმიტომ“-ად ქცეული პიროვნება და მიხვდება, ი. მ-შვილი როგორ იქცა გურამ გურამიჩად.

როგორ გამოიყურებოდა ი. მ-შვილი? ეგებ ვინმე ჩვენგანს ან თქვენგანს ერთხელ მაინც გაინახავთ ის ქალაქის ცნობილ პირთა თავშესაფარს ადგილებში? ყოველი ადამიანი განუმეორებელია, იყოფა კატეგორიულად სქესის, ასაკისა და წარმომავლობის მიხედვით. რაკი ადამიანს გურამ გურამიჩი ჰქვია, შეუძლებელია, ის მანდილოსანი ან ნახევრად მანდილოსანი იყოს. ამ შემთხვევაში მას ან გურამს ან გურამიჩს...

რაც შეეხება გურამ გურამიჩს, ის გახლდათ კარგად ჩასუქებული ძველი ქალაქელი, ბუთხუზი, სელაპივით კარგად ნასუქი ადამიანი — მამა-კაცი. თუკი შორიდან დააკვირდებოდით, მისი მოძრაობა, მიმოხრა და ნაბიჯი დინჯი და უშეცდომო კაცის შთაბეჭდილებას სტოვებდა. ახლოდან კი, პირველ რიგში, თვალში გეცემოდა უზარმაზარი თავი, მისი სიმძიმით ლამის ლავაშივით გაბრტყელებული კისერი, რომელიც მხრებსა და მძლავრ ყბებს შორის ქონის სალტებდად გამოშვებული და ყოველი მიბრუნებისას, მარცხნივ ან მარჯვნივ, ყურების ბიბლიოებს ეხახუნებოდა. სისხლისფერი, პამიდვრებივით ალაპლაპებული ლოყები; გარგისფერი ბუშტივით დაბერილი, ფაფუკი ღებები; ალიბუხარის ხელი დიდრონი ზღვისფერი თვალები, ყოველთვის გადმოკარკლული, თითქოს გაკვირვებული მზერით შეჰყურებდნენ გარემოსა და გარშემომყოფებს. მეტად განიერი, შარვალზე ზემოდან გადმოგდებული ცისტრინასავით შთაბეჭდავი „ავტორიტეტი“ — ლიპი. აი, რას წარმოადგენდა, ერთი შეხედვით, ძვირფასი გურამ გურამიჩი. ამით იწყებოდა მისი წარუშლელი პროფილი, რომელიც არანაკლები მოცულობის ქვედატანით, ანუ საჯდომით გვირგვინდებოდა. რომ არა ეს ქონიერი განო-ნასწორება, საკითხავია, შეძლებდა კი სიარულს და თუნდაც უბრალოდ დგომას მისი მძიმეწონიანი პატრონი. კუპატებივით, ქონით დატენილი ბალნიანი, კოტიტა ხელე-ბი და თითები, შესაბამისად, სპილოსათვის თუ დინოზავრისათვის დამახასიათებელი მსხვილი და ტლანქი ფეხები — ეს ყოველი ერთად და თითოეული ცალკე გახლდათ გურამ გურამიჩის განუმეორებელი და შთაბეჭდავი იერი.

როგორც თავში თქვით, მას არ ერქვა გურამი, ის სინამდვილეში იყო ი. მ-შვილი, მაგრამ ქალაქში უმეტესობა მას რატომღაც გურამ გურამიჩს ეძახდა.

ზოგიერთებს, და მათ შორის მეც, დაგვიანტერესა, რატომ და რისთვის დაანათლეს მას არა მარტო ეს სახელი, არამედ ასეთივე მამის სახელიც, თუმცა დანამდვი-ლებით შეიძლება ითქვას, რომ მამამის არ ერქვა გურამი?

დიდი ხნის ძიების, კვლევის, გამოკითხვის და ფიქრის შემდეგ — მხოლოდ ერთი მოკლე პასუხით მომიცა საშუალება მამამისისათვის მიწებებული ამ ფსევდონიმის წარმოქმნის საფუძველები განმეორება — იმიტომ.

შეიძლება ერთი შეხედვით ასეთმა მარტივმა პასუხმა ვერ მოკლა ჩვენში გაჩენილი ინფორმაციული შიმშილი. ეს ჩვეულებრივი ამბავია და გასაგებიცაა, მაგრამ თუკი ოდნავ გავისარჯებით, და შეძლებისდაგვარად, რამდენიმე საათის განმავლობაში უწყვეტად, ლოცვასავით გავიმეორე-

ბთ სიტყვას — „იმიტომ“, შედეგი არ დააყოვნებს. მანტრად ქცეული ბგერითი ვიბრაცია ააბოპოქრებს ჩვენს ნატიფ გონებაში აქამდე მიძინებულ მუხტებს — ნეირონებს, ელექტრონებს, ისინი დაიშლებიან დიცილიონ პროტონებად. ასეთი დანვრილმანება კი შეარხევს ჩვენი თვალსაწიერის წინ ფარდასავით ჩამოფარებულ მატერიალურ სამყაროს და გამოჩნდება ის, რასაც მეცნიერები უწოდებენ — Mysterium Cosmographicum (საიდუმლო კოსმოგრაფია). გავიაზრებთ კანონზომიერების ჰელიოცენტრულ სისტემას და მივხვდებით, ი. მ-შვილი რატომ იქცა გურამ გურამიჩად. ჩავნვდებით ბედისწერის იმ საზარელ მექანიზმთა სექტატურ მონახაზს, რომელთა გამოისობით მამამისს ტალახის შებენივით მიეჭმანსა სახელი გურამი, თუმცა მას ასე არ ერქვა და არც არავის დაუძახია მისთვის ეს იდუმალებით მოცული ბგერათა კონა, რომელიც ხმოვნების გარეშე ბევრად უფრო შემზარავად ჟღერს — გრმ.

გურამ გურამიჩის მამა, ნოდებულის სახელად გურამი, უნივერსიტეტის პირველ კურსზე ჩაირიცხა 19.. წელს, როდესაც იგი



ოცდაერთი წლის იყო. რვა წლის შემდეგ, პირველი მსოფლიო ომის დროს, მან მიიღო აკადემიური ხარისხი და მასწავლებლის თანამდებობა იმავე უნივერსიტეტში, სადაც ასწავლიდა სიკვდილამდე, ანუ 19.. წლამდე. ის დოცენტზე უფრო მაღლა არ წასულა და მიუხედავად ამისა, სტუდენტებს, ვისაც ასწავლიდა, ან ვინც ერთხელ მაინც მოხვედრილა მის ლექციაზე, წარუშლელი შთაბეჭდილებები დაუტოვა უმანკო და ცოდნისათვის გახსნილ მესხიერებაში. ყველას, ვინც ერთხელ მაინც დასწრებია მის ლექციას, ძალიან კარგად ახსოვდა იქ გაუქმებული ემოციური და მდიდარი, მრავალსაუკუნოვანი სიბრძნით განმსჭვალული, ოდნავ ხმამაღალი მონოლოგები და მათ უკან დაფარული ღრმა, ვნებებით შეკაზმული აზრების მომწესხავი სულიერი კორინტილი... როდესაც გარდაიცვალა, კოლეგებმა მისი ხსოვნის საპატივცემულოდ შეიძინეს და საჩუქრად გადასცეს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას შუა საუკუნეების ხელნაწერთა მთელი ნუსხა. ეს ხელნაწერები ახლაც გვხვდება იქ, იშვიათი წიგნების განყოფილებაში; მათ საქალაქის ნიშნულზე აქვთ ასეთი სახის ნაწარვა: „უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას გადაეცა განუმეორებელი ლექტორის, ხანდაზმული დოცენტის, „გურამ“ — ბრჭყალებში (ხოლო დანარჩენი ინფორმაცია სახელთან, მამის სახელთან და გვართან დაკავშირდებით გათხარებული ან ნაშლილი გახლავთ) — დიდ ღვაწლისა და ხსოვნის საპატივცემულოდ. მისი კოლეგებისა და აღზრდილებისაგან“.

ახლადგამომცხვარ სტუდენტს, რომელიც შემთხვევით „შეეჯახებოდა“ ამ სახელს, შეიძლება ზოგადი ინტერესის გამო ეკითხა, ვინ იყო ეს გურამი ბრჭყალებში, მაგრამ მისი ცნობისმოყვარეობა, სავარაუდოდ, არ გასცდებოდა დასმულ კითხვას. ახალგაზრდა პედაგოგები, რომლებიც სიცოცხლის განმავლობაში არ აფასებდნენ და, შეიძლება ითქვას, შურდათ კიდევ „გურამის“, მასზე ახლა იშვიათად საუბრობდნენ; ხანდაზმულთათვის კი მისი სახელის

წარმოთქმა იგივედებოდა საკუთარ აღსასრულთან, რომელიც ყოველ მათგანს საბოლოოდ ელოდა. სულ ახლად „გალექტორებულთათვის“ კი ეს მხოლოდ სახელი იყო, არაფრისმთქმელი ხმა, კარგად შეხამებული ბგერების ერთობლიობა. „გურამი“ მათში არ აღძრავდა რაიმე მოგონებებს ან შეგრძნებებს და არ იწვევდა ამ სახელის თუ ზედმეტსახელის მატარებელ ადამიანს დავინწყების ბურუსიდან. შესაბამისად, ამ პიროვნებასთან მათ არც საკუთარი თავის და არც მომავალი კარიერის ასოცირება შეეძლო.

გურამი დაიბადა 19.. წელს ქართლის ერთ პატარა სოფელში, ქარელთან ახლოს, გორიდან, სადაც ეს უნივერსიტეტი დღესაც მდებარეობს, დაახლოებით ოცდაათი-ორმოცი კილომეტრის დაშორებით. გურამ გურამიჩის მამის, ბრჭყალებში გურამის მშობლები შედარებით ახალგაზრდები იყვნენ — მამა ოცდახუთი წლისა, დედა კი მხოლოდ ოცი წლის გახლდათ. თუმცა გურამი, ბავშვობაში, მათ მოხუცებად თვლიდა. ოცდაათ წელს მიტანებული მამამისი ორმოცდაათი წლისას ჰგავდა; მიძიმე-

ჭდავ მოგონებას — კდემამოსილი ქალურობის შინაგან და მომავადოებელ ნათე-ბას. — Girl with a Pearl Earring (გოგონა მარგალიტის საყურით)! — ამოიკითხა ნახატის ქვემოთ ლათინური ასოებით მიწერილი ტექსტი და ატირდა. რატომ ატირდა? მიუხედავად უამრავი მოსაზრებისა, არგუმენტისა, მინიშნებისა, პასუხი, ჩემი აზრით, უკვე ყველასთვის ნათელია — იმიტომ. შეიძლება ვინმეს ეს მოკლე ფრაზა არ გაკმაყოფილებდეთ; მაშინ გთხოვთ, სადმე მყუდრო ადგილას დაბრძანდეთ, გონება მოიკრიბოთ და ათასჯერ მაინც გაიმეოროთ სიტყვა „იმიტომ“ — და მხოლოდ ამის შემდგომ ჩაგებეჭდებთ გონებაში, შეერწყმება თქვენს სულიერ რხევებს, ასოციაციებს, ემოციებს და მერწმუნეთ, თავად გარდაიქმნებით ამ ჯადოსნურ „იმიტომ“-ად. თქვენს წინ გაიხსნება ზოგადასაკაცობრიო ასტრალური სამყარო. შეაბიჯებთ გალაქტიკური გასხვივების სივრცეში და მიხვდებით არამარტო იმას, თუ ი. მ-შვილი როგორ იქცა გურამ გურამიჩად, არამედ ამასაც, იმასაც და კიდევ ბევრ რაიმე სხვა-საც. იმიტომ, რომ ჭეშმარიტება არ მოდის სიტყვებით და აზრებით, არც შეგრძნებებითა და მოგონებებით. არც დროული და მნიშვნელოვანი შეკითხვებით ან სწორი და ამომწურავი პასუხებით. ის მოდის მხოლოდ „იმიტომ“-ით.

გურამ გურამიჩისმამაგვარ ადამიანს ჩვენი სინამდვილის გარდა იშვიათად თუ შეხვდებით სადმე. მის ზედმინვენით (სკრუპულოზურ) კირკიტზე, მეტისმეტად ფაქიზ (ფილიგრანულ) მგრძობელობაზე და მოჭარბებულ (გრანდიოზულ) მოთხოვნებზე ლეგენდები დადიოდა. ამასთან, გურამ გურამიჩის ასეთი დამოკიდებულება ყველაფრის მიმართ განუსაზღვრელი ვადით არ გრძელდებოდა: კვირაში ხუთი დღის განმავლობაში ის იყო ბიუროკრატი, უფრო მეტიც, ცინიკოსი და ამავე დროს შრომითი განანესით განსაზღვრული ზრდილობიანი და პედანტი თანამშრომელი, იურიდიულად სრულად გამართული მუშაკი, მხიარული და მახვილგონიერი კოლეგა და ამავე დროს ყველანაირი წესის მცოდნე და მათი სრული დაცვის მომთხოვნი, სქელშუბლა „კაბინეტისტი“. თანამდებობით და პროფესი-ით ასპროცენტინი „მესაგარძლე“. ანუ ისეთი პიროვნება, როგორც ყველანაირი დაწესებულებაში ჰაერითაა საჭირო.

ადრეულ ახალგაზრდობაში, კარიერის გარიჟრაჟზე, გურამ გურამიჩი სამსახურებრივ მოვალეობებს და უფლებამოსილებებს განიხილავდა, როგორც ერთგვარ აბსოლუტურ მდგომარეობას, მისაწვდომს მათთვის, ვინც განცხადების რჩეულია და ვისაც ბედმა გაუღიმა.

როდესაც გაიზარდა, ასაკი მოემატა და დაღვინდა, ამ ყველაფერს ცოტა სხვა თვალით შეხედა. კარიერასა და მის თანმდევ ყველა ფაქტორთან შეამჩნია აქამდე უცნობი შტრიხები — ცრურ რელიგიური სამოთხით ტკობა, ყალბი ედემის ბაღის, ან ედემის ყალბი ბაღის მდიდარი სურნელი, ერთგვარი ფატა-მორგანა, რომელიც მახვილგონიერმა ადამიანმა, რომ არ „გააფრინოს“, უნდა მიიღოს კეთილი, არააგრესიული უნდობლობით, ან შერბილვითი ზიზლით, ან ბოლოს და ბოლოს უხერხული და ნოსტალგიური მწუხარებით.

ახლა, უკვე შუახნის ასაკს გადაცილებულმა, კი დაინყო მისი გაათავისება, რომ თანამდებობა, სამსახური, კაბინეტი არც ღვეთიური მადლია და არც ილუზია; ადამიანი, რომელსაც უნდა სტაბილურობა და კმაყოფილება, ამ ყველაფერში უნდა ხედავდეს მშფოთვარე ნიჭის, დაუკმაყოფილებელი სურვილებისა და არარეალიზების შესაძლებლობათა მოკვდინების აუცი-ლებელ და საუკეთესო საშუალებას; ანუ ისეთ მდგომარეობას, როდესაც ყოველივე ჩამოთვლილი მხოლოდ ხელის შემშლელი ფაქტორებია ირგვლივ მოფუსფუსეთა მანიპულირება-წარმართვისათვის.

მოკლედ, მასზე შეუვალი, აშპარტავანი, ცინიკოსი, უღირსი ადამიანი არ არსებობ-და... ასე იყო წლიდან წლამდე, თვითადნ თვემდე, კვირიდან კვირამდე, ყოველი ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, მაგრამ მოვიდოდა შაბათ-კვირა და ყველაფერი იცვლებოდა. ჩვეული ხდებოდა უჩვეულო, უჩვეულო კი მთელი ხუთი დღით მიძინებული და ახლად გამოღვიძებული ჩვეული.

მოკლედ, მასზე შეუვალი, აშპარტავანი, ცინიკოსი, უღირსი ადამიანი არ არსებობ-და... ასე იყო წლიდან წლამდე, თვითადნ თვემდე, კვირიდან კვირამდე, ყოველი ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, მაგრამ მოვიდოდა შაბათ-კვირა და ყველაფერი იცვლებოდა. ჩვეული ხდებოდა უჩვეულო, უჩვეულო კი მთელი ხუთი დღით მიძინებული და ახლად გამოღვიძებული ჩვეული.

მოკლედ, მასზე შეუვალი, აშპარტავანი, ცინიკოსი, უღირსი ადამიანი არ არსებობ-და... ასე იყო წლიდან წლამდე, თვითადნ თვემდე, კვირიდან კვირამდე, ყოველი ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, მაგრამ მოვიდოდა შაბათ-კვირა და ყველაფერი იცვლებოდა. ჩვეული ხდებოდა უჩვეულო, უჩვეულო კი მთელი ხუთი დღით მიძინებული და ახლად გამოღვიძებული ჩვეული.

მოკლედ, მასზე შეუვალი, აშპარტავანი, ცინიკოსი, უღირსი ადამიანი არ არსებობ-და... ასე იყო წლიდან წლამდე, თვითადნ თვემდე, კვირიდან კვირამდე, ყოველი ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, მაგრამ მოვიდოდა შაბათ-კვირა და ყველაფერი იცვლებოდა. ჩვეული ხდებოდა უჩვეულო, უჩვეულო კი მთელი ხუთი დღით მიძინებული და ახლად გამოღვიძებული ჩვეული.

მოკლედ, მასზე შეუვალი, აშპარტავანი, ცინიკოსი, უღირსი ადამიანი არ არსებობ-და... ასე იყო წლიდან წლამდე, თვითადნ თვემდე, კვირიდან კვირამდე, ყოველი ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, მაგრამ მოვიდოდა შაბათ-კვირა და ყველაფერი იცვლებოდა. ჩვეული ხდებოდა უჩვეულო, უჩვეულო კი მთელი ხუთი დღით მიძინებული და ახლად გამოღვიძებული ჩვეული.

მოკლედ, მასზე შეუვალი, აშპარტავანი, ცინიკოსი, უღირსი ადამიანი არ არსებობ-და... ასე იყო წლიდან წლამდე, თვითადნ თვემდე, კვირიდან კვირამდე, ყოველი ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, მაგრამ მოვიდოდა შაბათ-კვირა და ყველაფერი იცვლებოდა. ჩვეული ხდებოდა უჩვეულო, უჩვეულო კი მთელი ხუთი დღით მიძინებული და ახლად გამოღვიძებული ჩვეული.

ამ ორი დღის — შაბათ/კვირის — მანძილზე გურამ გურამიჩი არ მუშაობდა ისე, არ ფიქრობდა ისე, არ ლაპარაკობდა ისე და არ აკეთებდა ისე, როგორც ამას წინა და მომდევნო ხუთი დღის განმავლობაში ახერხებდა. უჩვეულობით შეშფოთებული მავანნი ცდილობდნენ, შაბათსა და კვირასაც მოეხდინათ ზენოლა და ეიძულებინათ იგი, ისეთივე ყოფილიყო, როგორც სამუშაო კვირის დანარჩენ დღეებში, მაგრამ ყველაფერი უშედეგოდ მთავრდებოდა.

ბრაზობდნენ, ცხარობდნენ, ემუქრებოდნენ, მაგრამ „თქვენც არ მომიკვდეთ“, ყურმილს არ იღებდა, და თუ აიღებდა, ისე ამთავრებდა საუბარს, კრინტსაც კი არ დაძრავდა, შეიძლება მხოლოდ დაეღმუვლა ან ჩაეხველებინა, რაც მხოლოდ ერთს ნიშნავდა:

„თითხაც კი არ გავანძრევ ორშაბათამდე“.

ეს რომ იმ სისტემაში, სადაც მუშაობდა, სხვას გაეებდა, მკვეთრი და მკაცრი ზომები ელვისებურად იქნებოდა მიღებული, მაგრამ გურამ გურამიჩს არ ხსნიდნენ, არც აქვეითებდნენ და საყვედურსაც კი არ უცხადებდნენ.

ყოველ ორშაბათს მის კაბინეტთან ჩამწკრივებული თანამშრომლები სიხარულითაც კი ეგებებოდნენ; ხოლო ტელეფონის ყურმილზე ჩამოკიდებული უფროსობა გულთბილი იუმორით და უბოროტო სარკაზმით ახსენებდა თავს — „ვითომდა არც არაფერი მომხდარა, ან თუ მოხდა, ყველაფერი უბოროტო ხუმრობა იყო და მეტი არაფერიო!“.

ტრადიციულად იკითხავთ, რატომ? დიდი ხნის ქექვის, ჩაძიების და სხვათა აზრების ანალიზის შემდეგ მხოლოდ ერთი მოკლე პასუხით შემიძლია, განვიმარტოთ მისდამი ასეთი დამოკიდებულება — **იმიტომ**.

შეიძლება, თქვენ ასეთი მოკლე პასუხი კვლავ არ გაძლევდეთ ამომწურავ ინფორმაციას, უფრო მეტად შეურაცხყოფილად გრძობდეთ თავს; მაშინ გთხოვთ, წამოწმეთ. თვალები დახუჭოთ, ღრმად ჩაისუნთქოთ და რამდენჯერაც შეძლებთ, იმდენჯერ გაიმეორეთ სიტყვა „იმიტომ“. ამ გამეორებებით მისი თანხმობენურ-ხმობენური სიხისტე შერბილდება, აზრობრივი სიმკვერივე იკლებს და ხისტი „იმიტომ“ ფორმას დაკარგავს. ეს კი სანინდარია მისი „გაპლასტელინების“, რაც თქვენი მწირი ინფორმაციისაგან მოშობილი გონებისათვის ფრიად ადვილად ასათვისებელს გახდის იმ სიბრძნეს და ჭეშმარიტებას, რასაც ეს სიტყვა მალავს მკვერივად შეკავშირებულ ასოხლართებში — ასეთი გასახიფტებისა და საზრდოს მიღების შემდგომ ის, როგორც მარადიული სუბსტანცია, ჩაგებქვდება გონებაში, შეერწყება თქვენს სულიერ რხევებს, ასოციაციებს, ემოციებს და თავად გარდაიქმნება ჯადოსნურ და მრავლისმომცველ „იმიტომ“-ად. თქვენს წინ გადაიშლება სამყაროსული მრავალფეროვნებით მოცული აზრობრივი ოკეანე, რომელიც აქამდე დაფარული იყო მატერიალისტური სიბეცით. გადამეტებული პრაგმატულობით დაბინდული მზერა გაგეხსნებათ. გაიხდით ფეხზე, აიკაპინებთ შარვალს ან აინვეთ კაბას და შეაბიჯებთ ისტორიული გონიერების დროით დაწმენდილ ტალღებში და მიხვებით, ი.მ-შვილი როგორ იქცა მოქალაქეების ცნობიერებაში გურამ გურამიჩად და რატომ ვერაფერს აკლებდნენ მას ვერც სამსახურში და ვერც ქალაქში.

შვილები ნამდვილად ჰყავდა. ზოგი მათგანი უმაღლესში სწავლობდა, ზოგი მუშაობდა, ზოგი არც სწავლობდა და არც მუშაობდა, ზოგი მათე კლასში იყო, ზოგი — მეორეში, ზოგი მესამეში, ზოგი კი მეხუთეში.

ჰოდა, ერთ კვირადღეს ეს დალოცვილი საკუთარ ქალიშვილს რაღაცაზე შეეკამათა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ამ მშვენიერმა „ლლაპმა“, რომელსაც „ჯერ პირზე რძე არ შემორობდა“, აჯობა, დაუმტკიცა თავისი სიმართლე. მყარი და საფუძვლიანი არგუმენტებით ჩიხში მოაქცია გურამ გურამიჩი.

კარგა ხანს თვალდახუჭული იჯდა დაბნეული და სირცხვილისაგან დადუმებული მამა და რაღაც ნაღვლიანზე, შორეულზე, წმინდაზე და ნათელზე ფიქრობდა; უეცრად სამსახურის „ხუთდღიანი“ ეპოპეა შემოიჭრა მის გონებაში და აუფორიაქა თითქმის დამშვიდებული სული. ისე გან-



ერვიულდა, რომ ფეხის თითებზეც კი შეაცია, იღლები გაუოფლანდა და ხველება აუვარდა... იგრძნო, როგორ აკანკალდა და სასონარკვეთილმა გაიფიქრა:

— გურამ გურამიჩ, რატომ იქცევი ისე, როგორც იქცევი? როდის ხარ ნამდვილი? იქ სამსახურში, სადაც დესპოტი, მლიქვნელი, თავკერძა, უზრდელი ბრძანდები, თუ აქ, სახლში, სადაც კეთილი, მშვიდი, სუსტი, გამგონი, დაბნეული და გულითადი ხარ? რატომ?

ამოიხრა და კვლავ გაიფიქრა: — რატომ? რატომ? რატომ?

ძალიან მოეწონა ამ „რატომ? რატომ? რატომ?“-ის გამეორება. ეს მოკლე, ერთსიტყვიანი, პასუხგაუცემელი შეკითხვა ბევრად მეტს აძლევდა, ვიდრე სხვა, გონებაში მშფოთვარე, მოფარფატე თუ მოელვარე ათასგვარი აზრი. „რატომ? რატომ? რატომ?“ ამშვიდებდა, ფრთებს ასხამდა და ჩასუქებული კარლსონივით თუ შებერებულ კუპიდონივით ბურუსით მოცული სივ-



რცეში დაანავარდებდა. „რატომ? რატომ? რატომ?“ დიდხანს გააგრძელებდა ასე, რომ არა დაცემინება.

— აფჩიო! — და ყველაფერი დამთავრდა.

უხერხულად, ბიჭივით მოუხმო შვილს და გვერდით მოისვა. ისინი ჩაეხუტნენ ერთმანეთს და დიდხანს, დიდხანს ისხდნენ გაუნძრევლად. თითქოს მცირედი გაუფრთხილებელი მოძრაობა საკმარისი აღმოჩნდებოდა და ის უცნაური, ფაქიზი რამ, რაც მათ კამათის დროს ცალ-ცალკე და შემდგომ ერთდროულად განიცადეს, სადღაც გაქრებოდა, გაფერმკრთალდებოდა.

სიცოცხლის მესამოცე წელს გურამ გურამიჩმა შეიცნო ის, რასაც ბევრი ადამიანი გაცილებით ადრე ხვდება:

შვილი, რომელიც მშობელს გიყვარს, არ უტოლდება ადამიანს, რომელსაც საბოლოოდ დაინახავ მასში და შეგიყვარდება. გამარჯვებული ქალიშვილის სიტბოთი დამტკბარი დამარცხებული მამა მიხვდა იმას, რომ სიყვარული არ არის მიზანი, არამედ მიზეზ-შედეგობრივი ქმედებაა, რომლითაც ერთი ადამიანი ცდილობს, გაიცნოს მეორე ადამიანი.

გურამ გურამიჩი დააბნია ამ ახლადმოვლენილმა აზრმა.

„ის, რაც გიყვარდა, არ უტოლდება იმ ადამიანს, რომელსაც დაინახავ მასში, ვისაც შეიყვარებ!“ — სიტყვების ასეთი წყობა და მნიშვნელობა ნაკვერჩხლებივით მოედნენ მის გონებას, ნერვებს, ემოციებს, სხეულს და ამ ხნის კაცი აბურდეს ცუდად დახვეული ძაფის გორგალივით.

— აფჩიო! — კიდევ ერთხელ დააცემინა გურამ გურამიჩმა და სრულიად რომ არ არეულიყო, მისთვის ჩვეული ხერხი გამოიყენა. თვალები მილულა და თავი მოიმძინარა. თქვენ წარმოიდგინეთ, მსუბუქი ხვრინვაც კი ამოუშვა. უცნაური შეგრძნებაც მალევე მიწვდებოდა და ცოტა ხანში საერთოდ გაქრა, თითქოს არც კი ყოფილა.

— აფჩიო! — ამჯერად კმაყოფილმა დაააცემინა და გაახსენდა სადღაც ამოკითხული ამბავი: თურმე ძველი ბერძნები თუ რომაელები თვლიდნენ, რომ დაცემინებით ადამიანის სული ტოვებს სხეულს და უსულოდ რომ არ დარჩეს, აუცილებლად უნდა უსურვოს ვინმემ „ცხოვნება“, „ჯანმრთელობა“, ან „სიცოცხლე“.

გურამ გურამიჩს არავინ არაფერი უსურვია. მან მხრები აიჩჩა და სვედიანად გაიღიმა. მის მუხლებზე მთვლემარე ქალიშვილს დახედა და თავზე ხელი გადაუსვა. გოგონა შეუშმუნა, დაამთქნარა, გაიზმორა და თვალები გაახილა. გურამ გურამიჩმა ხმადაბლა, სადღაც სულის ფსკერიდან ამოღებული შემპარავი ხმით მიმართა შვილს:

— პირდაპირ გეტყვი, არ იყავი მართალი!.. იყავი მართალი, მაგრამ არ იყავი მართალი, რადგან იყავი მართალი!.. იცოდე, როცა ხარ მართალი, სინამდვილეში არასოდეს ხარ მართალი! — სარდელივით ალაპლაპებული საჩვენებელი თითი გოგონას მრავალმნიშვნელოვნად დაუქნია და დაამატა, — შვილო, მხოლოდ დროთა განმავლობაში მიხვდები ამ სიტყვების ნამდვილ ფასს და მნიშვნელობას!

ბავშვი მართლაც ვერაფერს მიხვდა, მაგრამ იგრძნო მამის სიტყვებში რაღაცნარი, ჯერ-ჯერობით ამოუცნობი და მიუწვდომელი აზრი. ენითა და გონებით აღუნერელი ზღვარი სიბრძნესა და სიბრყველს შორის; ამიტომ ხმა არ ამოუღია, მხოლოდ ეშმაკურად გაუღიმა. გოგონა საოცრად ჰგავდა თავსაფარმოხდილ გურამიჩის დედას.

— Girl with a Pearl Earring (გოგონა მარგალიტის საყურით)! — ეს სიტყვები გურამ გურამიჩმა მძიმე ამოსუნთქვას ამოაყოლა. რბილ საფარქელში ღრმად ჩამჯდარმა წამოდგომა სცადა, მაგრამ ვერ შეძლო და ატირდა. ხაჭაპურისხელა კრემლები ლაპალუპით სცვიოდა გადმოკარკლული თვალებიდან... ზუსტად ისე, როგორც მაშინ, როცა დედამისის ღმილი ამოიცნო იმ საოცარ ნახატში...

თქვენ, ალბათ, იკითხავთ: „რატომ ატირდა?“

მე კი კვლავ ისევე გიპასუხებთ, ცოტა გაღიზიანებული, ცოტა გულნატკენი ტონით:

„იმიტომ, იუზგარ; იმიტომ!“ და კადნიერებაში რომ არ ჩამეთვალოს, ეგრევე დავდუმდები.

ზარი დაირეკა თუ არა ტულაღეტი შევ-
ვარდი. ფანჯარასთან უგონოდ ეგდო ტა-
ტო. ორივე წარბი დახეთქილი ქონდა. სისხ-
ლში ცურავდა. მაშინ ტულაღეტი წყალი
არ მოდიოდა, ბუფეტში გავექეცი წყლის
ამოსატანად. როცა ავბრუნდი, მასწავლე-
ბლებით იყო სავსე იქაურობა. ძლივს ახ-
ელდა თვალებს ტატო. გამიშვით, გამიშ-
ვით — ვყვიროდი და მივალწიე როგორც
იქნა ტატომდე. ორი ყლუბი მოსვა და თავი
ისევ კედელს მიადო. ნამოიყვანეთ, როგო-
რმე ნამოიყვანეთ — გაჰყვიროდა დირექ-
ტორი. მოდი, ლუკა, მომეხმარე — მითხრა
გეოგრაფიის მასწავლებელმა და ნელა წა-
მოვაყენეთ. ფეხები ერთმანეთში ებლანდე-
ბოდა და ძლივს მივალწიე ექიმის კაბინე-
ტამდე.

ექიმის კაბინეტი არასდროს ყოფილა
ექიმის კაბინეტი. ისევე როგორც ექიმი არ
ყოფილა არასდროს ექიმი. იჯდა ერთი მე-
ლოტი, არაყში ჩამბალი გაქონილი კაცი,
რომელიც დღე და ღამე რადიოს უსმენდა
და ბუფეტში ნაყიდ ჩაობებულ კატლეტის
ჰამბურგერს ჭამდა. იქ შესვლა კომპარი
იყო. ფეხის სუნით ყარდა იქაურობა. უნდა
გელოცა, იქ რო არ მოხვედრილიყავი. და
თუ მოხვედებოდი, რაც შეიძლება მალე უნ-
და გამოგეღნია იქიდან.

ტატო იქვე მივანვინეთ.
— მიხედვე, ბიჭო, რა ხელებს იტლოკავ,
— ვულრიალე ექიმს.

— დამშვიდდი, — დამადო მხარზე ხე-
ლი გეოგრაფიის მასწავლებელმა და გარ-
ეთ გამიყვანა.

ტატო ტკივილისგან დაკრუნჩხული ინ-
ვა და თავს აქეთ-იქით ამოძრავებდა.

— ლუკა, შვილო, იცო, ვინ იყვნენ? —
მკითხა.

— არა, — ცივად მივუგდე პასუხი.

— მისმინე, დღეს ტატოა ასე, ხვალ შენ
იქნები, ზეგ კიდევ სხვები.


— გითხარით, არ ვიცი-მეთქი.

— კაი, შვილო, — სევდიანი ხმით ამოი-
ლულულა და გამცილდა.

ტატოსთან შევბრუნდი.

ჩვენ სკოლაში ღმერთს არასდროს უცხ-
ოვრია. წარმოდგენაც არ მაქვს, სად იყო.
შეიძლება იქვე, კედელს ამოფარებული
იდგა და ჩუმად გვისმენდა. ან დერეფნის
ბოლოდან გვადევნებდა თვალს. არ ვიცი,
არ მიგრძნია, არ მინახავს. ხანდახან ისე-
თი განცდაც მქონდა, რომ ღმერთს ჩვენი
სკოლა გადაავინყდა, გამორჩა. აბა, იქ რომ
ყოფილიყო, ისეთი რაღაცები ხო აღარ მო-
ხდებოდა...

სკოლის ტულაღეტის იატაკსა და კედ-
ლებზე სისხლი არასდროს გამქრალა. იქ-
იდან ყოველდღე გამოდიოდა გინების, ყვი-
რილის, ტირილისა და საქმის გარჩევების
ხმა. ყველა ერიდებოდა ტულაღეტის სიახ-
ლოვეს დგომას. გულსამრევ სუნში გაზა-
ვებული სისხლის სუნი უფრო მეტად სა-



ზიზღარს ხდიდა იქაურობას. ჯერ კიდევ
მეოთხე კლასში ვიყავი, ჩვენი სკოლელი
საბა რომ მოკლეს მეოთხე სართულის ტუ-
ლაღეტში. თავისსავე კლასელმა გაუყარა
მუცელში ოპონელი. მთელი სკოლა ყირაზე
იდგა, მასწავლებლებით დანყებულნი ჩვენ-
ით დამთავრებული, ყველა ტიროდა. არ
ვიცი, მაშინ რა მატირებდა, ალბათ მთქნ-
არებასავით გადმომედო სკოლის სევედა და
ტკივილი, რომელმაც ყველა კლასის კარი
შეამტვრია და გაკვეთილის მოსაყოლად
გამოსული ბავშვებით ჩამოგდა დაფასთან.

ტატო იმიტომ გამეტეს, რომ ბიჭები-
სთვის „პერაშკების“ ყიდვა ვერ შეძლო. სა-
საცილოა — ორი ცალი ზეთში ამოთხვი-
ლი „პერაშკის“ გამო. წინა კვირას ჯანო იმ-
იტომ სცემეს, რომ მამამისის სახსოვრად
დატოვებული ჯვარი ვერ დაულომბარდა
მეთერთმეტელებს. დიტო „უპირჩინოდ“,
თედო გოგოს გამო. და ეს ყველაფერი ერთ
კვირაში მოხდა — განელილ, დაუსრულე-
ბელ კვირაში.

ყველაზე ხშირად ღმერთს ტულაღეტე-
ში ნაცემი ბავშვები ახსენებდნენ. იქ არ არ-
სებობდა პატარა და დიდი, მსუქანი და გა-
მხდარი, მაღალი და დაბალი. იქ ყველა ერ-
თი იყო. ყველას ერთნაირად სძულდა და
ყველას ერთნაირად უნდოდა იქიდან გა-
მოღწევა. ყოველდღე ემატებოდა ტულაღე-
ტის კედლებზე სისხლის ლაქები. ყველას
კაი ბიჭობა უნდოდა, ეს იყო მათი ცხოვ-

რებისეული მიზანი და მომავალი. სხვა არ-
აფერი არსებობდა მაშინ, არაფერი ჩანდა
და ამ ყველაფრის მიღწევას სკოლის ტულა-
ღეტებში ცდილობდნენ, როცა დედიკოს ბი-
ჭებს ახტუნავებდნენ და ჯიბეებიდან ხურ-
დებს აყრევიანებდნენ ნელ-ნელა.

ახლა, როცა ამდენი წელი გავიდა, სკო-
ლის დღეების გახსენებისას, ჩემსავე ფიქ-
რების და მოგონებების არ მჯერა ხოლმე.
ვერაფრით ვიჯერებ, როგორ შეიძლება,
მერვეკლასელმა ბავშვმა მთელი ძალით
ურტყას იატაკიდან ამოგდებული პარკეტი
თავის კლასელს და თან მაღალ ხმაზე ხარ-
ხარებდეს; ზოგ მათგანს, ტკივილისაგან
წამოდგომასაც რომ ვერ ახერხებდა, ზედ
აშარდავდნენ, აფურთხებდნენ, ფეხებს ან-
მენდნენ და იცინოდნენ ხოლმე. მაღალ
ხმაზე იცინოდნენ, გაუჩერებლად. ჩვენს
სკოლაში კი არასდროს ყოფილა სიცილი
კარგის ნიშანი. პირიქით, თუ ტულაღეტე-
დან გამოსულ სიცილის ხმას გავიგონებ-
დით, ვიცოდით, რომ შიგნით ვიღაც ბინ-
ძურ იატაკზე ნაცემი და სისხლში ამოთხ-
ვილი იწვა.

ახლა კი ჩემი მეგობრის ამბავს ვყვები,
რომელიც ტულაღეტში შევიდა და იქიდან
ველარ შეძლო გამოსვლა. მეთერთმეტე-
კლასელები ვიყავით მაშინ, ჩვიდმეტი წლის-
ანი. ჩვენ სკოლაში ძალიან ძნელი იყო ვინ-
მესთან მეგობრობა, თუ იმ გზას არ აირჩე-
ვდი, რომელიც მაშინ ბევრმა აირჩია. ზოგმა

თავისივე ნებით, ზოგმა შიშით, ზოგმა მი-
ბაძვით. ერთადერთი, ვინც იმ გზას არ გა-
ჰყვა, ტატო იყო. ბავშვობიდან მუსიკოსო-
ბაზე ოცნებობდა. დღე და ღამე პიანი-
ნოსთან იჯდა და უკრავდა. მეუბნებოდა —
შენ ნახე, მსოფლიოს გარშემო თუ არ ვი-
მოგზაუროო. იცოდა, რომ ამას შეძლებ-
და. მეც ვიცოდით.

ტატო ობოლი იყო. დიღმის ბავშვთა სა-
ხლში ცხოვრობდა. დაცრეცილი, დახეუ-
ლი ტანსაცმლითა და გადამსკდარი ფეხ-
საცმელებით დადიოდა ხოლმე. სულ ვოც-
ნებობდი, ნეტა იმდენი ფული მქონდეს,
ტატოს ახალი ტანსაცმელები ვუყიდო-მე-
თქი. მაგრამ ეს ოცნებაც სხვა ბევრ აუხდ-
ენელ ოცნებებთან ერთად ბავშვობაში ჩაი-
კარგა. მაშინ ჩვენც ნაქირავებ ბინაში ვცხ-
ოვრობდით. დღიდან დღემდე ძლივს გაგე-
ქონდა თავი. რთული დრო იყო, ახალდას-
რულებული ომები, შიმშილობა, არეულო-
ბები...

იმ დღეს ბავშვთა სახლამდე მე მივაც-
ილე. ძლივს მომყვებოდა. სიმწრისგან თე-
ვლებიდან ნაპერკლევი სცვიოდა. გაბო-
როტებული იყო. ვიცოდი, ის ამბავი უბ-
რალოდ არ დასრულდებოდა. პატიოსანი,
კეთილი გამწარებული ადამიანი უფრო სა-
შიშია, ვიდრე სიბინძურეში ამოთხვილი
ვიგინდარა.

ტატო სამი დღე არ მოსულა სკოლაში.
ორჯერ გავუარე. ინვა. არაფერი უთქვამს.
ჭერს მიმტერებოდა და მიძიმედ ლუნთქავ-
და. მეოთხე დღეს მეორე გაკვეთილზე შე-
მოვიდა კლასში და გვერდზე მომიჯდა.
რაღაცას ვაპირებო, მიჩურჩულა და ზარი
დაირეკა თუ არა, ეზოში ჩავედით.

ყველაფერი ისე გავაკეთეთ, როგორც
ტატომ დაგეგმა. ცოტა ხანში მეოთხე სა-
რთულზე ავედით. თავიანთი კლასის წინ
იდგნენ და რაღაცაზე იცინოდნენ. დაგვი-
ნახეს თუ არა, სახე ეცვალათ. ყურადღება
არ მიგვიქცევია. ოდნავ მოშორებით ჩამ-
ოვდექით. სამი მოგვადგნენ:

— შენ არ გეყო, ჰო? — ეუბნება ტატოს
ერთ-ერთი. ჯაბა ერქვა. მთელი სკოლა ხე-
ლში ეჭირა.

— ჰა?

— ჰა კი არა, დავაი დაბლა, დროზე, —
ორივეს მოგვმართა.

ორი კიდევ მოგვადგა. ხუთნი იყვნენ.

— სკოლა ყველასია, — ვუთხარი.

— წამოდით, ერთი, ტულაღეტში, — გვი-
ბრძანა ჯაბამ.

ტატოსაც ეგ უნდოდა. გავყევით. ერთი
კაცი კართან დადგა და ზურგით მიაწვა.

ერთმანეთის პირისპირ დავედქით ფან-
ჯარასთან. წვიმდა. ჯაბამ სიგარეტს გაუქ-
იდა და სახეში მოგვაბოლა. რეაქცია არ
გვქონია. ველოდებოდით, როდის დაინყე-
ბდა ლაპარაკს.

— რაო, ბიჭებო, სუპერმენობა მოგინ-
დათ? — გკითხა ირონიულად და წინ დაგე-
იფურთხა.

ტატოს გავხედე. წამიერად ორივე თვა-
ლიდან გადმოსცვივდა ცრემლი. მერე კი
ზურგს უკან ნელა წაივლო ხელი და შარვ-
ლის უკან ჩამალული პურის დანა ამოაძე-
რინა. ჩემთვის არ უთქვამს, რომ ამას აპ-
ირებდა, დამიმალა. ორჯერ დაარტყა ჯა-
ბას მკერდში. სისხლიანი დანა ნიჟარაში
ჩააგდო და შიშისგან აღრიალდა. ჯაბა ხრ-
ოტინებდა და პირიდან ნერწყვივით გად-
მოსული სისხლი ნიკაპზე წურწურით ჩა-
მოსდიოდა. რამდენიმე წამში თვალბგამ-
ეშებული ეგდო მეტლახზე. ჯაბას ძმაკა-
ციები აკანკალებულნი გაცვივდნენ ტუა-
ღეტიდან. ტატო გაშტერებული თვალე-
ბით დაჰყურებდა ჯაბას. მერე კი, როცა მი-
ხვდა, რომ ჯაბა აღარ სუნთქავდა, ფანჯრ-
ის რაფაზე აბობლდა და მეოთხე სართულ-
იდან შეშინებული გადახტა.

მთელი ცხოვრება მუსიკოსობაზე ოც-
ნებობდა. ნახე, მსოფლიოს მოვივლიო, მე-
უბნებოდა ყოველდღე და თვალები უციმ-
ციმებდა. ტატო რომ სხვაგან დაბადებუ-
ლიყო, ახლაც ცოცხალი იქნებოდა. ან სხვა
დროში და არა მაშინ, როცა დაიბადა. არ
გაუმართლა. ზოგი ადამიანი მართლა იმ-
იტომ იბადება, რომ უბედური იყოს. ასეა,
ვერ შეცვლი. არ ვიცი, მართალი იყო თუ
მტყუანი, არ მიფიქრია მაგაზე. არ ღირს.
შეიძლება ჰო, შეიძლება — არა. იმის მერე
დიდი ხანი გავიდა. არ ვიცი, ახლა რა ხდება
იმ სკოლაში, სადაც ბავშვები ღმერთს დახ-
მარებას მაღალ ხმაზე სთხოვდნენ და სა-
დაც დიდ ბიჭებს დედები უნდებოდათ. ჰო,
არ ვიცი, წარმოდგენაც არ მაქვს.

ღმერთო, ისე იმ დღეს მართლა არ გე-
ცალა?!



ნასრათულა ჰათიბულას ნაბოლარა ვაჟი იყო. ნასრათულას 8 დედმამიშვილიდან 4 ნაადრევად დაიღუპა, ხოლო უფროსმა ძმამ პოლიციის მუშაობის დაწყებიდან ორ წელიწადში თავი აიფეთქა ბალხის პროვინციაში, ადგილობრივი პოლიციის ერთ-ერთ პოსტზე და რამდენიმე თანამშრომელიც იმსხვერპლა. სამეზობლოში ამბობდნენ — თალიბებმა „დაავერბოვეს“ და თითქმის ერთი წელი ემზადებოდა „შაჰიდობისთვის“. ნასრათულა 13 წლის იქნებოდა, ეს ამბავი რომ მოხდა მათ ოჯახში. ძალიან დარდობდა უფროსი ძმის სიკვდილს, თუმცა გულის სიღრმეში ნანწყენი იყო მასზე — „თავი ისე მოიკლა, არ უფიქრია ოჯახზე და ახლობლებზე, თანაც რისი გულისთვის?“

ცხოვრების ფერხულში ახლადჩამულ ნასრათულას მალევე გადავიწყდა ეს ამბავი, როგორც წინა ოთხ შემთხვევაში. სიკვდილი, ამა თუ იმ ფორმით, თითქმის ისეთივე ბუნებრივი მოვლენა იყო მათ ოჯახში, როგორც მინის სეზონური დამუშავება ან პარასკევს მეჩეთში წასვლა.

ჰათიბულას ოჯახს, როგორც ათასობით სხვა ავღანურ ოჯახს, ძალიან უჭირდა. ნასრათულა ყველანაირად ცდილობდა, დახმარებოდა მამას სხვადასხვა საოჯახო საქმეში, კარტოფილისა და პომიდვრის მოყვანა იქნებოდა ეს თუ ეზოს დალაგება. ის ასევე ბეჯითად აგრძელებდა სწავლას ამერიკელების მიერ ახლად აღდგენილ ადგილობრივ სკოლაში. ფიქრობდა, რომ კარგად სწავლის შემთხვევაში მიიღებდა ისეთ მდგომარეობას, როდესაც საკუთარი ჯაფით ნაშრომი ფულით აიშენებდა დიდ სახლს, დაოჯახდებოდა და მშობლებსაც მიხედავდა. პატარა ნასრათულასთვის, ყოველდღიური რუტინის გარდა, დიდ მოვლენას წარმოადგენდა ამერიკელ ჯარისკაცებთან შეხვედრები. ის კეთილად იყო განწყობილი კოალიციური ძალების სამხედრო მოსამსახურეებისადმი. ცნობისმოყვარეობით აღვსილი ნასრათულა ყოველთვის ცდილობდა, შეგებებოდა მათ, როდესაც ჯარისკაცების ქვეითი პატრული ხანდახან მათი სახლის წინ გაივლიდა. დედა უშლიდა, მაგრამ ის მაინც გავარდებოდა ეზოდან და დამტვრეული ინგლისურით ესაუბრებოდა ხოლმე ჯარისკაცებს. მომღიმარი ჯარისკაცებიც „მშრალი ულუფის“ ტკბილეულით ასაჩუქრებდნენ ბიჭს.

სკოლა როგორც კი დაამთავრა, მშობლებისგან კურთხევა მიიღო და ამერიკულ ბაზაზე წავიდა მუშაობის დასაწყებად. ბაზაზე მიიღეს, გაესაუბრნენ და დამლაგებლად დააწყებინეს მუშაობა. ავღანური სტანდარტებით ცუდი ხელფასი არ ჰქონდა, მაგრამ გადაწყვიტა, უფრო მეტი გამოემუშავებინა, შეეგროვებინა ფული და ქაბულში გადასულიყო საცხოვრებლად, სადაც, მისი აზრით, ახალგაზრდა კაცს უფრო მეტი შესაძლებლობა ექნებოდა მიზნების მისაღწევად. ბაზაზე მონდომებით მუშაობდა, ინგლისური ენაც სრულყო. სხვადასხვა ენის სწავლას ადვილად ახერხებდა თანდაყოლილი ნიჭის წყალობით. მშობლიური დარისა და პაშტუს გარდა, ინგლისურთან ერთად სასაუბრო გერმანულიც ათვისა. ერთ დღესაც შეამჩნიეს მონდომების გარდა უცხო ენების ცოდნა დაუფასეს და თარჯიმნად აიყვანეს. ნასრათულა ღვთის მადლიერი იყო, რადგან ბევრად მეტის გამოემუშავება დაიწყო და ოცნების რეალიზების შესაძლებლობაც მიეცა. ქაბულში ბინის შეძენამდე კვლავ მოკრძალებით განაგრძობდა სოფელში ცხოვრებას, რაც პირადი მოსაზრებების გარდა შიშით იყო ნასაზრდოები. სოფლის საერთო სიდუხჭირიდან ამოვარდნილი ადამიანი ათასი რგულის საეჭვო ხალხის ყურადღების ქვეშ ადვილად ხვდებოდა. გულის სიღრმეში ყველაზე მეტად თალიბების ეშინოდა და ცდილობდა, მათ წარმომადგენლებს თავლში არ მოხვედროდა. ისევე, როგორც ყველგან, თალიბებს მათ სოფელშიც ჰყავდათ „მოენეები“. ამას გარდა, კარგად ახსოვდა რამდენიმე წლის წინანდელი ისტორია საკუთარ თანასოფელზე, რომელიც ბაზაზე მუშაობდა. ერთ ღამეს ამ კაცს სასტიკად გაუსწორდნენ, ყაჩაღებმა ფულის გამოძალვის მიზნით ოჯახის წევრები უწამეს და ფულის წართმევასთან ერთად სიცოცხლესაც კინაღამ გამოასალმეს საბრალო.

ნასრათულა ნელ-ნელა დაუახლოვდა თავის ხელმძღვანელობას ბაზაზე. მისი ძმ-



გიორგი აბდუშელიშვილი
ნასრათულა
ანუ
ნამდვილი ამბავი

ის თვითმკვლელობის ამბავი ყველამ იცოდა, მაგრამ ძმის ცოდვის გამო მას ხომ არ უნდა ეგო პასუხი? რამდენიმეწლიანი შრომის შემდეგ ნასრათულამ სთხოვა უფროსს, ქაბულში გადაეყვანათ, რადგან ცხოვრების გაგრძელებას ქაბულში აპირებდა. თხოვნა მიიღეს, თუმცა პასუხი კარგა ხანს არ მოსდიოდა. საბოლოოდ, ნასრათულას თხოვნა ერთ წელიწადში დაუკმაყოფილეს. ქაბულში კოალიციური ძალების ერთ-ერთ ბაზაზე გაუშვეს თარჯიმნად.

ნასრათულა ბედნიერი იყო ქაბულში გადასვლით. რამდენიმე წლის ნაგროვები ფულით სახლი ვერ აიშენა, თუმცა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის მიერ აშენებულ მიკრორაიონ კოჰნაში, ახლად გარემონტებულ „ხრუშჩოვკაში“, სამოთახიანი ბინა შეიძინა და ოჯახის შექმნაზე დაიწყო ფიქრი. ძალიან მოსწონდა თანასოფელი აჰმადის ქალიშვილი მერიემი, რომლის სწავლა-განათლებაზე განსაკუთრებით ზრუნავდნენ მისი მშობლები, რაც ასე იშვიათად დამახასიათებელი იყო ავღანური სოფლისათვის. თავიდან ნასრათულა ვერ უტყდებოდა გოგოს. ქაბულის უნივერსიტეტში ჩაბარების შემდეგ კიდევ უფრო მიუღწევადი ჩანდა მერიემზე ოცნება, თუმცა ქაბულში დაფუძნებამ თავის შესაძლებლობებში დაარწმუნა. ჯერ მშობლებს მოეთათბირა, შემდეგ მამასთან ერთად აჰმადის ოჯახს ეწვია და, ტრადიციისამებრ, ქალ-

იშვილის ხელი სთხოვა. აჰმადმა იცოდა ნასრათულას ქაბულში გადასვლის ამბავი, ისიც კარგად ახსოვდა, რომ პატარაობისას მერიემთან მეგობრობდა და ისინი ხშირად თამაშობდნენ ერთად, შესაბამისად, მათ ქორწინებას დათანხმდა. გახარებული ნასრათულა მალე მერიემსაც შეხვდა დედაქალაქში, მოუყვა ოჯახში სტუმრობის ამბავი და პირადად სთხოვა ხელი...

წყვილმა გადაწყვიტა, დიდი ქორწილი გადაეხადა. ბინის შექმნის მიუხედავად ნასრათულას კიდევ ჰქონდა დანაზოგი. ბევრი ოჯახური სჯა-ბაასის შემდეგ ქაბულის ცენტრთან მდებარე რესტორანში 500-კაციანი ქორწილი დაგეგმეს, სადაც დიდ სანათესაოსთან ერთად თანასოფლელებიც მიიწვიეს. ქორწილის დღეს განსაკუთრებით ამაყი ჰათიბულა იყო. მიუხედავად მძიმე ყოფისა, მისმა შვილმა ჯოჯოხეთური სიდუხჭირიდან ამოსვლა მოახერხა, ქაბულში დამკვიდრდა და ნათესავებისა და მეგობრების წრეში დიდი ქორწილი მოაწყო. ქორწილი, ტრადიციულთან ერთად, თანამედროვე ელემენტებით იყო გაფორმებული. კოსტიუმში გამოწყობილი ნასრათულა და ტრადიციული საქორწინო კაბით შემოსილი პატარძალი როგორც კი დარბაზში შევიდნენ, საზვიამო მუსიკა ახმიანდა, ფეხზე მდგარი სტუმრები ღიმილით აყოლებდნენ თვალს დარბაზის სიღრმეში მიმავალ ახლადმუღულელებულ წყვილს. ეს

მომენტი განსაკუთრებით ძვირფასი იყო ნასრათულასთვის, რომელმაც თავის თავს პირობა მისცა, რომ ბევრ შვილს იყოლიებდა და ყველას მისცემდა განათლებას და რომ ამისათვის ძალ-ღონეს არ დაიშურებდა...

აფეთქებისა და ნგრევის ხმამ შეაზანზარა დარულამანის ქუჩა. უბანი საშინლად გრძელ, წამიერ გარინდებაში მიყურდა. რესტორნის მიმდებარე შენობები მტვერსა და კვამლში გაეხვა. ქაბულის პოლიციის მოხსენება იტყობინებოდა, რომ რესტორანში თვითმკვლელის მიერ ასაფეთქებელი მოწყობილობის ამოქმედების შედეგად დაიღუპა 60 და დაშავდა 120-ზე მეტი ადამიანი, მათ შორის ქალები და ბავშვები. შენობის ნანგრევებში, თავის ოცნებებთან და საყვარელ ადამიანებთან ერთად, დაიღუპა ნასრათულაც — ცხოვრებისეულ გამოწვევებთან და პრობლემებთან მებრძოლი და მუდმივად გამარჯვებული ახალგაზრდა კაცი ამჯერად თალიბების თვითმკვლელის მიერ მოწყობილი ტერაქტის მსხვერპლი გახდა. შემთხვევითა მუხანათობამ ნასრათულა იმ მოვლენის გვირად აქცია, რომელზეც არცთუ ისე დიდხანს ილაპარაკებდნენ და მალევე დაივიწყდნენ, რადგან ავღანეთში ეს არც პირველი შემთხვევა იყო და, სამწუხაროდ, არც უკანასკნელი. ომის ღმერთი ყველგან გაუმაძღარია, განსაკუთრებით იქ, სადაც ადამიანის სიცოცხლე ჩალაზე იაფია. რატომ გაიმეტეს ნასრათულა? ჰათიბულას ოჯახს, პირადად მას, ხომ არავისთან ჰქონია განსაკუთრებული მტრობა? არც მოსისხლეები ჰყავდათ, „პაშტუნვალის წესით“ შური რომ ეძიათ. თალიბებთან კავშირს, განსაკუთრებით, მრავალი წლის წინ მომხდარი ფაქტის შემდეგ, ყოველთვის ერიდებოდნენ. რას ერჩოდნენ ჰათიბულას ოჯახს? არც არაფერს. ავღანეთის მთავრობასა და კოალიციის წარმომადგენლებთან სამშვიდობო მოლაპარაკებების პარალელურად, თალიბთა ხელმძღვანელობა მიიჩნევდა, რომ ძალების პერიოდული დემონსტრირება იყო აუცილებელი, მსხვერპლი კი სამთავრობო ძალების, პოლიციელებისა და სამხედროების გარდა, ყველაზე უსუსური სამიზნე — სამოქალაქო მოსახლეობის სიცოცხლე იყო. ამას შეეწირა ნასრათულა. ამ უსასრულობასთან შეზრდილ ბრძოლას ეწირებოდნენ ყველაზე უბრალო ადამიანები, რომლებიც ავღანეთში გამეფებული მკაცრი და ულმობელი პირობების მიუხედავად, საკუთარი მიზანდასახულობით, ნიჭითა თუ შრომისუნარიანობით ახერხებდნენ გარკვეული წარმატებების მიღწევას და იმედის შენარჩუნებას ყველაზე უიმედო გარემოში.

არსებული მონაცემებით 2001-2019 წლებში ავღანეთში თალიბებთან ბრძოლას ჯამში შეეწირა მილიონამდე ადამიანი, რომელთა დიდი ნაწილი არაკომბატანტი იყო.



ლუკას ორი გაზაფხული

რა ბემერილია, თქვა ლუკამ და ბოლო შვილი მოანიწინა პანანინა ტყემლის ხეს.

რატომ გაკრიფეთ?!
ცოდვია, განა არ შეგეძლოთ, გაზრდა დაგეცდიათ?!
თითო შვილები შეუჭამეთ მთლად — უთხრა უფროსმა მართამ ზავსებებს.

მე არა, მე არა, იმან, იმან... და ასე იმან იმან გაისმოდა უბანში ზარად.

შეხედეთ, გაბუტულია ხე...
მოიცადეთ,
დახეთ, რას ამბობს.
ჩემი შვილები მინდაო.
ვინაა მაგის შვილები? — ჩაბურტყუნა ლუკამ.

შენ რომ ტყემლები შეჭამე, ის ლუკა შეიმშუშნა.
და თვალბეჭდით ისე ტყემლის შვილების სურვილი ჩაუდგა.
ჩუმად... დახეთ, რას ამბობს...
რას?

ზავსებები თუ ცარიელ ფოთლებს შემეჭამენ, ისევე ხელახლა დაიკვირებები და ორმაგად ბევრ ტყემალს მოვისხამო.

ლუკას გაეცინა.
ბევრ ტყემალს მოისხამს?!
მე რომ ფოთლები არ მიყვარს?
და ერთი მოაცალა.
სულელო, მართლა კი არ მოისხამს, — გამოექოშაგა სანდრო.
არა, მოვისხამო — დააზუსტა დიდმა მართამ.

მოვისხამო, ამბობს, დიდ, ნესვივით დიდ, ტყემლებს, ცალ ლოყა დაბრანულას. მინდააა...

და ლუკა დაუფიქრებლად ეცა ფოთლებს.
ჩუ, ლუკა...
მოვატყუოთ ხე.
ამდენი ფოთლების ჭამით მუცელი გაგიმწვანდება, ამწვანებულ ჭაობში კი ბაყაყები დაიწყებენ ყიყინს.
ლუკა ახითხითდა...
და მართა ლუკას ბაყაყებს ჩართავს ყოველ დღე...
გადიკისკისა ანამ.
ჩუმად... აი, იძინებს ხე...
ჩვენ უნდა მოვატყუოთ ის.
როგორ?
მძინარი ვერ გაიგებს, ფოთლები შეეუჭამეთ თუ გადავუყარეთ.
მოდი, დავაცალოთ სიბნელეში ფოთლები და გადავუყაროთ.
და მართლაც მთელი გულმოდგინებით აშიშვლებდნენ ღამე ხეს.
გათენდა.
ლუკასავით ტიტლიკანამ გაიღვიძა ხემ...

დიდ თვალთვანს არავის უხილავს ტყემლის აყვავება, არც შეილიერება, არც სიშიშველე.
და ახლა უკვე ჩაცმულმა ლუკამ დილაადრიან მიირბინა ხესთან. არ აყვავდაო და ჯუჯულუნით გასწია მართასკენ.
მართამ დაამშვიდა, ჯერ ფოთლები რომ დაგანინკნეთ, იარებს იშუშებსო ხე.
თან წვიმააო და მზეს მოაქვსო ყვავილები...
და ასე დიდი მოთმინებით ელოდა ლუკა მზიან კვირებს.

ერთ დღით კი, როცა საამო სიკაშკაშემ გააღვიძა, ტყემლებიო, და ფეხშიშველი გაიქცა ხისკენ.
ხე ნამტირალევი ანგელოზს ჰგავდა, კვირტებზე ნამი შერჩენოდა.
დაკვირტულიყო და გასაფურჩქნად ამზადებდა გულს.
სულელი ლუკა ვერაფერს მიხვდა, ხე ისევე უსირცხვილოდ ტიტველიყო და ჯუჯულუნით გასწია მართასკენ.
ყოველივე ამას კი მართა ფანჯრიდან ადევნებდა თვალს.
და დაძახებისთანავე გამოეგება ლუკას.

ხე ტიტველა... მოგვატყუე? და ზავსებს ბუთხუზა სახე ცრემლით დაენამა.
ნამომყევი.
და მართამ დაკვირტული ხე ანახა. გული გაუხსნა და ჯერ მოუშინებელი თეთრი ყვავილები აჩვენა ლუკას.
ყვავილებს მოისხამს, მერე შვილებს გამოჩქვს.
და მხიარულ ტყემლის ხეს გარს უვლიდა ლუკა...
როდის გაზრდის ყვავილებს?

მალე...
აი, ცა რომ ყველაზე ლურჯი იქნება და მზეც ყველაზე მცხუნვარე, მაშინ.
მაშინ გაუთბება კვირტს მკერდი და გახსნის გასაფურჩქნად გულს.
მალე დათბება?...
და სირბილს მოჰყვება ზავსები.
ხე კი თითქოს იზრდებოდა და მნიფდებოდა, მნიფდებოდა ერთ სეზონზე ხელახალი აყვავებისთვის.

მგლოვიარა ყვავი

შამ ბუმბულში შემოსილი ყვავი ხან ერთ, ხან მეორე ხეზე გადაფრინდებოდა გაჭირვებით. ბოლოს ერთი უზარმაზარი მუხის ხე აირჩია და მის კენწეროზე მოკალათდა, სევდით სავსე შავი თვალელები ზეცას მიანათა და გაინაბა, თითქოს კიდევ დაპატარავდა, ისე მიიძალა ფოთლებში.



ტიროდა ყვავი და მისი ცხელი ცრემლი სიცხისაგან დამჭკნარ ფოთლებს ეცემოდა და უფრო აჭკნობდა. რატომ ტიროდა ყვავი? რა ანუხებდა? რატომ უჭირდა ერთი ხიდან მეორეზე გადაფრენა? იქნებ შიოდა და ეს ანუხებდა, იქნებ საჭმელი ვერ იშოვნა და ეს ატირებდა, იქნებ დაჭრილი იყო და ამიტომაც უჭირდა ხიდან ხეზე გადაფრენა?! დაჭრილი! ვის ან რაში სჭირდება ყვავის დაჭრა.

მაშ, რას გლოვობდა ყვავი, თუ არა საკუთარ ჭრილობას?! ვინ რას ერჩოდა ამ საცოდავ ყვავს? რატომ დაჭრეს? დაიხ, ყვავი დაჭრილი იყო, ამიტომაც შესცქეროდა ზეცას, ალბათ უფალს ეხვეწებოდა გადასწავლას.

იჯდა ყვავი ხის კენწეროზე, ფრთებს უფრო და უფრო კუმშავდა, რათა სისხლი შეჩერებოდა, მაგრამ ამოდ, სისხლი ნელნელა, წვეთ-წვეთობით მოსდიოდა სხეულიდან და ყვავიც სუსტდებოდა. და ახლა სიცოცხლის ბოლო წუთებში ყვავმა მოინდომა საუბარი.

რამდენიმე სიტყვა წარმოთქვა, თან სისხლის წვეთი პირიდან წვეთავდა. ყვავი ხედებოდა, რომ სისხლი ორმაგად წვეთავდა მისი სხეულიდან, მაგრამ მაინც არ წყვეტდა საუბარს. საშინელი სიკვდილის მოახლოებას ხედავდა და ღმერთს ძლივს ლულულუნით შესთხოვდა, თან საყვედურობდა — ღმერთო, მიშველე, რა დაგიმავე, სიცოცხლის ბოლო წუთები რატომ დამიტანჯე, მოგეკალ, ოღონდ ჯერ არა, მიშველე, ოღონდ წუთიერად, რომ ჩემი შვილები ვნახო, მოვარჩინო, მერე კი მომკალ, მე მაინც ვეღარ ვიცოცხლებ. ღმერთო, მაცოცხლე, რომ შვილებს მივხედო, ცოცხლები თუ არიან, მოვარჩინო, მკვდრები თუ არიან, დაემარხო, სამარე ვაღირსო, შიგ ჩავასვენო. ყვავმა კიდევ უფრო იგრძნო სიკვდილის მოახლოება, მაგრამ მაინც მწარედ ბუტბუტებდა.

ცოდვილი ვარ, ცოდვილი, რატომ მეც ჩემს შვილებთან ერთად არ მოკვდი, რატომ გავექეცი კიდევ ერთ ტყვიას? რატომ მივატოვე ჩემი შვილები დაჭრილები? იქნებ ახლა ისინიც ჩემ დღეში არიან?! სიკვდილს ისინიც ჩემსავით ებრძვიან, იქნებ ახლა მე მახსენებენ?! იქნებ დაჭრილი დედის თბილი სიტყვები და ალერსი სჭირდებათ? მაგრამ შემძლია, დაჭრილი გული ნახევრად მკვდარმა გავამთელი და ჩემს პანანინა შვილებს სიცოცხლის იმედი გულში ჩავუსახო, ალერსიანი თბილი სიტყვებით ნატყვიარევი გული მოვუშუშო. ვაიმე, შვილებო, იქნებ ჯერ კიდევ შეგჩენიათ სიცოცხლის წვეთი, მაგრამ ვინაა თქვენი მშველელი, თქვენი მტერი თქვენივე მკვლელი, თუ დაჭრილი დედა, რომელიც სიცოცხლეს ებრძვის, უნდა გადმოფრინდეს და თქვენი სახე დაინახოს. უცებ დადუმდა.

და. თავში რაღაც აზრმა გაუელვა, უნდა მივფრინდე. უფალო, დამეხმარე, მომეცი უკანასკნელი ძალა, რომ შვილებთან მივფრინდე.

ეს თქვა და ფრთები გაშალა, მაგრამ გაფრენა ვერ შეძლო, აინია, მაგრამ მწარე ყრუ ტკივილი იგრძნო, აინია მეორედ, მე-სამედ და გაფრენის მაგივრად მიწაზე დაენარცხა. აი, ახლა კი მართლა მწვავედ იგრძნო ტკივილი, ისეთი ტკივილი, რომ თითქოს მეორე ტყვია კიდევ ესროლესო. მგლოვიარე ყვავმა დაიჩხავლა, ტკივილით რამდენიმე სიტყვა მაინც წარმოთქვა: ნუ, ნუ, ნუ დამძრახავთ, შვილებო, თუ ცოცხლები გადარჩით, მაპატიეთ. ღმერთია მოწამე, რომ მე თქვენთან მოვფრინავდი, მაგრამ, შვილებო... აქ კი ვეღარ დაამთავრა ყვავმა ლაპარაკი. ფრთები კიდევ ერთხელ გაშალა, კიდევ ერთხელ აპირებდა გაფრენას, მაგრამ სიკვდილმა სძლია, სიკვდილი მოერიდა დედობრივ სიყვარულსა და სიბრ...

მადონა გვეხიძე

ლულს და ფრთები საცოდავად გაუფშოკა საბრალო ყვავს.

მტირალა ტირიფი

ლამაზი ვარ, ტანადი, სახელიც კი ლამაზი შემირჩიეს, მტირალას მეძახიან. ოჰ, რა კარგად შეურჩევიათ ჩემთვის სახელი. სულ ვტირი და ვტირი. ნეტავ, რა მატირებს?!
არ ვიცი, უბრალოდ, ასეთი დავიბადე, ბუნებამ ასე მოინდომა ჩემი დაბადება და ამ ტირილით იხატება ჩემი სილამაზე და მშვენიერება. მტირალა ტირიფი ვარ, ჩამოვუშვებ ჩემს ლამაზ ტოტებს ძირს და ვტირი, მაგრამ ჩემი ცრემლები ჯერ არავის უნახავს. ჩემთვის ბევრ ხეს შემოუნატრია. აი, მაგალითად, ჩემ გასწვრივ მდგომ ნაზლის ხეს, სულ მეტუტუტებოდა, შენ რა გიჭირს, მტირალავ, ზამთარ-ზაფხულ ფესვებს ანკარა მთის წყარო გისველებს, მე კი რა უნდა ვქნა. ზაფხულში წყალი თვალითაც კი არ მენახება, შენ კი სულ ჭაობში დგახარ, მტირალავ, ამიტომაც შეგარქვეს მტირალა, ნეტავ, მეც ვყოფილიყავი შენისთანა ცრემლებიანი — მეუბნება ჩემზე დიდად ბუმბერაზი ნაზლის ხე. ეჰ, რა სულელია ნაზლის ხე, ჩემსავით მტირალა უნდა რომ გახდეს, მერე საიდან, ჩემსავით ხომ ვერ ჩამოუშვებს თავის ბუმბერაზ ხელებს ჭაობიან მიწაზე.

ხშირად ესეც უთქვამს ბუმბერაზ ნაზლს, შენი ადგილი ცოტახანს დამითმეო, მაგრამ ის კი არ იცის ბუმბერაზ ნაზლმა, რომ მე უწყლოდ მოკვდები. აი, ხედავთ, ფესვები თითქმის სულ წყალში მაქვს, მაგრამ მაინც სულ წყალი მინდა.

ძალიან მიყვარს ციდან ნამოსული შხაპუნა წვიმა, მაშინ ხომ სულ მთლიანად ვსველები და ეს მახარებს. აბა, მეტი რა უნდა მახარებდეს მტირალა ტირიფს, თუ არა ცრემლები, ჩემი ცრემლები და არა წვიმის წვეთები, მაგრამ ზეცა შხაპუნა წვიმით ხშირად არ მანებიერებს. გაჯავრებით დამყურებს თავზე, ბუმბერაზ ნაზლივით მეტუტუტუნება: წვიმა რად გინდა, ისედაც წვიმად ქცეული ხარ, სულ ტირიხარ.

ოჰ! ყველა რატომ მიწყურება, მტირალა ხარო, მტირალა ვარ და წვიმას ვთხოულობ, აბა, გვალვას ხომ არ მოვითხოვდი?! რად მინდა გვალვა, დამიჭკნობს ფოთლებს და სილამაზეც თანდათან გაქრება, გამახმობს ისე, ვით ყვავილს ველზე ამოსულს, რომელსაც გვერდით გაუვლიან, ველურად მოგლეჯენ, აყვავებულ ტოტებს დაწინიან და გადაყრიან. რა ცოდოა ასეთი ყვავილი — ჯერ გვალვა არ აძლევს მხიარულების საშუალებას, შემდეგ კი ასეთი უპატივცემულობა სულ ანადგურებს მას.

ასეთი ქცევით მეც ხშირად „მანებიერებთ“. მოვლენ, მომაჭრიან ერთ-ერთ საუკეთესო ხელს და შესაჭმელად დაუგდებენ პირუტყვს. უფრო მეტად განსაკუთრებით ამ დროს ვტირი, როცა ჩემს ხელს ვხედავ მიწაზე უსულგულოდ დანარცხებულს, როცა ჩემს თავს შევეცქერი ნახევრად მოჭრილს. საშინლად ვტირი, ესე იგი, მტერი უფრო მეტად მატირებს ისედაც მტირალას.

უჟმური მზეთუნახავი

მოდო ჩემთან?!
ზავსები შეიმშუშნა და დედის თბილ მკერდს ისე მიეკრო, გეგონებოდათ ვინმე მის ხელში აყვანას კი არა, დედის წართმევას ცდილობსო.

მოდი, გთხოვ.
და ახლა უფრო გაუკადრისდა. ოჰო, ღრილიც მორთო და მსხვილ, პუტკუნა ლოყებზე ცრემლები ნაკადულად დაეკიდა. მივხვდი, თანდათან უფრო მეუცხოვებოდა, უკარებასავით, ბუთხუზა ხელებს, წვრილ, ციმციმა თვალეებს აფარებდა, აქაოდა, ჩემი სილამაზე არ დაინახოთო.

უკარება იყო ლილე, უჟმური და მამავე დროს მზეთუნახავიც. დედის კალთას მაგნიტივით მიეკვრებოდა და დასდევდა თან. მზერაც, გამოხედვაც, სიტყვაც მეტად, მეტად ძვირად ფასობდა მისთვის.

მე, იცი, ბაყაყებთან უნდა წავიყვანო... უჟმურმა მზეთუნახავმა რა იცოდა, აბა, ბაყაყები...

მათ კი არა, ადამიანებსაც არ ანახებდა თავის მზეთუნახავობას.

ერთ დღესაც, როცა ლილემ მთელი დღის ტირილის შემდეგ დაიძინა, მის სარკმელს ღონემხიდილი ბაყაყი მისაკდა, ზავსვის ტირილით შელონებულნი.

ყი, ყი, ყი, ლილე...
ნაართვა თურმე ბაყაყს მთელი ენერგია, ლილეს მთელი დღე ღრილს ისე მიესუსტებინა, ძლივსლა ყიყინებდა.

და რა გაუგია, ამ უჟმურს ჩაეძინაო, უმალ გასცლია სარკმელს, იმის ფიქრით, რომ რამე უნდა ვილონო, სანამ ამ ნამცეცხამ სული გამაძროო...

დალონებული ნასულა დიდი კლდისკენ, უფროსი უჟმურობის დედოფლის საძებნელად.

თურმე უჟმურობის დედოფალს, ცხრა კლდის იქით, ოქროს მხიარულ გამოქვაბულში თეთრი მძივი ჰქონია, ასეთი ზავსებებისთვის აქირავებდა...

აბა, სად ჰქონდა ბაყაყს ფული...
ვერც ლილეს მშობლებს სთხოვდა... რომ ეთხოვა, კი მისცემდნენ, მაგრამ ბაყაყების და ადამიანების ენა ყოველთვის როდია გასაგები.

ჰოდა, დალონებული ნასულა ბაყაყი უჟმურების დედოფალთან, იქნებ და მძივი დავტყუო, ან ერთი ღამით მოვპარო.

ბევრი უფლია ბაყაყს, ძალიან ბევრი. აი, მეხუთე კლდეზე ფეხები ისე დასიებია, ატირებულა, მაგრამ გახსენებია... ის მტირალა... და თავისი ახალი გუბე, საკმელოთა... ფეხების ტკივილი გადავიწყებია და ხტუნვა-ხტუნვით გაუვლია მეცხრე კლდეც.

ოჰო, იქ საოცრება დახვედრია. თურმე უჟმურ დედოფალს თავისთან მზეთუნახავი უჟმური სატრფო ჯეგია და უჟმურობაში გართულს თეთრი ღილის საკმელო ღია დარჩენია. და ბაყაყამც დიდად გაიხარა, ოჰ, და მძივი დიდ პირში დამალა.

მირბის ბაყაყი, მირბის და თან ფიქრობს, ნუთუ ამ მძივს უჟმურობის მოხსნა შეუძლია?! და თუ შეუძლია, ეს უჟმური მზეთუნახავი რატომ არ გაამხიარულა.

ბაყაყი ამ ფიქრებში იყო, როცა პირიდან მძივმა ტიტინი დაიწყო. სულელო, მზეთუნახავი უკვე ორმოცის იყო, როცა მე მასთან მიმიყვანეს, ვეღარ გავაცინებდი.

უკუნით ღამეში მიაღწია ბაყაყმა სოფელში, ლილეს სარკმელთან აბოხდა და ბავშვს მძივი თვალელები შეანათა, მძივი ათამაშდა, ეს რა კარგი უჟმურიო და ზავსვისკენ მივბრუნდი. უჟ, უჟ, გამოდი უჟ. ზავსვმა გაიღვიძა და კისკისი მორთო. ამ დროს მძივი დაიხარა, ლილეს კოცნილა ლოყები დაუკოცნა, უჟმურობა მუცელში გადაეღაპა და ბაყაყისკენ გასწია.

აბა, შენ იცი, ჩემს დედოფალთან უმაღლეს დამაბრუნეო და ორივენი ისევე უკუნით ღამეში გაქრნენ. ღამე კი ნათდებოდა და ზავსვის საწოლზეც ახალი მღიმიარა სხივები ნათდებოდნენ.

საადი შირაზელი

ფრაგმენტები „პუსტანიდან“

მე ერთ საღამოს მწველი ფიქრით ვიყავ მღელვარე, მჭევრმეტყველების ჩირაღდანი ავადვარე. ერთ ყარბს ესმა ყანდმთოლაღვი სიტყვების გზნება და მოხიბლულმა წამისწამად შემასხა ქება. თუმცაღა, ბედკრულს მწველმა შურმა

გრძნობა წაჰგვარა, ამოიგმინა გულდამწვარმა ბოლოს ამგვარად: მისი სიტყვები ტკბილი არის, ვითარცა ყანდი, თან ახლავს აზრი სვემალალი, რჩევა და ფანდი, მაგრამ არ უმღერს მისი ლექსი გურზსა და გუფალს¹, ბრძოლის ქარცეცხლზე ერთი სიტყვაც არასდროს უთქვამს. რა უწყის, ჩემთვის სულ არ არის ომი მთავარი, თორემ მომყვება მწველი სიტყვის შნი და ჯავარი. ძალმიძს, ადვილად სიტყვის ხმალი ამოვიწვადო, სანამ სანუთროს ჩარხის ბრუნვა მაქცევს მინადო. ამ ასპარეზზე, მოდი, ერთუროს შევებათ ახლავ, ქვა დაუშინოთ, აბა, დუშმანს — შმაგსა და მსახვრალს.

ბედნიერებას მხოლოდ ღმერთი დაგამწყალობებს, მის შესაძენად არ ღირს, შენი მკლავით წვალობდე. თუ ბედისწერამ არ გარგუნა, დაცხრი, დავანდი, ვერ მოიპოვებ, რაგინდ ბევრგზის სტყორცნო ქამანდი. ჯინჭველს თავისი არ ადარდებს სუსტი იერი, საზრდოს ბრწყალებით არ შოულობს ლომი ძლიერი. რადგან ვერავინ აღუდგება ბრუნვას ჩარხისას, ხამს, იყაბულო, რაც გაღირსა, ან არ გაღირსა. დიდხანს სიცოცხლე თუ გიბოძა ამ ქვეყნად ზენამ, ვერას დაგაკლებს ვერც ლომი და ვერც გველის კენა. მაგრამ თუ ქვეყნად შენი ყოფის გავიდა უამი, ტკბილი ბალზამიც ისე მოგსპობს, ვითარცა შხამი. სიცოცხლის დღენი დაელია როდესაც როსტომს², შეყადის ხელით აღსასრულმა საბელი მოსდო.

ღრუბლებში ჩანთქმულ მზეს ჰგავს

კაცი კეთილმოსურნე, წყაროში ჩაყრილ ნაკვერჩხალს კი მოჰგავს მოშურნე. გამოიხედავს მზე ღრუბლიდან მბრწყინავ ალებად, ნაკვერჩხალი კი წყალში სულ მთლად ჩაინახვლება. ნუ უფრთხი წყვილია, ნულარ ისევ უამურ ფიქრებს, ვინ იცის, იქნებ, უკვედავების წყაროც ჩქეფს იქვე. მინამ სიმშვიდე შფოთის შემდეგ ჰპოვა მთლიანად, ხოლო საადიმ — როცა მინა შემოიარა. ნუ სწუხ უაზროდ, ვინ რა უწყის, რა გველის ხვალე, ღამე მაკეა, დღეს დაბადებს ძალიან მალე.

ფეიდის ველზე ვერც ვიგრძენი მოსვლა დილისა, ძილმა შემბოჭა, ზეზუურად მომეთილისმა. ჩქარი და კუშტი მეაქლემე მოიჭრა მყისვე, თავზე აღვირი მითავაზა: გძინავსო ისევ?! ნუთუ მთანდე გული სიკვდილს, ქვეყნად ეულმა, ზანზალაკების წკრიალზეც რომ არ შერხეულხარ?! მეც შენებრ მიპყრობს ძილი,

ცოდვილ სოფლად განახირს, მაგრამ წინ მიდევს ეს უდაბნო გადასალახი. თუ ტკბილი ძილი დაგიმონებს ცხოვრების ხიზანს, როგორ მიაღწევ, მეგობარო, სანუკვარ მიზანს? ნეტავ იმ მხედარს, ვინც საავალი არჩია კარგი, ბინამდე მშვიდად მიიტანა თავისი ბარგი. ვინც ადრე ადგა, შეისრულა ნატვრა-მიზნები, თუკი გაგასწრეს, მერე ვიღას ეგულფხიზლები? ვინც გაზაფხულზე ქერი სთესა მარცვალ და მარცვალ, სთვლობისას ხორბალს როგორ მომკის

იმ ქერის ნაცვლად?

გმართებს სიფხიზლე, ზეზე დგომას არავინ გიშლის, ვაპთუ, სიკვდილი მოგეახლოს, ბეჩავო, ძილში. რადგან ჭალარამ შენი შუბლი უნდა დაღაროს, უკვე დღედ იქცა კუპრისფერი თმის საბაღნარო. იმედი იმ დღეს ნარვიკვეთე, გულში ღვიანა, რაჟამს სითეთრემ უკუნეთზე ჩამოიფანა. სიცოცხლე მორჩა, გვიანდა ზელის ცეცება, უკანასკნელი წამიც მალე გამოგვეცლება.

¹ გურზი და გუფალი — საბრძოლო იარაღები ძველ აღმოსავლეთში. ² როსტომი (სპარს: როსთამი) — ლეგენდარული ფალავანი და გმირი ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ მიხედვით. ზაალისა და რუდაბეს გაფიქვილი. ეპოსის მიხედვით, მის სახელს მიეწერება არაერთი გმირობა. ბოლოს მუხანათურად მოკლა საკუთარმა ძმამ — შეყადმა.

თარგმნა გიორგი ხულორდავაძე



პაატა ნაცვლიშვილი



ვეფხვისტყაოსანი

დასასრული

კინოვარსკვლავს ეხებოდეს და აქ არ შემიძლია, მთლიანად არ ვთარგმნო რამდენიმე დღით ადრე გადედოფლებული ელიზაბეთის ის „ლაიფ“ ისეული პორტრეტი, სადაც იმ დროისათვის იშვიათი ფერადი ჟურნალისთვისაც კი უჩვეულო ფერადოვნებით არის დახატული „დედოფალი, რომელიც 21 აპრილს 26 წლისა გახდება და რომელიც მისი ოჯახისათვის მუდამ ლილიბეთი იყო, სიმამლით 5 ფუტი და 4 დუიმა, წონით დაახლოებით 125 ფუნტი, აქვს ხასხასა ციფერი თვალეები, ღია ნაბლისფერი თმა და სათუთი ქათქათა ატმის კრემისფერი სახის ფერი“, და ეს მშვენიერება იმ დღით ტრიტოპსის აივანზე იჯდა ბამბის ყვითელ, ჯიბეებიან ხალათსა და ყავისფერ სლაქსებში გამწყობილი და თავისი სინეკამერით მარტორქების რქაწართულ ორთაბრძოლას იღებდა და ის იყო, მეტოქე მარტორქებმა თავი ტყეს მისცეს და კამერები თუ ბინოკლები ააღაგეს, რომ საუზმეც გაანყვეს და ყველამ სიამოვნებით მიირთვა ლადისლო წვანგას შემწვარი თვალთვალა თუ თანთალა ეროკვერცხი ბეკონით, ტოსტი, მარმელადი, ყავა და საგანგებოდ რჩეული ხილი, რომლის მსგავსი მხოლოდ აფრიკაში იშოვება და რომლიდანაც აღებული ორი თუ სამი ბანანი პრინცივამ ვერანდის მოაჯირებზე შემომსხდარ ბაბუინებს მიანოდა, რამაც ყველა გაამხიარულა და სწორედ ამ დროს ლონდონში, სანდრიგემის სასახლეში ჯორჯ მეექვსის პირადმა ფარეშმა ჯეიმს მაკლონადმა მეფის დილის ტუალეტისთვის წყალი გაათბო და მის საძინებელში შევიდა, რათა გაეღვიძებინა, მაგრამ მალე მიხვდა, რომ საქმე ცუდად, თან ძალზე ცუდად იყო და მორის უატს დაუძახა, მეფის პაჟს, და მერე მათ სასწრაფოდ ექიმი გამოიძახეს, რომელმაც ჯორჯ მეექვსის სიკვდილი დაადასტურა, ხოლო ამის შემდეგ მეფის პირადმა მდივანმა სერ ერიკ მიევილმა ბუკინგემის სასახლეში დარეკა და თავის იქაურ კოლეგას, ინსტრუქციის თანახმად, ერთ-სიტყვად-ქვეყელი სამად-სამი-სიტყვა უთხრა — „ჰაიდ-პარკის-კუთხე“, რაც წინასწარ შეთანხმებული კოდით მეფის გარდაცვალების მაუწყებელი სიგნალი იყო და ამის შემდეგ სამსუხარო ამბავი დედოფალ მერის და პრემიერ ჩერჩილს შეატყობინეს და თითქმის იმავე დროს გაიგზავნა დეპეშა კენიაშიც, რომლის ერთ მოყურებულ კუთხეში, ბებერ ფიკუსზე მჯდარმა ხალისიანმა საზოგადოებამ ის-ის იყო საუზმობა დაამთავრა და კორბეტმა, რომელიც წუხანდელი სადილობისას ენადამბულივით იყო, ღიმილით შენიშნა, რომ პრინცივსა ერთადერთი სამეფო საგვარეულოდან, ვისაც ხეზე ეძინა და ვინც ხეზე მომზადებული სადილი და საუზმე მიირთვა და ამასობაში სამხედრო ლენდროვერი და სამეფო ესკორტიც ამოვიდა ედუარდ უინდლის ხელმძღვანელობით და ყველანი შორიხლოს გაჩერებული მანქანებისაკენ წავიდნენ და გამომშვიდობებისას, სანამ აბერდერის ტყეში თვალს მიეფარებოდა, ბედნიერი და სახეგაბადრული პრინცივსა, რომელიც სინამდვილეში უკვე დედოფალი იყო, თუმცა ჯერ არც თვითონ იცოდა ეს სამსოფლიო თუ საისტორიო ამბავი და არც მისმა ამაღამ, მასპინძლებსკენ მოტრი-

აღდა, ხელი დაუქნია და კიდევ დაეზრუნდებო, უთხრა, თანაც მამაჩემთან ერთად, მას აქაურობა ძალიან მოეწონებო, და მართლაც, იგი დაბრუნდა ტრიტოპსში, მაგრამ დაბრუნდა მთელი 31 წლის შემდეგ და დაბრუნდა, მამით ობოლი, როგორც უკვე 30-წლიანი სტაჟის მქონე დედოფალი, თუმცა მას ის ძველი ტრიტოპსი აღარ დახვედრია, რადგან იგი აჯანყებულ მაუ-მაუელებს გადაეწვით წლების წინათ, ხოლო ელიზაბეთ მეორეს მეორე ვიზიტისას ნაძველტრიტოპსარზე უკვე ახალი ტრიტოპსი დახვედრა, ფიკუსის კი არა, ნაბლის ხეზე შემწენებული, ხოლო მისი გიდი კორბეტის შემეკიდრე ანუ ახალი ტრიტოპსის რეზიდენტი მონადირე რიჩარდ, იგივე დიკ პრიკეტი იქნება, რომელიც ელიზაბეთის იმ პირველი ვიზიტისას აბერდერის ტყის მცველი იყო და რომელიც მრავალი წლის შემდეგ, უკვე 80 წლისა, გაიხსენებს რა ძველ ტრიტოპსს, რომელიც იმ დროის ყველაზე ძვირფასი სასტუმრო იყო მსოფლიოში, გაიხსენებს დედოფლისა და ედინბურგის პრინციის 1983 წლის ვიზიტსაც და იმასაც, რომ მაშინდელი ვიზიტისას დედოფალმა აბერდერის ტყის პირას იმ ძველი ხის მაგიერი ფიკუსის ნერვი დარგო, რომლის კენწეროები, მართალია, ჯერ კენიის ცას ვერ სწვდება, მაგრამ დგას და კიდევ დიდხანს იდგება აქ, როგორც ცოცხალი ძეგლი იმ პირველი ტრიტოპსისა, რომელიც მისდაუნებურად ისეთი ამბების მოწმე და მონაწილე გახდა, რომელთაც ვერავითარი გამონაგონი ვერ შეედრება და რომელთა რაც შეიძლება ზუსტ და სრულ აღწერასაც მე შევეცადე ჩემი ვეფხვისტყაოსნის ამ ფრაგმენტში, რომლის გამოქვეყნებას ახლა ისე განვიცდი, როგორც ჰემინგუეი განიცდიდა „ლაიფ“ის 1952 წლის 1 სექტემბრის ნომერში, ჩემს დაბადებამდე ზუსტად თვენახევრით ადრე, თავისი იმ დანობლებული მოთხრობის პუბლიკაციას, მით უმეტეს, რომ ტრიტოპსში, ჩემი, სოსოს და ჩვენი წინოების სტუმრობის ამბავი დედოფალ ელიზაბეთ მეორის ყურსაც კი მისწვდა და სრულიად ბუნებრივია სურვილი, ამის შესახებ ჩემმა მკითხველმაც გაიგოს, და თუმცა მკითხველთან ჩემი პირველი შეხვედრის შემდეგ ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა, მაინც ისე ველავ, როგორც იმ პირველი პუბლიკაციისას თბილისის პიონერთა სასახლის გაზეთ „გაზაფხულში“ და ამ ამბების დაბეჭდვის მოლოდინში დაახლოებით ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ თითქოს ყველაფერი, რაც მანამდე დაწერილა და რაც ამის შემდეგ დაინერება, სირთულით ახლოსაც ვერ მოვა ჩემი რომანის ამ ფრაგმენტთან, თუმცა ამას ახლა არც მთლად უთუმცაოდ და არც მთლად დაბეჯითებით არ დავიჩემებ, ვინაიდან და რადგანაც

პირველი ფრაგმენტის დასასრული

სურათებზე: ბარმესზე ამხედრებული დედოფლის ძეგლი კანადაში; ელიზაბეთ II კანადისა და ჰონკონგის საფოსტო მარკებზე; დედოფალი თავის პირველ სამხედრო აღლუმზე (1953); დედოფლის წერილი იოსებ ფორდანიას; დედოფალი, პრინცი ფილიპი და მათი მასპინძელი დიკ პრიკეტი ტრიტოპსში (1983); ელიზაბეთ II ცხენთა შეჯიბრებაზე.



კონსტანტინოს კავაფისი უკუნი და ჩრდილავი

ოქროსფეროვან მნიფობაში შესულ მდელოზე, სიცოცხლესთან და სილამაზესთან შეზარებულ ყვავილებში მოუქნელად ვბორიალობდი.

აშკარა იყო, ირგვლივ ყველაფერს განაგებდა გარჯის ერთგულად შემწე ხელი და ყველგან ხალხი ფუსფუსებდა, კმაყოფილი ბუნების უხვი საბოძვარისგან. სხვა არაფრით დამწუხრებულნი, არც რამ სურვილი ალონებდათ, არც რამ ცდუნება, რომელიც ახლავს ამაო და უმნიშვნელო საგნების ნდომას.

სიყვარულის ჰარმონიასა და ზეციურ სისადავეში ცხოვრობდნენ მშვიდად: ბედნიერები ჭირნახულის მომკით, მონევიით. არ იცოდნენ შური, მტრობა, სასონარკვეთა. არც სიმდაბლე ყოველგვარი უნდობლობის, ურწმუნობის, უმადურობის იყო იმთა გონებასთან გადაჯაჭვული. მიტყევა და სიქველე — ერთადერთი იმედი მათი. გონებაც ჰქონდათ მზის დარადვე მანათობელი დიდებულებით.

შეხედეთ ახლა, დედამინა ბნელს ალყაში მოუქცევია. უსასრულო სიბნელე და საშინელი ღამეა ირგვლივ. დღეს დაბინდული ჩრდილების ბლონდი ჩამოაფარა უკუნმა ღამემ, სწორედ ისეთმა, რომელიც მდორედ მიმოდიოდა ზღვებზე ქაოსში, როცა სამყარო და როცა ჟამი ჯერ არსად იყო. კუნაპეტი, უკუნი ღამე, თვით ნადირთა დამაფრთხობელიც შესაბრაღისად გაჰკიოდა იდუმალ ტყეში. უკუნეთში ალუფხული ყველა ელფერი, უფსკერო ღამე ადამიანებს შეშლილობისკენ ერეკებოდა, აბრმავებდა და უსასოო მწუხარებით ადავებდა სიკვდილის მიმართ.

ნაღველში ჩაფლა უკუნმა ხალხი, ბევრმა დაიწყო საყვედურის თქმა გამჩენის მიმართ, უსამართლობა დასწამეს და ასე ბრძნულად ალაპარაკდნენ: „ყოვლისშემძლეო, სახიერო, შენ მოწყალე ხარ, ყოვლისშემძლეო, ჩვენ ვუნყით შენი სიყვარულისა, ყოვლისშემძლეო, სამართალიც ჩვენ ვიცით შენი, მაშ, დაგვანახე, ჩვენო მამაო, ჩვენი ცოდვები, გვითხარ, რა ვქნათ, იქნებ, როგორმე შევძლოთ განსჯა საკუთარ ბრალის! სასტიკმა ჟამმა დაგვსაჯა ასე, უმძიმესი უბედურება გვარგუნა რადგან: ჩვენი შვილები იბადებიან სიბნელეში, უსინათლონი. შენ აგვიკრძალე და წაგვკარე ღამაში ძღვენი, შესაქმისას რომ დაგვასაჩუქრე: სიცოცხლის სუნთქვით, სწორედ შენმა სიყვარულმა დაგვაჯილდოვა ხალხი სინათლით! მაგრამ სიცოცხლე სიბნელეში სიკვდილსა უდრის, ახლა სიკვდილით დასაჩუქრებას შემოგვალადებთ, თუკი ნათელი მიიღევა სამუდამოდ ამა ქვეყნიდან!“

აღმოჩნდა, ღმერთი მათთან ყოფილა იმ წამიერად, და აღმოთქვა ზეციურმა ქორომ უჩინომ:

კონსტანტინოს კავაფისი მსოფლიო მასშტაბის ბერძენი ავტორია, რომლის შემოქმედების დიდ ნაწილს ქართველი მკითხველი უკვე კარგად იცნობს. კავაფისის შემოქმედება დიდი მოცულობით არ გამოირჩევა — სამ ასეულამდე ლექსის ავტორია. მას გამოუქვეყნებელი, გადამალული და ასევე, ინგლისურ ენაზე დაწერილი ლექსებიც დარჩა, რომელთა შორისაა ლექსები პროზადაც. მიზეზთა გამო, არ ისურვა სიცოცხლეში მათი გამოქვეყნება ან ვერ დაასრულა ტექსტზე მუშაობა ჯეროვნად. 60-მდე ასეთი ტექსტი დატოვა პოეტმა. ამ ლექსებს თავი მოუყარა და ბერძნულიდან ბნკარედული თარგმანი გაამზადა მანია კაპაშვილმა, ინგლისურ ენაზე დაწერილი ლექსების ბნკარედები თარგმნა თამარ ზურაბშვილმა. ამ ბნკარედების პოეტური თარგმანი მარიამ ნიკლაშის ეკუთვნის. ამ ლექსებით სრულიად უცნობ კავაფისს წაიკითხავთ.

„ო, რაზე ჩივის ადამიანი, ან ეს ცრემლები საიდანაა? მან ხომ შენვენა ჩემს თვალებში იშოვა! ნახეთ, ზეციური სიხარულით დავაჯილდოვე და მისი სული მე გავმინდე უწმინდურისგან. ჩრდილები, მისი გონება რომ დაბინდა სრულად, მე განვუდევნე, გავაძევე მოუსავალში“.

მიქაელმა კი, რომ უწყოდა თუ რა იყო ადამიანის ბედნიერება, მას უპასუხა „დიდა შენი მონყალება, ჩვენო უფალო, და გიდასტურებთ, ადამიანის გონთა მომცველი ყველა ჩრდილი რომ შორს განდევნე და გააძევე. მაგრამ, მისმინე! იმდენად დიდი და უსამანო იყო სიბნელე, რომ მზესაც ფარავს ახლა მისი ბუნდოვანება, მთელი სამყარო გაახვია უსასრულო და ღრმა ღამეში“.

სახიერმა მამამ ყოველის, ამ სიტყვებზე გაიღიმა მონყალების ნილ, დედამინაზე გარდამოსვლა ინება თურმე და მყის ქუხილის მსგავსი გრგვინვით გაეპასუხა:

„უთვალავი გქონდათ ცოდვები! ვინ მოთვლიდა თქვენს გარყვნილებას! ბრალით იყო დამძიმებული თქვენი გულებიც! გონება გქონდათ დაბნელებული — სისატიკეს ნაზიარები. ამიტომაც ვდევნიდი ჩრდილებს და თქვენს სულს ვასუფთავებდი. მაგრამ, ვაგლახ, რომ ყოვლისმომცველი იყო სიბნელე, მზეც დაბურა და დედამინაც გაახვია უკუნ ღამეში“.

ერთად და ერთხმად აყვირდნენ მაშინ: „ყოვლად ძლიერო, სახიერო და მონყალო, დაე, გონება დაგვიბნელე უწინდებურად, მაგრამ გვიძღვენი მთავარი არსი ცხოვრებისა — მოგვეც სინათლე!“

ზეციდან სულმა უპასუხა: „იყოს ნება თქვენი, მოკვდავნი! მზე არასდროს დაიბინდება!“ კიდევ ერთხელ აციმციმდნენ ვარსკვლავები ცარგვალზე ნაზად. კიდევ ერთხელ ამოიგესო ნათლით სივრცე და ბნელით — გონება.

*** შენ უფრო ბედნიერი ხარ, თემთა პალატის წევრო, გამჭრიახობის უნარი, ჭკვიანს, ბუნებით გერგო. ყველგან შენ დგახარ. ამ პატივის იმსახურებდი კიდევც, ღამის პარნასიც გიკვებნის, არც მიკვირს, ღირსად გთვლიდეს. მარჯვნივ ზის სიბრძნის კოლეჯის გამგე, მოხრილი ოდნავ, ეტყობა, გამოცდილებას ზურგს რომ უმაგრებს ცოდნა. მას მოსდევს ისტორიკოსი — ანწყოს წარსულით ზომავს, ერუდიციის მარაგი ნორმაზე მეტიც რომ აქვს. მარჯვნივ მესამე ადგილი, მოკრძალებული, რომ ვთქვათ, შენ წარმოსახვას უჭირავს, მორიდებულად, მორცხვად. მაგრამ შენს წინ რომ ანათებს დამაბრმავებელ სხივად, გინყვეტს მოკვდავის ახლო და ბეც მხედველობის ილაჯს, ვით შევაფასო ასეთი ზეკურთხეული კაცი, ღარიბთა უმრავლესობას რომ გადასწონის ანი? დიპლომატია, მწერლობა, რელიგია და რაც კი, რომ ვთქვათ, კულტურის, აგრეთვე ყველა სფერო და დარგი, აღმოუჩინეს მზერაში ის, რაც სხვის თვალში არ ჩანს, ამგვარ ნორმას და სამართალს ვინ გაუბედავს განსჯას. ერთადერთია, რომ არ ჰყავს ირგვლივ თანაბრად ტოლი, მხოლოდ გონების სხივოსან ვარსკვლავის თანასწორი ბრძანდება და სხვა ვერავინ ვერ შეედრება, ვიცით, ჩემი პასუხისმგებლობით სავსე პატივის ფიცით.

ჭკუა-გონება მოლელავს, მოშხუის უწყვეტ ტალღად მისი მაღალი ტახტიდან. ხან უწევს კიდევ დაღლა. როს საბრძოლველად მომართავს, ხან ხუმრობით და ღიმილთ, მის განსჯას ნუ შევუდგებით, ფიგურა გახლავთ მსხვილი. ჭეშმარიტ ღირებულებას თუ ჩავეძიეთ გონით, თავდასაცავად სულ მზად აქვს მტკიცე სიბრავის ტონი,

თუკი გავშიფრეთ შეცდომის ნაწილი თუნდაც მცირე, მყის დაყვირებას გადაწყვეტს, შთაგონებული მძიმედ. შემდგომ კი, ძლიერ ყაყანში — მისი გონება სრული ნაყოფიერად შრომობს და დასკვნას დებს, არ აქვს წუნი და ვერც ვერავინ უარყოფს მტკიცებულებებს ახალს, რომელიც ხმას აკმენდინებს მბრალმდებელს, ცრუს თუ მართალს.

მაშ, ბედნიერი იყავი, შენი ადგილით, წევრო, ჭკუის და ინფორმაციის წყალობით უნდა შეძლო, მორგება სიტუაციის და ვითარების ფონზე, რომ ყველა კითხვას პასუხიც შესაბამისი ჰქონდეს. მიმართე მზერა, ფხიზელი, ხან მარჯვნივ, ხანაც მარცხნივ, დააკვირდი და ისწავლე სხვათა ქცევების არსი, რაა სარწმუნო იმათში, ან რა სიცრუეს მალავს, როდის „ჰო“ უთხრა და როდის მტკიცედ მიუგო „არა“. რა ჭამო ან რა დალიო, რა გაიფიქრო დილით, როგორი გქონდეს საუბრის მანერა, გავლის სტილი, ყველა ცოცხალი საგანი სრულყოფისაკენ მიჰყავთ, და ასწავლიან ამ ფიქრის პანკოსმიუმში დიდხანს.

ტანისამოსი

სკივრში ჩავდებ, ან აბანოზის ძვირფას ავეჯში, ფრთხილად ჩავანყობ ჩემი ცხოვრების მშვენიერ სამოსს. ცისფერ ტანსაცმელს. მერე ნითელს, ულამაზესებს. ამის მერე დავანყობ ყვითლებს, ბოლოს ისევ ცისფერს დავადებ, მაგრამ ეს ბოლო გვარიანად გახუნებული მოჩანს პირველზე. შევინახავ მოკრძალებით, სათუთად დავდებ, მწუხარებას და ნაღველს დავაფენ. როცა შავ სახლში დავსახლებები, შავით მოსილი, ერთ ბნელ ოთახში, გამოვხსნი ხოლმე ძვირფას კარადას, ან სკივრს ავხდი სიხარულით, ვნებითა და უიმედობით. დავაცქერდები ფერად ტანსაცმელს და გავიხსენებ დიდ დღესასწაულს — იმ დროისათვის გასრულებულს კიდევც მთლიანად. გასრულებულს ბოლომდე და სამარადჟამოდ. დარბაზებში დაუდევრად მიმოფანტული სავარძლები ეყრება, დგამი. დაღწილი თეფშები და ჭიქებიც ასე, მოფენილი დაბლა, მიწაზე. ყველა სანთელი ბოლომდეა ჩამწვარი, ვხედავ. ღვირვაც შესმული ბოლო წვეთამდე. სტუმრებიც უკვე გაკრეფილან. ერთი-ორი დალილილა ზის მარტოდ-მარტო, ჩემსავით, ბნელში. სხვა, უფრო მეტად ქანცგანყვეტილი, დასაძინებლად ნასულა უკვე.

გაეგაი


ფანტაზიიდან ქალაღდისკენ. რთულია გასასვლელი და სახიფათოა ზღვა. ერთი შეხედვით, პატარაა მანძილი, რაც ჩანს. არადა, რამდენადაც შორეულია მოგზაურობა, იმდენადვე დამლუპველია გემებისთვის, რომლებიც ამ გზას დაადგებიან. პირველი ზარალი ძალიან მყიფე ბუნების საქონელზე მოდის, გემებს რომ გადააქვთ. ფანტაზიის ბაზრებში საუკეთესო ნივთები შექმნილი და წარმოებული თხელი მინისა და გამჭვირვალე ფაიფურისგან. ბევრი გზაშივე იმსხვრევა, ბევრიც — როცა ხმელეთზე გადმოტვირთავენ ძალიან ფრთხილად. ეს ზარალი აუნაზღაურებელი რჩება ყოველთვის, რადგან ლოგიკისთვის შეუძლებელია, გემი უკან დააბრუნოს და ხელახლა მიიღოს იგივე ნივთი. არ არსებობს შესაძლებლობა, რომ მოიძებნოს ზუსტად იგივე მაღაზია, მათ რომ გაყიდის. ფანტაზიის ბაზრებს აქვს დიდი და მდიდრული სალონები, მაგრამ არა ხანგრძლივი გამძლეობისა. მათი ვაჭრობა ხანმოკლეა, თავიანთ საქონელს იძულებით სწრაფად ჰყიდიან, და მაშინვე აცარეილებენ დახლებს. ძალიან იშვიათია, დაბრუნებული გემისათვის მოიძებნოს თავდაპირველის ასლები. სხვა ზარალი ტევადობისგან მომდინარეობს. გამოდიან მდიდრული კონტინენტების ნავსადგურებიდან ჩატვირთულები და შემდეგ, როცა ღია ზღვაში აღმოჩნდებიან, შეუსაბამო წყალწყვის გამო, იძულებულები ხდებიან, ტვირთის ერთი ნაწილი გადაყარონ მეორის გადასარჩენად. ვერცერთი გემი ახერხებს, ხელუხლებლად ჩამოიტანოს განძი ნაპირზე, რაც ჩაიბარა, იმავე სახით. გადაყრილი, რა თქმა უნდა, უმნიშვნელოა, მაგრამ ხანდახან, მეზღვაურები, სისწრაფის გამო, შეცდომებსაც ჩადიან და, უნებურად, ზღვაში ძვირფას ნივთებსაც ყრიან. ახალ მსხვერპლს ითხოვს თეთრი ქალაღდის ნავსადგურში გემების ჩასვლა. მოდიან საბაჟოს მოხელეები, შეისწავლიან საქონელს და დიდხან ფიქრობენ, უნდა დართონ თუ არა ნება განბაჟებაზე. უარს აცხადებენ სხვა საქონლის გადმოტვირთვაზეც. და ამგვარად, საქონლიდან მხოლოდ მცირე ნაწილს იღებენ. ამ ადგილს თავისი კანონები აქვს. ყველა პროდუქტს არ გააჩნია თავისუფლად შესვლის უფლება. ძალიან მკაცრად იკრძალება აქ „კონტრაბ-

ანდა“. ფერხდება ღვინის შემოტანა, მიზეზით, რომ, კონტინენტები, საიდანაც გემები მოდის, ღვინოსა და სპირტს იმ ყურძნისგან ამზადებენ, რომელიც ხარობს და მნიფდება ტემპერატურის ზედმეტად მაღალ მაჩვენებელზე. რაში სჭირდებათ ეს სასმელი მოხლეჩებს. ის ძალიან მათრობელია. ყველა ვერც უძლებს, ნებისმიერ არც უნდა მისცე. თანაც არსებობს ერთი ფორმა, ადგილობრივი და აქვს ღვინის მონოპოლია. ანარმობს იმგვარ სითხეებს, ღვინის ფერი და წყლის გემო რომ აქვთ, და შეგიძლია, სვა მთელი დღის განმავლობაში ისე, რომ რეტსაც არ დაგასხამს. ეს ძველისძველი კომპანიაა. მოპოვებული აქვს დიდი ავტორიტეტი და მისი აქციები ყოველთვის ზედმეტად მომგებანი და დაფასებულია.

მაგრამ მაინც, დაე, ვიყოთ კმაყოფილები, როცა გემები შემოდინან ხოლმე პორტებში, თუნდაც დიდი მსხვერპლის გაღებით. რაც უნდა იყოს, სიფხიზლითა და დიდი ზრუნვით შემოიფარგლება მგზავრობისა და მსხვერუელი ან გაბზარული ჭურჭლის ოდენობა. ასევე, ადგილობრივი კანონები და საბაჟოს წესები, მართალია, დიქტატორულიც არის, მაგრამ არა ყველაფრის ამკრძალავი, დიდი ნაწილი ტვირთისა მაინც გადმოიტვირთება, როგორც წესია. საბაჟოს მოხლეჩები არ არიან შეუმცდარი, და სხვადასხვა აკრძალულ ნივთს იღებენ ცრუ ყუთებით, რომლებსაც ზემოდან ერთი ანერია, შიგ მეთრე დევს, და შემოაქვთ ზოგჯერ ასე საუკეთესო ღვინოც რეული ნადიმებისთვის.

სამწუხარო, სამწუხარო არის სულ სხვა რამ. მაშინ, როცა ჩაივლიან უზარმაზარი ხომალდები, მარჯნის მოსართავებით და აბანოზის ხის ანძებით, გაშლილი დიდი თეთრი და წითელი ალმებით, სავსე საგანძურით, ნავსადგურს არც კი უახლოვდებიან, ან იმიტომ, რომ მთელი ტვირთი კონტრაბანდაა, ან იმიტომ, რომ ნავსადგურს არ აქვს მათ მისალხებად საკმარისი სიღრმე. და განაგრძობენ თავიანთ გზას. ზურგის ქარი უბერავს იმით აბრეშუმის აფრებს, მზე აბრწყვილებს გემის ოქროს ცხვირს, და შორდებიან მშვიდად და დიდებულად, სამუდამოდ მიდიან ჩვენგან და ჩვენი უსიღრმო ნავსადგურიდან.

საბედნიეროდ, იშვიათია ამგვარი გემები. ორ-სამჯერ თუ გადავანყდებით ასეთ გემებს ჩვენს ცხოვრებაში. მათ მალევე ვივინყებთ ხოლმე. და რაც უფრო ნათელია ხილვადობა, მით უფრო სწრაფად გვავინყდებიან. და როცა წლები ჩაივლიან, ან დღეები — მიუხედავად იმისა, რომ უმოქმედოდ ვსხედვართ და სინათლეს მივჩერებთ ერთ ან სიჩუმეს ვაყურადებთ — საბედისწეროდ შემოდიან ჩვენს წარმოდგენაში და მაშინლა ჩავგვისმის უცნაურად აღმაფრთოვანებელი სტროფები, რომლებსაც უმაღვე ამოვიცნობთ, მეხსიერებას ვძაბავთ, რათა გავისხენოთ, სად მოვკარით ამ სიტყვებს ყური. დიდი წვალების მერე იღვიძებენ მოგონებები და ვისხენებთ, რომ ეს სტროფები არის „ქებიდან“, მეზღვაურები რომ მღეროდნენ, „ილიადას“ გმირებით მშვენიერები, როცა ჩაივლიდნენ უზარმაზარი გემები და მიცურავდნენ — ვინ იცის, საით...



სტუდენტი

თავიდან კარგი ამინდი იყო, წყნარი. ჭახჭახებდნენ შაშვები და მახლობლად, ჭაობში, რაღაც არსება საწყალობლად ყვიროდა, თითქოს ცარიელ ბოთლში სულს უბერავდა. ტყის ქათმის გაბმულ ხმას გასროლა მოჰყვა, რომელიც გაზაფხულის ჰაერში მჭექარედ და მხიარულად გაისმა. მაგრამ როგორც კი დაღამდა, ტყეში უეცრად ამოვარდა აღმოსავლეთის ცივი და გამჭოლი ქარი, ყველაფერი მიყურდა. სიცივისგან გუბებში ყინულის ნემსები გამოიზარდნენ და ტყე აღარ იყო მყუდრო, გახდა ჩუმი და მიყრუებული. ზამთრის სუნი დადგა.

ივან ველიკოპოლსკი, სასულიერო აკადემიის სტუდენტი, დიკანის შვილი, სახლში დაბრუნებისას საწაპირო მდელიზე ბილიკს მიუყვებოდა. თითები გაყვინა და სახე უხურდა ქარისგან. ეჩვენებოდა, რომ მოულოდნელად დამდგარმა სიცივემ დაარღვია ყველანაირი წესრიგი და შეთანხმება, თვითონ ბუნებაც კი შეწუხდა და ღამის სიბნელეც იმაზე ადრე ჩამოწვა, ვიდრე საჭირო იყო. ირგვლივ სიცარიელე და რაღაც სხვანაირი წყვილი იდგა. მხოლოდ მდინარის მახლობლად ქვრივების ბალიდან ანათებდა ცეცხლი; ირგვლივ და იქ, სადაც სოფელი იყო, ოთხი ვერსის დაშორებით, ყველაფერი ღამის ცივ ბურუსში ჩაძირულიყო. სტუდენტს გაახსენდა, რომ როდესაც სახლიდან მიდიოდა, დედამისი, თივაში მჯდომი, ფხვნიშველი, სამოვარს წმენდა, მამა კი ინვა ლუმელზე და ახველებდა, დიდი პარასკევისთვის სახლში არაფერი მოუმზადებიათ, მას კი საშინლად უნდოდა, ეჭამა. და ახლა, სიცივისგან მობუზული, სტუდენტი ფიქრობდა იმაზე, რომ ზუსტად ასეთივე ქარი ქროდა რიურიკის, ივანე მრისხანის და პეტრეს დროსაც, რომ მაშინაც იყო საშინელი გაჭირვება, შიმშილი, ისეთივე გახვრეტილი ჩალის სახურავები, უმეცრება, მონყენილობა, ირგვლივ ისეთივე სიცარიელე, წყვილი, სიბერეის განცდა — ყველა ეს საშინელება იყო, არის და იქნება, მიუხედავად იმისა, რომ გავა კიდე ათასი წელი, ცხოვრება უკეთესი არ გახდება. და მას სახლში დაბრუნება აღარ უნდოდა.

ქვრივების ბალები იმიტომ ერქვა, რომ იქაურობას ორი ქვრივი უვლიდა, დედა და ქალიშვილი. კოცონი გიზგიზებდა, ტკაცუნობდა, ანათებდა გარშემო მოხულ მინებს. ქვრივი ვასილისა, მაღალი, ჩასუქებული დედაფერი, კაცის მოკლე ბუნვის ქურთუკით, იქვე იდგა და ჩაფიქრებული შეჰყურებდა ცეცხლს; მისი ქალიშვილი ლუკერია, პატარა, მოჭმუნული, მოსულელო სახით, იჯდა მინაზე და ქვაბსა და კოვზებს რეცხავდა. აშკარა იყო ახლახან ივანეშმეს. ისმოდა კაცების ხმა, აქაური მოჯამაგირეები მდინარეზე ცხენებს არწყულდებდნენ.

— აი, ზამთარიც ისევე დაგებრუნდათ, — თქვა სტუდენტმა კოცონთან მიახლოებისას, — გამარჯობა! ვასილისა შეკრთა, მაგრამ იმ ნამსვე იცნო და თბილად გაუღიმა.


— ვერ გიცანი, ღმერთი შეგეწიოს. გამდიდრდები. გაისაუბრეს. ვასილისა, ასაკოვანი ქალი, რომელიც ოდესღაც ბატონებთან გადიდა, მერე კი მომვლელად მსახურობდა, საუბრობდა დელიკატურად, ამ დროის განმავლობაში სახიდან არ შორდებოდა მშვიდი, დარბაისლური ღიმილი; მისი ქალიშვილი ლუკერია კი, სოფელი დედაკაცი, მხოლოდ შესცქეროდა სტუდენტს თვალებგაფართოებული და ხმას არ იღებდა, სახის გამომეტყველებაც უცნაური ჰქონდა, როგორც ყრუ-მუნჯს.

— ცივ ღამეში სწორედ ასე თბებოდა ცეცხლთან მოციქული პეტრე, — თქვა სტუდენტმა და ხელები ცეცხლს მიუშვირა, — ესე იგი, მაშინაც ციოდა. ეჰ, ბებია, რა საშინელი ღამე იყო, უკიდურესად მოსაწყენი, გრძელი ღამე! წყვილია თვალი მოავლო, აკანკალებულმა გააქნია თავი და ჰკითხა:

— ალბათ, იყავი თორმეტ სახარებაზე?
 — ვიყავი, — უპასუხა ვასილისამ.
 — თუ გახსოვს, საიდუმლო სერობის დროს პეტრემ იესოს უთხრა: „უფალო, მე შენ თანა მზა ვარ საპყრობილედ და სიკუდილად მისლვად“. უფალმა კი უპასუხა: „გეტყვ შენ, პეტრე: არლა ეყვილოს ქათამსა დღეს, ვიდრემდე სამ-გზის უვარ-მყო, ვითარმედ არა მიცი მე“. სერობის შემდეგ იესო საშინლად დამწუხრებული ბაღში ლოცულობდა, საწყალი პეტრე სულიერად დაიღალა, დასუსტდა, თვალები დაუმძიმდა, და ვერანაირად ვერ ეწინააღმდეგებოდა მორეულ ძილს. ეძინა. მერე, შენც იცი, იუდა იმ ღამეს ეამბორა იესოს და გასცა მწვალელებთან. შებოჭილი მიჰყავდათ მღვდელმთავართან და ურტყამდნენ, პეტრე კი ღონემიხდილი, სევდისგან და შფოთვისგან განამებული, ხომ გესმის, გამოუძინებელი, გრძობდა რა, დედამინაზე ეს-ესაა რაღაც საშინელი მოხდებოდა, კვალდაკვალ მიჰყვებოდა... მას მხურვალედ, თავდავიწყებით უყვარდა იესო, ახლა კი შორიდან უყურებდა, როგორ ურტყამდნენ მას.

ლუკერიამ კოვზებს თავი მიანება და უსიცოცხლო მზერა სტუდენტს მიაპყრო.

— მივიდნენ მღვდელმთავართან, — განაგრძობდა ის, — დაიწყეს იესოს დაკითხვა. ამასობაში ხელოსნებმა ეზოს შუაგულში ცეცხლი დაანთეს, რადგან ციოდა და თბებოდნენ. მათთან ერთად ცეცხლთან ახლოს იდგა პეტრე და ისიც თბებოდა, როგორც ახლა მე. ერთმა ქალმა, როდესაც ის დაინახა, თქვა „ესეცა მის თანა იყო“, ესე იგი, ისიც დასაკითხად უნდა წაეყვანათ, და ყველა ხელოსანმა, ვინც ცეცხლის გარშემო იმყოფებოდა, ეჭვით და მკაცრად შეხედა, რადგან ის შეიმუშნა და თქვა: „დედაკაცი, არა ვიცი იგი“. ცოტახნის შემდეგ ვილაცამ ისევ ამოიცნო იესოს ერთ-ერთი მოსწავლე და თქვა: „და



ანტონ ჩეხოვი

შენცა მათთანა ხარ“. მაგრამ მან ისევე იუარა. მესამედაც ვილაცამ მიმართა: „ჭეშმარიტად ესეცა მის თანავე იყო.“ მესამედაც უარყო. და სწორედ ამ დროს იყილა მამალმა, და პეტრეს, შეხედა რა იესოს შორიდან, გაახსენდა სიტყვები, რომლებიც მან სერობაზე უთხრა... გაახსენდა, გამოფხიზლდა, გავიდა ეზოდან და მწარედ ატირდა. სახარებაში წერია „და განვიდა გარე და ტიროდა მწარედ“. წარმოვიდგენ: მღუმარე, დაბინდული ბალი, და სიჩუმეში ძლივს ისმის ყრუ ქვითინი...

სტუდენტმა ამოიოხრა და ჩაფიქრდა. ვასილისამ, რომელიც ისევე იღიმოდა, უცებ ამოიხსულა, მსხვილი ცრემლები უხვად ჩამოეღვარა ლოყებზე და სახე ცეცხლისგან სახელოებით დაიფარა, თითქოს რცხვენოდა თავის ცრემლების, ლუკერია კი, რომელიც გაუნძრევლად უყურებდა სტუდენტს, განითლდა, და გამომეტყველება მღელვარე, დაძაბული გაუხდა, როგორც ადამიანს, ძლიერ ტკივილს რომ იტანს.

მოჯამაგირეები მდინარიდან ბრუნდებოდნენ. ერთ-ერთი მათგანი, ცხენზე ამხედრებული, ახლოს იყო და კოცონის სინათლე მის სახეზე კრთოდა. სტუდენტმა ქვრივებს მშვიდობიანი ღამე უსურვა და გზა განაგრძო. და ისევე სიბნელე ჩამოწვა, ხელებიც გაყვინა. საშინელი ქარი ქროდა, მართლაც ბრუნდებოდა ზამთარი და არაფერი ეტყობოდა, რომ ზეგ აღდგომა იყო.

ახლა სტუდენტი ვასილისაზე ფიქრობდა: რადგან აეტირა, ესე იგი, ეს ნიშნავს, რომ ყველაფერი, რაც იმ საშინელ ღამეს პეტრეს თავს ხდებოდა, მასთან რაღაც კავშირშია...

უკან მიიხედა. ცეცხლი მშვიდად ციმციმებდა სიბნელეში და მის ირგვლივ ადამიანები უკვე აღარ ჩანდნენ. სტუდენტმა ისევე გაიფიქრა, რომ თუკი ვასილისა ატირდა, ხოლო მისი ქალიშვილი ალეღდა, ცხადია, რასაც ეს-ესაა უყვებოდა, რაც ცხრამეტი საუკუნის წინ ხდებოდა, დაკავშირებულია ანმყოსთან — ორივე ქალთან, და სავარაუდოდ, ამ მიყრუებულ სოფელთან, თავად მასთან, ყველა ადამიანთან. თუ მოხუცი ატირდა, იმიტომ კი არა, რომ მას ამალელებლად შეუძლია თხრობა, არამედ იმიტომ, რომ პეტრე მისთვის ახლობელია, და იმიტომ, რომ მთელი მისი არსებით დაინტერესებულია იმით, რაც ხდებოდა პეტრეს სულში.

და უეცრად მისი სული სიხარულით აივსო, წუთიერად შეჩრდა კიდეც, რომ ამოესუნთქა. წარსული, ფიქრობდა იგი, დაკავშირებულია ანმყოსთან მოვლენების უწყვეტი ჯაჭვით, და ერთი მერობისგან გამომდინარეობს. მოეჩვენა, რომ ეს-ესაა დაინახა ამ ჯაჭვის ორივე ბოლო: როგორც კი შეეხო ერთ ბოლოს, შეირხა მეორეც.

ხოლო როცა ბორანი მდინარეზე გადადიოდა და შემდეგ, მთაზე რომ ადიოდა, გასცქეროდა თავის მშობლიურ სოფელს და დასავლეთს, სადაც ვინო ზოლად ანათებდა ცივი, მენამული დაისი. ფიქრობდა იმაზე, რომ სიმართლე და სილამაზე, რომლებიც მართავენ ადამიანის ცხოვრებას იქ, ბაღში და მღვდელმთავრის ეზოში, დღემდე უწყვეტად გრძელდება და, როგორც ჩანს, ყოველთვის წარმოადგენდა არსებობის კაცობრიობის ცხოვრებაში და საერთოდ დედამინაზე; და ახლა გზარდობის, ჯანმრთელობის, ძალ-ღონის შეგრძნებასთან ერთად — ის მხლოლოდ ოცდაორი წლის იყო — თანდათანობით ეუფლებოდა ბედნიერების ენით აღუნერეული ტკბილი მოლოდინი შეუცნობელი, იდუმალი ბედნიერებისა და ცხოვრება მომხიბვლელი, საოცარი და დიადი აზრით აღსავსე ეჩვენებოდა.



ჩინოვნიკის სიკვდილი

ერთ მშვენიერ საღამოს არანაკლებ მშვენიერი ეგზეკუტორი, ივანე დიმიტრის ძე ჩერვიაკოვი, სავარძლების მეორე რიგში იჯდა და დურბინით „კორნეილის ზარებს“ უყურებდა. უყურებდა და თავს ნეტარების მწვერვალზე გრძობდა. მაგრამ უეცრად... მოთხრობებში ხშირად გვხვდება ეს „მაგრამ უეცრად“. ავტორები მართლმადიდებელი არიან: ცხოვრება იმდენად საცხეთა მოულოდნელობებით! მაგრამ უეცრად სახე შეეჭმუნა, თვალები გადაუტრიალდა, სუნთქვა გაუჩერდა... დურბინი თვალებიდან მოიცილა, დაიხარა და... აფცხი!!! დააცემინა, როგორც ხედავთ. დაცემინება არავის და არსად ეკრძალება. აცემინებენ კაცებიც, პოლიციელებიც, და ზოგჯერ საიდუმლო მრჩევლებიც კი. ყველა აცემინებს. ჩერვიაკოვს ოდნავადაც არ უგრძობია უხერხულობა. ცხვირსახოცით მოიხოცა და, როგორც ზრდილობიანმა ადამიანმა, ირგვლივ მიმოიხედა: ვინმე ხომ არ შეაწუხა თავისი დაცემინებით? მაგრამ მაშინვე უხერხულად იგრძნო თავი. დაინახა, რომ მის წინ მჯდომი ბერიკაცი, სავარძლების პირველ რიგში, გულმოდგინედ იწმენდა მუცელს თავსა და კისერს ხელთათმანით და რაღაცას ბურტყუნებდა. ბერიკაცი ჩერვიაკოვმა მიმოსვლის გზებზე უწყებაში მომსახურე სამოქალაქო გენერალი ბრიზუალოვი ამოიცნო.

„მე მას შევაშხუფე! — გაიფიქრა ჩერვიაკოვმა, — ჩემი უფროსი არაა, უცხოა, მაგრამ მაინც უხერხულია. უნდა მოვუბოდიშო“.

ჩერვიაკოვმა ჩაახველა, გადაიხარა და გენერალს ყურში ჩასწორწულა:

— მაპატიეთ, თქვენო -სობავ, მე თქვენ შეგაშხუფეთ... მე შემთხვევით... — არაუშავს, არაუშავს...

— ღვთის გულისათვის, მაპატიეთ. მე ხომ... არ მინდოდა!

— აჰ, დაჯექით, თუ შეიძლება! მომასმენინეთ!

ჩერვიაკოვი უხერხულობისგან შეიშმუნა, სულელურად გაიღიმა და სცენას დაუწყა ყურება. უყურებდა, მაგრამ ნეტარებას უკვე აღარ გრძობდა. მოუსვენრობა ტანჯავდა.

ანტრაქტის დროს ბრიზუალოვთან მივიდა, მიუახლოვდა, გამბედაობა მოიკრიბა და ჩაიბუტბუტა:

— მე თქვენ შეგაშხუფეთ, თქვენო -სობავ... მაპატიეთ... მე ხომ... იმიტომ კი არა, რომ...

— აჰ, კარა... მე უკვე დამავინწყდა, თქვენ კი ისევ იმას გაიხატით! — უთხრა გენერალმა და მოუთმენლად შეარხია ქვედა ტუჩი.

„დაავინწყდა, თვალებში კი იქედნურობა უჩანს, — გაიფიქრა ჩერვიაკოვმა, გენერალს ეჭვით რომ უყურებდა, — ლაპარაკიც კი არ სურს. უნდა ავუხსნა, რომ მე საერთოდ არ მინდოდა... რომ ეს ბუნების კანონია, თორემ იფიქრებს, რომ შეფურთხება მინდოდა. ახლა არ იფიქრებს, მაგრამ მერე იფიქრებს!“

სახლში მისვლისასთანავე ჩერვიაკოვმა ცოლს უამბო თავის უზრდელობაზე. ცოლი, როგორც მას მოეჩვენა, მეტად არასერიოზულად მოეკიდა მომხდარს; მხოლოდ შეშინდა, მაგრამ შემდეგ, როცა გაიგო, რომ ბრიზუალოვი „უცხო“ იყო, დამშვიდდა.

— შენ მაინც მიდი, მოუბოდიშე, — უთხრა ცოლმა, — იფიქრებს, რომ საზოგადოებაში თავის დაჭერა არ შეგიძლია!

— საქმეც ეგ არის! მოვუბოდიშე, ის კი რაღაც უცნაურად... ერთი თავაზიანი სიტყვაც არ მითხრა. და ლაპარაკის დროც არ იყო.

მეორე დღეს ჩერვიაკოვმა ახალი ვიცე-მუნდირი ჩაიცვა, თმა შეიჭრა და ბრიზუალოვთან წავიდა ასახსენლად... გენერალთან მისაღებად შევსლისას ბევრი მთხოვნელი დაინახა, მთხოვნელებს შორის კი თავად გენერალიც, რომელსაც უკვე დაეწყა მთხოვნების მიღება. რამდენიმე მთხოვნელ-



ანტონ ჩეხოვი

ის გამოკითხვის შემდეგ გენერალმა ჩერვიაკოვსაც მიაპყრო მზერა.

— გუშინ „არკადიაში“, თუ გახსენდებათ, თქვენო -სობავ, — დაიწყო ეგზეკუტორმა მოხსენება, — დავაცემინე და... შემთხვევით შეგაშხუფეთ... მაპ... — რა წერილმანია... ღმერთო უწყის! თქვენ რა გნებაზე? — გენერალმა შემდეგ მთხოვნელს მიმართა.

„ლაპარაკი არ უნდა! — გაიფიქრა ფერნასულმა ჩერვიაკოვმა, — ესე იგი, ბრაზობს... არა, ამის ასე დატყუება არ შეიძლება... მე მას ავუხსნი...“

როდესაც გენერალმა ბოლო მთხოვნელთან საუბარი დაასრულა და შიდა აპარტამენტისკენ გაემართა, ჩერვიაკოვმა მისკენ გადადგა ნაბიჯი და ჩაიბურტყუნა:

— თქვენო -სობავ! თუ ვედავ თქვენი -სობის შეწუხებას, შემიძლია ვთქვა, მხოლოდ სინანულით გრძობის გამო!... განზრახ არა, რომ იცოდეთ!

გენერალს სახე დაემანჯა და ხელი აუქნია.

— თქვენ უბრალოდ დამცინით, მონყალო ხელმწიფე! — თქვა მან და კარს მიეფარა.

„რა არის აქ დასაცინი? — გაიფიქრა ჩერვიაკოვმა, — საერთოდ არანაირი დაცინვა არაა! გენერალია და ვერც კი იგებს! თუ ეგრეა, მეტს აღარ მოვუბოდიშებ ამ ბაქიას! ჯანდაბამდეც გზა ჰქონია! წერილს მივწერ, მისვლით აღარ მივალ! ღმერთმანი, არ მივალ!“

ასე ფიქრობდა სახლისკენ მიმავალი ჩერვიაკოვი. გენერლისთვის წერილი არ დაუწერია. იფიქრა, იფიქრა, და ვერაფრით მოიფიქრა, რა დაეწერა. მეორე დღეს მოუწია თავად მისულიყო ასახსენლად.

— გუშინ ვიყავი, შევანუხე თქვენი -სობა, — ჩაიბურტყუნა, როდესაც გენერალმა ახედა, — იმისთვის კი არა, რომ დამეცინა, როგორც თქვენ ბრძანეთ. მე ბოდიშს გიხდით იმისთვის, რომ დაცემინებისას

შეგაშხუფეთ... დაცინვა კი არც მიფიქრია. გავბედავდი კი დაცინვას? თუკი ვიცინებთ, მამ არანაირი, ესე იგი, პატივისცემა პერსონების მიმართ არ იქნება...

— გაეთრე აქედან! — მოულოდნელად დაიღრიალა გალურჯებულმა და აცხახახებულმა გენერალმა.

— რაა? — ჩურჩულით იკითხა შიშისგან გაქვავებულმა ჩერვიაკოვმა.

— გაეთრე აქედან! — გაიმეორა გენერალმა ფეხების ბაკუნით.


ჩერვიაკოვს მუცელში რაღაც ჩასწყდა. ვერაფერს ხედავდა, არაფერი ესმოდა, ისე დაიხია კარისკენ, ქუჩაში გავიდა და ნაჩანჩალდა... სახლში მექანიკურად მისული, ვიცემუნდირის გაუხდელად, დანვა დივანზე და... მოკვდა.

მსუქანი და გამხდარი

ნიკოლაევის რკინიგზის სადგურზე ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს: ერთი მსუქანი, მეორე გამხდარი. მსუქანმა ახლახან ივანე სადგურზე და მისი ცხიმიანი ტუჩები მნიფე ალუბლებით ბზინავდა. ხერხისა და ფლერდორანჟის სურნელი ასდიოდა. გამხდარი კი ახლახან გამოვიდა ვაგონიდან ჩემოდნებით, ფუთებითა და კოლოფებით დატვირთული. მას ლორისა და ყავის ნალექის სუნის ასდიოდა. მის ზურგსუკან გრძელნიკაა, გამხდარი ქალი იყურებოდა — მისი ცოლი, და მაღალი გიმნაზიელი მოჭუტული თვალებით — მისი ვაჟიშვილი.

— პორფირ! — დაიყვირა მსუქანმა გამხდრის დანახვაზე, — ნუთუ ეს შენ ხარ? ძვირფასო! რამდენი ხანია არ შეგხვდრილვართ!

— ღმერთო ჩემო! — გაიოცა გამხდარმა, — მიშა! ბავშვობის მეგობარო! აქ საიდან გაჩნდი?



მეგობრებმა სამჯერ გადაკოცნეს ერთმანეთი და აცრემლებული თვალები მიაპყრეს. ორივე სასიამოვნოდ გაოცებული იყო. — ჩემო კარგო! — დაიწყო გამხდარმა გადაკოცნის შემდეგ, — ნამდვილად არ მოველოდი! აი, სიურპრიზი! აბა, ერთი კარგად შემომხედე! ისევ ისეთი კობტა ხარ, როგორც იყავი! ისეთივე საყვარელი და პენენიკი! ღმერთო ჩემო! აბა, როგორ ხარ? გამიღრდი? დაქორწინდი? მე უკვე ცოლიანი ვარ, როგორც ხედავ... აი, ეს ჩემი ცოლია, ლუიზა, ვანცენბახის ქალია... ლუთერანი... ეს კი ჩემი ვაჟიშვილია, ნათანიელი, მესამე კლასის მოსწავლე. ნათანია, ეს ჩემი ბავშვობის მეგობარია! გიმნაზიაში ერთად ვსწავლობდით!

ნათანიელი ცოტა ჩაფიქრდა და ქუდი მოიხადა.

— გიმნაზიაში ერთად ვსწავლობდით! — აგრძელებდა გამხდარი, — გახსოვს, როგორ გაჯავრებდნენ? პეროსტრატეი იმიტომ გაჯავრებდნენ, რომ სახაზინო წიგნი პაპიროსით დაწვი, მე კი ეფიალტეით, რადგან ენატანობა მიყვარდა. ჰა-ჰა... ბავშვები ვიყავით! ნუ გეძინია, ნათანია! მიუახლოვდი... ეს კი ჩემი ცოლი, ვანცენბახის ქალი... ლუთერანი.

ნათანიელი ცოტა ჩაფიქრდა და მამის ზურგსუკან დაიმალა.

— აბა, როგორ ცხოვრობ, მეგობარო? — ჰკითხა მსუქანმა, მეგობარს აღფრთოვანებით რომ შეჰყურებდა, — სადმე მსახურობ? იმსახურო?

— ვმსახურობ, ჩემო კარგო! უკვე მეორე წელია, კოლეჟსი ასესორი ვარ და სტანისლავიც მივიღე. ჯამაგირი ცუდია... რაც არის, არის! ცოლი მუსიკის გაკვეთილებს იძლევა, მე კერძო დაკვეთით ხისგან პორტსიგარებს ვაკეთებ. მშვენიერი პორტსიგარებია! თითო რუბლად ვყიდ. ვინმე თუ ათს და მეტს აიღებს, იმას, რა თქმა უნდა, ვუკლებ. როგორღაც გავაქვს თავი. იცი, დეპარტამენტში ვმსახურობდი, ახლა კი აქ გამომოიყვანეს სტოლნაჩალნიკად იმავე უწყებაში... აქ ვიმსახურებ. აბა, შენ როგორ ხარ? ალბათ, უკვე სამოქალაქო? ჰა?

— არა, ჩემო კარგო, ზემოთ ადი, — თქვა მსუქანმა, — უკვე საიდუმლო მრჩევლამდე მივალნი... ორი ვარსკვლავი მაქვს.

გამხდარი მოულოდნელად გაფითრდა, გაქვავდა, მაგრამ მალე მთელი სახე ფართო ღიმილით დაეღიმა; გეგონებოდა, სახიდან და თვალებიდან ნაპერსკვლები სცვიოდა. თავად მოიკუნტა, მოიკუნა, დაპატარავდა... მისი ჩემოდნები, ფუთები და კოლოფები შეიკუმშნენ... ცოლს გრძელი ნიკაპი უფრო დაუგრძელდა; ნათანიელი წინ გამოიჭიმა და მუნდირის ყველა ლილი შეიკრა...

— მე, თქვენო აღმატებულბავ... ძალიან სასიამოვნოა! მეგობარი, შეიძლება ითქვას, ბავშვობის და უცებ ასეთი დიდებული აღმოჩნდით! ჰი-ჰი.

— კარგი, გეყოფა! — შეიჭმუნა მსუქანი, — რად გინდა ეს ტონი? ბავშვობის მეგობრები ვართ. რა საჭიროა ეს ჩინის პატივისცემა!

— მონყალე იყავით... რომ თქვენ... — ჩაიხითხითა გამხდარმა, უფრო მეტად მოკუნტულმა, — მწყალობელია თქვენი აღმატებულების ყურადღება... მაცოცხლებელი სასმელოვით... აი, ეს, თქვენო აღმატებულება, ჩემი ვაჟიშვილი ნათანიელი... ცოლი ლუიზა, ლუთერანი, გარკვეულწილად...

მსუქანს უნდოდა შეესახებოდა, მაგრამ გამხდარს სახეზე ისეთი მოწინება, ნეტარება და მოკრძალებული პირობითობა ეხატა, რომ საიდუმლო მრჩევლმა გულსრევა იგრძნო. გამხდრისგან შებრუნდა და გამოსამშვიდობებლად ხელი გაუნოდა.

გამხდარმა სამი თითი ჩამოართვა, მთელი სხეულით მოიხარა და ჩინელით ჩაიხითხითა: „ჰი-ჰი-ჰი“. ცოლმა გაიღიმა. ნათანიელმა ფეხი ფეხს შემოჰკრა და ქუდი დაუვარდა. სამივე სასიამოვნოდ განცვიფრებული იყო.

თარგმანი ლექსო გულეურმა

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
საქართველოს მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტი
რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ფურნალისტი თამარ ყურული
მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com
ISSN 2346-7940
9 772346 794004